ქართველობის გადასარჩენად

ილორი

№ 52 (114) 2 თებერვალი 2010 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

ანზორ შონია 2

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

4

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "საუკეთესო საფეხბურთო კლუბები"

"სელტიკი", გლაზგო, შოტლანდია. 12

ძაღლი შინ არ ვარგოდა, და, სანადირო გარბოდაო...

დავით შოთაძე, კობლენცი, გერმანია 7-10

ქართული ეკონომიკის სამი მომაკვდინებელი ცოდვა

როლანდ ჯალაღანია 3

9

ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში. ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

6

ერთ თვეში ავღანეთში 55 ამერიკელი მებრძოლი დაიღუპა, მათ ქართველი ჯარისკაცებით ჩაანაცვლებენ

ს. არმაზიშვილი

კიდევ ერთხელ აფხაზეთზე

(ვაგრძელებთ წერილების ციკლის ბეჭდვას)

ამაში მოულოდნელი არაფერია, ვინაიდან, იმ ეპოქაში, არათუ რაიმე მნიშვნელოვანი დასახლება, არამედ საგვარეულოც კი, თავის თავს ერად მიიჩნევდა და თავის ეროვნებად თვლიდა იმ კუთხის დასახელებას, რომლის მკვიდრიც იყო. მით უმეტეს, ეს ტომები, ხშირად, ხანგრძლივად იყვნენ ერთმანეთისგან მოწყვეტილნი და, ალბათ სწორი წარმოდგენა არ ჰქონდათ, არც თავიანთ ვინაობაზე და არც ერთმანეთზე, მაგრამ რადგანაც ბერძნებმა ამ ტომებს დაარქვეს ერთი სახელი – **“კოლხები”**, ეს კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ისინი ეგრისის სამეფოს მკვიდრები, ეგრები (მეგრელები) იყვნენ და ბუნებრივია, მათი ენა იყო მეგრული, ან მეგრული ენის ესა თუ ის კილოკავი.

მართლაც, დღესაც, ეგრისის სამეფოს ყოფილ ტერიტორიაზე, იქნება ეს თურქეთის, რუსეთის, აზერბაიჯანის თუ სომხეთის საზღვრები, ძირითადად, მხოლოდ მეგრული ტოპონიმებია შემორჩენილი.

ყოველ შემთხვევაში, საქართველოს ისტორია ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში, ფაქტობრივად, ყოველთვის (ეგრისის) სამეფოს ისტორიაა, მხოლოდ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოსგან დამოუკიდებელი იბერიის (ქართლის) სამეფო.

დაახლოებით ამ ეპოქაში წარმოჩინდა ალბანეთის სამეფოც.

მართალია, ძნელია ზუსტად დადგინდეს, შედიოდა თუ არა აღმოსავლეთ საქართველო კოლხეთის (ეგრისის) შემადგენლობაში და ჩაითვალონ თუ არა იბერები (ქართლელები) კოლხების (მეგრელების) მემკვიდრეებად, მაგრამ არსებობს რეალური საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ იბერებში (ქართლელებში) და კოლხებში (მეგრელებში) საერთო ეთნოსის დომინანტი იყოს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ვერსიასაც, რომ იბერიას (ქართლს) საფუძველი ჩაუყარეს მესხებმა, შესაძლებელია იმის დაშვება, ვინაიდან კოლხები მესხები იყვნენ და მესხეთი კოლხეთში შედიოდა.

ეს ასე იყო თუ არა, სხვა საკითხია, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნიდან საქართველოს ისტორია, ფაქტობრივად, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ისტორიაა.

სწორედ ამ სამეფოების გაერთიანებაში მდგომარეობდა ერთიანი საქართველოს იდეა და კოლხებისა (მეგრელების) და იბერების (ქართლელების) ერთიანობაში იყო ქართველი ერის ჩამოყალიბების არსი.

საბედნიეროდ, ისტორიულმა მოვლენებმა განაპირობეს, რომ იბერიისა და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები გაერთიანებულიყვნენ და იბერები (ქართლელები) (IX საუკ.) და კოლხები (მეგრელები) ერთად ყოფილიყვნენ.

სათანადოდ, ქართველი ერის ძირითადი შემოქმედნი არიან იბერები (ქართლელები) და კოლხები (მეგრელები).

ბუნებრივია, გაერთიანების ეპოქაში, (XI-XV ს.ს.) როგორც მოიაზრებოდნენ იბერების (ქართლელების) ქვეშ კახელები, მესხები, ჯავახები, მთიულები, ასევე მოიაზრებოდნენ კოლხების (მეგრელების) ქვეშ ლაზ-ჭანები, აფხაზები, სვანები.

სამწუხაროდ, თავისი ისტორიის მანძილზე იშვიათად იყო საქართველო ერთიანი.

როგორც **“ქართლის ცხოვრება”** გვამცნობს, იბერიის (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები პირველად ფარნავაზისა და ქუჯის ეპოქაში (ძვ. წ.აღ. IV-III ს.ს.) გაერთიანდა.

ეს იყო ეროვნული მნიშვნელობის უდიდესი მოვლენა.

აქ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოლხეთის (ეგრისის) მეფის ქუჯის პიროვნება. მცხეთის მამასახლისის ძმისწულმა ფარნავაზმა სთხოვა ქუჯის, დახმარებოდა იბერიის (ქართლის) მეფის, ბერძენი აბოს წინააღმდეგ ბრძოლაში და, მისი დამარცხების შემდგომ, გაეერთიანებინათ სამეფოები და ერთიანი საქართველოს მეფე ქუჯი გამხდარიყო. ქუჯიმ დახმარებაზე სრული მხარდაჭერა აღუთქვა, მაგრამ უარი თქვა წინადადებაზე და დიდსულოვნად დაუთმო მეფობა ახალგაზრდა ფარნავაზს.

უდავოდ აღფრთოვანებას იწვევს ქუჯის საქციელი – ის უკვე დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) მეფე იყო, მაგრამ მან დათმო ეს ტიტული და რიგით ერისთავობას დათანხმდა, მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველო ყოფილიყო ერთიანი, რაც, ვფიქრობ, უპრეცედენტო მოვლენაა, არა თუ საქართველოს, არამედ კაცობრიობის ისტორიაში.

ეს იყო ეროვნული თვითშეგნების და ერის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის უმაღლესი გამოვლინება.

მართალია, ეს მოვლენა სხვა უცხოური წყაროებით არ დასტურდება და არც საქართველოში განვითარებული ისტორიული მოვლენები მეტყველებენ ამ გაერთიანების რეალურობაზე, მაგრამ **“ქართლის ცხოვრებაში”** აღწერილი ეს მოვლენა ქართველი ხალხის მეხსიერებაში ერთიანი საქართველოს და ერთიანი ქართველი ერის სიმბოლოდ დარჩა.

ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის ეპოქას იბერიისა (ქართლის) და კოლხეთის (ეგრისის) სამეფოები ისევ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოებად შეხვდნენ.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხი დღემდე ვერ ეღირსა სრულყოფილ და ობიექტურ საქართველოს ისტორიას, რასაც გამართლება არა აქვს, მაგრამ იბერიის (ქართლის) სამეფოს ისტორია ახალი წელთაღრიცხვის ეპოქაში მეტ-ნაკლებად არსებობს, ხოლო კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ისტორია თითქმის შეუსწავლელია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მას არც უარსებია, ან თუ არსებობდა, მხოლოდ ნომინალურად, მაშინ როდესაც, დასავლეთ საქართველოს ერთიანი კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს როლი და კოლხების (მეგრელების) დამსახურება საქართველოს ისტორიაში უაღრესად დიდია.

ძველი წელთაღრიცხვის I საუკუნის დასაწყისში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო პონტოს სამეფომ დაიპყრო, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს რომის იმპერიამ.

ფიქრობენ, რომ რომაელებმა, თითქოს, გააუქმეს კოლხეთის (ეგრისის) სამეფო, მაგრამ ის მაინც მოიცავდა ტერიტორიას მცირე აზიიდან ნიკოფსიამდე (დღ. ტუაფსე) და აღმოსავლეთით ლიხამდე.

ამდენად ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში, კოლხეთის (ეგრისის) სამეფო აშკარად დასუსტებული ჩანს.

მართალია, V საუკუნეში კოლხეთის (ეგრისის) სამეფო ისევ აღდგენილია, მაგრამ ის მოექცა ახლადწარმოქმნილი ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში.

როგორც აღვნიშნე ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში დასახელებული არიან სხვადასხვა წვრილ-წვრილი ტომები, რომლებიც კოლხურ (მეგრულ) ტერიტორიულ ჯგუფს წარმოადგენდნენ, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ისინი, ფაქტობრივად, უკვე არ სჩანან, მაგრამ, სანაცვლოდ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს სინამდვილეში წარმოჩინდნენ ახალი ადმინისტრაციული ერთეულები, მარგვეთის, აფხაზეთის და ლაზ-ჭანეთის საერისთავოები. სათანადოდ, ამ საერისთავოების ტერიტორიაზე მცხოვრები წვრილ-წვრილი ტომები ამის შემდეგ იწოდებოდნენ მარგველებად, აფხაზებად, ლაზებად და ჭანებად, ბუნებრივია, ამას არავითარი ეთნიკური ცვლილებები არ მოჰყოლია – მარგვეთში მცხოვრებ მეგრელს დაერქვა მარგველი, აფხაზეთში მცხოვრებს – აფხაზი, ლაზეთში – ლაზი, ჭანეთში – ჭანი, მათი მშობლიური ენა იყო მეგრული, უფრო ზუსტად მეგრული ენის მარგველურ-აფხაზურ-ლაზური კილოკავები და ისინი, როგორც მეგრელების ტიპიური წარმომადგენლები, I-II საუკუნეებიდან ჭეშმარიტი ქრისტიანები იყვნენ.

ლოგიკურია ვივარაუდოთ, რომ, კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში, გარკვეულ ტერიტორიებს უხსოვარი დროიდან ერქვათ მარგვეთი, აფხაზეთი, ლაზეთი და ჭანეთი, მაგრამ ისინი ისტორიაში არ ჩანდნენ, რადგანაც ადრე ისინი ადმინისტრაციული ერთეულები არ ყოფილან.

ეს ისეთივე მოვლენა იყო, როგორც გურიისა და გურულების წარმოჩენასთან დაკავშირებით – გურია, როგორც ეგრისის სამეფოს რიგითი ტერიტორიის დასახელება, უხსოვარი დროიდან არსებობდა (გური – მეგრულად გულს ნიშნავს), მაგრამ ეგრისის ისტორიაში XII საუკუნემდე არ ჩანდა, ვინაიდან ის ადმინისტრაციულ ერთეულს არ წარმოადგენდა; ხოლო მას შემდეგ, რაც გურია ერთ-ერთი საერისთავო გახდა, ეგრისის სამეფოს ისტორიაში ჩნდება ცნებები **“გურია”** და **“გურულები”**.

სწორედ ასე გაჩნდნენ ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ცნებები **“მარგვეთი”**, **“ლაზიკა”**, **“აფხაზეთი”** და **“მარგველები”**, **“ლაზები”** და **“აფხაზები”**, ახალი წელთაღრიცხვის I-II საუკუნეებში. **“ქართლის ცხოვრებაში”** შეტანილია ლეონტი მროველის მიერ შედგენილი ლეგენდა კავკასიის ხალხების წარმოშობაზე. ლეგენდის თანახმად, თითქოს ისინი ბიბლიური ნოეს შთამომავლები ყოფილან – იაფეტის ძმისწულს თარგამოსს კავკასიაში დაუსახლებია თავისი რვა შვილი: ჰაოსი, ქართლოსი, ბარდოსი, მოვაკანი, ლეკოსი, პეროსი, კავკასი და ეგროსი.

სწორედ ისინი ითვლებიან კავკასიის ხალხების ეთნარქებად.

ეტყობა, მროველს პოლიტიკური მიზანი ამოძრავებდა, როდესაც ამ ლეგენდას ქმნიდა. ალბათ უნდოდა ერწმუნათ კავკასიის ხალხებს, რომ ისინი ერთი ეთნოსის მატარებელი მოძმე ხალხებია, მაგრამ, ფაქტობრივად, ისინი იმდენად განსხვავებული ეთნოსის ხალხებია, რომ ამ ლეგენდამ აზრი დაჰკარგა.

ჩემი აზრით, ლეონტი მროველი არც იმაშია მართალი, რომ ქართველებს სამი სხვადასხვა ეთნარქი მიუჩინა – ქართლოსი, ჰეროსი და ეგროსი. ამით მან, ქართლელებისა და მეგრელების ურთიერთდამოკიდებულება მათი სხვა კავკასიის ხალხებთან დამოკიდებულების რანგში აიყვანა და გარკვეული ზღვარი წარმოშვა ქართლელებსა და მეგრელებს შორის, მაშინ როდესაც, მას სრული მორალური უფლება ჰქონდა, მათთვის ერთი ეთნარქი, ან ქართლოსი, ან ეგროსი მიეჩინა, მით უმეტეს, მისი შედგენის ეპოქაში (XI-XII ს.ს.) საქართველო ერთიანი იყო.

მართალია, მროველს ქართველთა ეთნარქად მხოლოდ ქართლოსი მიაჩნია, მაგრამ შემდგომში ქართველმა მეცნიერებმა ჰეროსიც და ეგროსიც ქართველების ეთნარქებად აღიარეს, ვინაიდან ქართველი ერის შემოქმედები სწორედ ეს ხალხებია.

რით ხელმძღვანელობდა ამ ლეგენდის შედგენისას ლეონტი მროველი და რა ისტორიულ წყაროებს ეყრდნობოდა, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ის შესანიშნავად იცნობდა ლეგენდის შედგენის ეპოქაში (XI-XII ს.ს.) კავკასიაში მცხოვრებ ხალხებს.

მან კარგად იცის, რა მდგომარეობაა იბერიაში (ქართლში), მას ქართლოსი მიაჩნია ქართველების ეთნარქად და ასახელებს ქართლოსის შვილებს – კახოსს, კუხოსს, მცხეთოს, გაჩიოს და გარდაბოს, რომლებიც ქართლში არსებული კუთხეების მკვიდრების წინაპრებად მიაჩნია.

ლეონტი მროველი, სრულიად კანონზომიერად მიიჩნევს იმას, რომ კახეთში მცხოვრებ ქართლელს **“კახელი”** ჰქვია, ჯავახეთში მცხოვრებს კი **“ჯავახი”** და ა.შ.

რადგანაც მროველმა მთელი დასავლეთ საქართველოს ერთიან ეგრისის სამეფოს მოსახლეობას ერთი ეთნარქი, ეგროსი მიუჩინა, მეტყველებს იმაზე, რომ ის ეგრისის ძირითად მოსახლეობად მიიჩნევს ეგრებს (მეგრელებს), მიუხედავად იმისა, რომ მან კარგად იცის აფხაზიც, ლაზიც, ჭანიც, მარგველიც და სვანიც.

ის დარწმუნებულია, როგორც კახეთში მცხოვრებ ქართლელს ჰქვია **“კახელი”**, ისე აფხაზეთში მცხოვრებ მეგრელს ჰქცია **“აფხაზი”**, ლაზეთში მცხოვრებს **“ლაზი”** და ა.შ.

თუ ლეონტი მროველი ეგროსის შვილებსაც დაასახელებდა, ბუნებრივია, მათი სახელები იქნებოდა **“მარგველოსი”**, **“აფხაზოსი”**, **“ჭანოსი”** და **“სვანოსი”**.

შეიძლება გაგიკვირდეთ, რომ ეგროსის შვილებად არ ვასახელებ იმერლების, გურულების, რაჭველებისა და აჭარლების ეთნარქებს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ “ქართლის ცხოვრების” შექმნის ეპოქაში (XI-XII ს.ს.), ისინი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ ადმინისტრაციულ ერთეულებს ეგრისის სამეფოს სინამდვილეში და არც ცნებები იმერელი, გურული, რაჭველი, აჭარელი არსებობდა, ისინი, ფაქტობრივად, ახალი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულის პირველ საუკუნეებში წარმოჩინდნენ. ყოველ შემთხვევაში, ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში კოლხეთის (ეგრისის) სამეფოში გარდა კოლხებისა (მეგრელებისა), არც მარგველები ჩანან, არც ლაზები, ჭანები და აფხაზები. უფეო მეტი, ეგრისის სამეფოს სინამდვილეში ისინი პირველ საუკუნეშიც არ ჩანან, რაზეც მეტყველებენ პტოლემეოსისა და პლინიუსის (II საუკ) რუკები, რომლებიც ზუსტად აღწერენ საქართველოს და მასში არც ლაზეთია ნაჩვენები, არც მარგვეთი და არც აფხაზეთი, ისინი აღნიშნული არიან ეგრისის სამეფოს რიგით ტერიტორიებად.

მარგვეთი, ლაზეთი, ჭანეთი და აფხაზეთი, შესაბამისად – მარგველები, ლაზები, ჭანები და აფხაზები ისტორიულ წყაროებში პირველ-მეორე საუკუნეებიდან ჩანან, ეგრისის სინამდვილეში, რაზეც მიუთითებენ ბერძენი და რომაელი სწავლულები, მაგრამ ისინი მათ კოლხებად მოიხსენიებდნენ, როგორც ტიპიურ ეგრებს (მეგრელებს), რადგანაც მარგველები, ლაზები, ჭანები და აფხაზები ეთნიკურ სახესხვაობებს კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მეგრელები იყვნენ და ამ სახელებით იმიტომ იწოდებოდნენ, რომ ისინი ცხოვრობდნენ კოლხეთის (ეგრისის) სამეფოს ნაწილებში, რომლებსაც ერქვათ მარგვეთი, ლაზეთი, ჭანეთი და აფხაზეთი.

ლოგიკურია, ისინი, როგორც რიგითი ტერიტორიები, ადრევე იარსებებდნენ ეგრისის სამეფოში და, ალბათ, თავის მისიას შეასრულებდნენ, მაგრამ ისტორიაში არ ჩანდნენ, რადგან არ იყვნენ ადმინისტრაციული ერთეულები. ყოველ შემთხვევაში, ახალი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის I საუკუნეებში, ეგრისის სამეფო მოიცავდა ტერიტორიას ტრაპიზონიდან ნიკოფსიამდე (დღევანდელი ტუაფსეს მიდამოები), აღმოსავლეთით ლიხის ქედამდე და მაში შედიოდნენ შემდეგი საერისთავოები:

– მარგვეთის, ლაზ-ჭანეთის და აფხაზეთის.

ბუნებრივია, ამ საერისთავოების ტერიტორიებზე ისევ ცხოვრობდნენ ძველი წელთაღრიცხვის ეპოქაში ეგრისის სამეფოში დასახელებული წვრილ-წვრილი ტომები, მაგრამ ამ საერისთავოების წარმოჩენის შემდეგ, ისინი, ფაქტობრივად, არ მოიხსენიებიან და მოიაზრებიან მარგველების, ლაზ-ჭანების და აფხაზების ქვეშ.

ეგრისის სამეფოში შედიოდა აგრეთვე სვანეთი, მაგრამ არც ის იხსენიება საერისთავოდ და არც ტერმინი **“სვანები”** ჩანს. ვარაუდობენ, რომ სვანები შეიძლება მოიაზრებოდნენ ან მისიმილიანების, ან ჰენიოხების, ან სანიგების ქვეშ.

ანზორ შონია,
აკადემიკოსი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ქართული ეკონომიკის სამი მომაკვდინებელი ცოდვა

წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც გექნებათ, რომ, როცა ღმერთმა კაცობრიობას ბიბლია უძღვნა ცხოვრების ორიენტირად, იქვე განუსაზღვრა შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა, რომლის ჩადენა თვით ღმერთის ნების წინააღმდეგ წასვლის ტოლფასი გახლდათ. ღმერთი კი ამგვარ **"ჯანყს"** არავის პატიობდა, რისი დასტურიც გახლავთ ცოდვამოძალებული სოდომისა და გომორას ფერფლად ქცევა.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო სამყაროს მიკრომოდელი გახლავთ და მისი არსებობის განმავლობაში, ქვეყნის წიაღში, ყოველთვის ხდებოდა მსოფლიოში მიმდინარე **"თეთრი"** თუ **"შავი"** პროცესების დუბლირება. და თუ ღმერთმა კაცობრიობას გამაფრთხილებელ დამღად დაასვა **"შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა"**, სატანამ (იგულისხმე **"თეთრი მელა"**, იგივე **"ბაბუ"**, იგივე ედუარდ შევარდნაძე) ქართულ ეკონომიკას ასევე წარუშლელ დაღად დაასვა **"სამი მომაკვდინებელი ცოდვა"**. დრო გადის, უკვე შვიდი (ისევ **"შვიდი"**) წელია საქართველოს არ მართავს შევარდნაძე, მაგრამ მის მიერ ლიცენზირებული **"სამი მომაკვდინებელი ცოდვა"** დღეს ისე მძვინვარებს საქართველოში, როგორც არასდროს...

ამას წინათ თბილისის მერმა გიგი უგულავამ ამაყად განაცხადა, რომ ლილოს ბაზრობის შესასვლელი და სავაჭრო ადგილები იმდენად კეთილმოვაწყვეთ, რომ საავტომობილო საცობები აღარ იქნება, ხოლო იქაური სამუშაო ადგილი კიდევ ათი ათასით **"დახლით"** გაიზრდებაო. მართალია ამ საქმეში 60 მილიონი ლარი დავხარჯეთ, მაგრამ ამ თანხას მალე ამოვიღებთო. ამრიგად, საქართველოს **"ეკონომიკას"** კიდევ ერთი პრიორიტეტი დაემატა – ბაზრობათა ქსელის განვითარება. ძირითადი პრიორიტეტი კი ავტომაგისტრალების გაყვანაა...

მართლაც სასიხარულო უნდა იყოს ეს სიახლე, რომ არა ერთი ტრაგიკული გარემოება. დავიწყოთ იმით, რომ, 1933 წელს, როცა ნაცისტები გერმანიის ხელისუფლებაში მოვიდნენ, მათ უპირველეს მიზნად იქცა ავტობანების ქსელის მშენებლობა. მაგრამ ჰიტლერი ამას აკეთებდა შიდა ეკონომიკის ასაყვავებლად და არა საიმისოდ, რომ ახალ კეთილმოწყობილ მაგისტრალებზე უცხოურ მანქანებს ეჯლიგინათ და გერმანია სატრანზიტო ქვეყნად ქცეულიყო. ჩვენი ხელისუფლების მიზანი კი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ევროპული და თურქული სატვირთო ავტომანქანები ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სწრაფად ჩავიდნენ სომხეთში, აზერბაიჯანში თუ სხვა მოსაზღვრე ქვეყანაში.

მაგრამ, ეს ჯერ კიდევ არ არის ქართული ეკონომიკის იმ სამთაგან ერთ-ერთი მომაკვდინებელი ცოდვა. ეს სხვის წისქვილზე წყლის დასხმაა...

ეკონომიკურ საკითხებში ღრმად ჩაუხედავი ადამიანიც კი იოლად მიხვდება, რომ ბაზრობათა ქსელის განვითარება, სადაც ძირითადად უცხოეთში ნაწარმოები ფართო მოხმარების საგნები და სხვა პროდუქცია იყიდება, საქართველოს ეკონომიკის წინააღმდეგ, ადგილობრივი წარმოებების საბოლოოდ გასანადგურებლად მიმართული გლობალური ღონისძიებაა.

მაგრამ, არც ეს გახლავთ საქართველოს ეკონომიკის რომელიმე მომაკვდინებელი ცოდვა. საიმისოდ, რომ ქვეყანა ადგილობრივი წარმოებისათვის უფუნქციო ტრანზიტულ არტერიად და ტურისტულ ზონად აქციო, საჭიროა მისი ინტელექტუალური პოტენციალის დაქვეითება და მოსახლეობის მომსახურე პერსონალად გადაქცევის ღონისძიებათა აქტივირება, რასაც **"ბრწყინვალედ"** ართმევს თავს ნაცმოელთა საგანმანათლებლო სისტემა, მაგრამ, არც ეს გახლავთ საქართველოს ეკონომიკის მომაკვდინებელი ცოდვა, რადგან ამ სფეროში სტატუს-ქვოს აღდგენა ისევე სწრაფად შეიძლება, როგორი სისწრაფითაც დაინგრა ქართული განათლების სისტემა.

ელემენტარული გამოთვლით შეიძლება დადგინდეს, თუ რამდენი თანამედროვე წარმოება გაიხსნებოდა საქართველოში იმ სამოცი მილიონი ლარით, რომელიც ლილოს ბაზრობის კეთილმოწყობას მოხმარდა. ავიღოთ თუნდაც იმ პროდუქციის წარმოება, რომლის ნედლეულის მოყვანას საქართველოში, მართლაც რომ ღვთის წყალობით, არც დიდი ჯაფა სჭირდება და არც კაპიტალდაბანდება. ავიღოთ თუნდაც მაუალო, პანტა, ასკილი, ანწლი და სხვა ხილკენკროვანი კულტურა, (თავი გავანებოთ ტუნგოს და ევკალიპტს, რომლის ხეებიც ბარბაროსულად ნადგურდება დღეს საქართველოში) რომელიც უხვად მოიპოვება ჩვენთან და რომლისგანაც უნიკალური სამკურნალო თუ სამრეწველო პროდუქციის დამზადება შეიძლება. მაგრამ საქართველოს ხელისუფლის მიზანი ქვეყნის ეკონომიკის საფუძვლიანად განადგურებაა და არა მისი აღორძინება.

დღეს სამწუხაროდ, აზრი ეკარგება საქართველოში სამრეწველო ობიექტების მშენებლობას, რადგან, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, მრეწველობის განვითარება მაშინ არის გონივრული, როცა ქვეყანას პოტენციური ბაზარი გააჩნია. საქართველოს ჰქონდა ასეთი ბაზარი უკიდეგანო რუსეთის სახით, სადაც ეშელონებით მიედინებოდა სოფლის მეურნეობის პროდუქტები, ეკზოტიკური ხილი, მინერალური წყლები, უნიკალური ღვინოები... საქართველოს ეკონომიკის მოსაკლავად სომეხმა სააკაშვილმა და მისმა ამფსონებმა საქართველოს სწორედ ეს ბაზარი დაუკარგეს რუსეთთან ურთიერთობების საბოლოოდ წახდენით. ასე რომ, საქართველოს ეკონომიკური სივრცე გადაიქცა ერთგვარ **"გრავიტაციულ სამარედ"**, იმ **"შავ ხვრელად"**, რომელიც საკუთარ წიაღში შთაინთქმება. სასაცილოა სააკაშვილის რიხიანი შეპირება იმის თაობაზე, რომ ჩვენს ღვინოს ჩინელები და ევროპელები იყიდიან, რომ რიგაში, კიევსა და მინსკში გიჟდებიან ჩვენს ხილსა და წყლებზე. ყველამ კარგად უნდა ჩავიბეჭდოთ თავში – ვიდრე რუსეთის ბაზარს არ დავიბრუნებთ, საქართველოს ეკონომიკას საშველი არ დაადგება!

მით უმეტეს, რომ მალე უკრაინის ეკონომიკურ სივრცესაც დავკარგავთ იქ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო.

ახლა, რაც შეეხება ქართული ეკონომიკისათვის მომაკვდინებელ იმ სამ ცოდვას, რაც დამოკლეს მახვილით ჰკიდია ყველა ქართველის თავზე.

ედუარდ შევარდნაძემ თავისი **"მეორედ მოსვლად"** წოდებული სახელისუფლებო **"მოღვაწეობა"** ქვეყნის ყვლეფა-გაჩანაგებით დაიწყო. მან ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ ქვეყანა გაძარცვულიყო, გადარიბებულიყო, გამათხოვრებულიყო და შემდეგ მისი დამონება იოლი იქნებოდა. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ნიშანდობლივ ფაქტს. როცა რუსმა სამხედროებმა საქართველოს ერთ-ერთ სოფელ მერიასთან განლაგებული სამხედრო-საავიაციო ბაზა დაცალეს, იქ დარჩა 22 ერთეული უნიკალური რუსული სამხედრო ვერტმფრენი, რომლის ფასი მილიონობით დოლარს აჭარბებდა. შემდეგში რომ გამოუსადეგარი ყოფილიყო, შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების წაქეზებით ჯართის მაძიებელმა დამშეულმა ხალხმა ეს ვერტმფრენები რამდენიმე დღეში გაძარცვეს, სპილენძის ნაწილები დახსნეს და ჯართში ჩააბარეს, რითაც ეს ვერტმფრენები პრაქტიკულად გამოუსადეგარ მეტალის გროვად იქცა. ასე ექცეოდა შევარდნაძის ხელისუფლება ყველაფერ ღირებულს, რაც შეიძლებოდა მომავალში გამოდგომოდა ქართველ ხალხს (რაც შეეხება ჯართის შეგროვებას, რომელი ბიზნესიც საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თავის რჩენის ერთადერთ საშუალებად არის ქცეული, იგი დიდი ხანია სისხლიან ბიზნესად გადაიქცა, რადგან უამრავი ადამიანი იმსხვერპლა ნაგავში გადაყრილი ნაღმის აფეთქებამ. ბოლოს კი, ამა წლის 14 იანვარს, ჯართად მიჩნეული ნაღმის აფეთქებამ გონიოში სამი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა).

სწორედ შევარდნაძის დამსახურება გახლავთ ის ამბავი, რომ ნებისმიერი მაღალი რანგის მქონე სახელმწიფო მოხელეს თვეების განმავლობაში შეეძლო მექრთამეობითა და სხვა დანაშაულებრივი მაქინაციებით მილიონობით ფულადი თანხის მოხვეჭა და ამისათვის პასუხს არავინ მოსთხოვდა. მან მკვლელების, ყაჩაღისმქნელების, ცრუპოლიტიკოსებისა და მატყუარა ხელმრუდთა სარბიელად აქცია ქართული პოლიტიკური არენა, რაც კარგს არაფერს უქადდა საქართველოსა და ქართველებს. შევარდნაძემ საფუძვლიანად გახრწნა ახალგაზრდა პოლიტიკოსების მთელი წყება, ასწავლა მათ ხაზინის ქურდობა, სახელმწიფო სახსრების მითვისება და ხალხის ყაჩაღური ძარცვა სხვადასხვა სახის გადასახადების განუხრელად ზრდით, რაც იწვევს მოსახლეობის გაღატაკებას და ადამიანებში უიმედობის სინდრომის დამკვიდრებას და რაც დღესაც მძლავრობს სახელისუფლებო წრეებში, მიუხედავად საქართველოს პრეზიდენტის მიერ ვითომ მათ წინააღმდეგ გამოცხადებული შეურიგებელი ბრძოლისა. მან ჩაკლა ხალხში ეროვნული ღირსების გრძნობა და ერს შეაზიზღა სამშობლო, რადგან ნებისმიერი ქართველი, რომელმაც შეგნებული სიცოცხლის თუნდაც რამდენიმე წელი გაატარა შევარდნაძის მმართველობის პერიოდის საქართველოში, ხელისუფლებას მიიჩნევს სინდისგარეცხილ ყაჩაღად და არა იმ მზრუნველ სტრუქტურად, რომელსაც დღემუდამ უნდა აწუხებდეს ქვეყნისა და ხალხის ბედი. შევარდნაძემ და სააკაშვილმა ქართველებში ჩაკლეს პატრიოტული სული და ერი აქციეს უპრინციპო მასად, რომელსაც აღარ გააჩნია მორალური და ზნეობრივი ორიენტირი. შედარებისათვის კვლავ გერმანიის მაგალითი უნდა მოვიშველიოთ – 1933 წელს, როცა გერმანიის ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი, ქვეყანა უაღრესად გაჭირვებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მაგრამ გერმანიის მოსახლეობას ფიურერმა დაუსახა ქვეყნის აღორძინების კონკრეტული ამოცანა, რამაც ერთ მუშტად შეკრა გერმანელი ხალხი. რურის მიწა ყოველთვის ითვლებოდა გერმანიის ინდუსტრიის ქვაკუთხედად, რადგან იქ მოიპოვებოდა ქვანახშირი, ხოლო მაღაროში მუშაობა საამაყოდ ითვლებოდა. იმ დროს, თითოეულ მეშახტეს, გასათბობად და სხვა საოჯახო საჭიროებისათვის უსასყიდლოდ ეძლეოდა ყოველდღიურად 8 კილოგრამი ქვანახშირი. იმისათვის, რომ ქვანახშირის აწონვაში ძვირფასი დრო არ დაეკარგათ, მეშახტეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს ხის ჩემოდნები, რომელშიც ჩადიოდა ზუსტად 8 კილოგრამი ქვანახშირი. აღსანიშნავია, რომ დღეს ეს ჩემოდნები თითოეული რურელის ოჯახში ძვირფას რელიქვიად ინახება და იგი გერმანელთა საამაყო ექსპონატს წარმოადგენს. ნიშანდობლივია, რომ არცერთ მეშახტეს არასოდეს მოსდიოდა თავში ზედმეტი ქვანახშირის სახლში ქურდულად წაღების აზრი, მიუხედავად იმისა, რომ მათ აშკარად არ ყოფნიდათ ნორმირებული ქვანახშირი. თანაც, მათ გამოანთავისუფლეს ქვანახშირის მწონავის თანამდებობა, რადგან, მათი აზრით აქ დამატებითი კონტროლი საჭირო არ იყო და თავადაც კარგად მოუვლიდნენ ქვანახშირის განაწილების საქმეს. იცით რატომ? იმიტომ, რომ გერმანელებს მიზნად ჰქონდათ დასახული გერმანიის აღორძინება და მძლავრი სახელმწიფოს შექმნა და არა მხოლოდ საკუთარი ოჯახის კეთილმოწყობა თანამოქალაქეთა გაქურდვისა და გაძარცვის ხარჯზე.

ახლა კი დროს იმ სამ მომაკვდინებელ ცოდვაზე ვისაუბროთ.

პირველი ცოდვა გახლავთ ის, რომ ჯერ შევარდნაძემ, შემდეგ კი მისმა **"ღირსეულმა"** მემკვიდრემ სააკაშვილმა ქვეყნის ქონებას მქურდავებად მიუჩინეს თანამდებობის პირები, ქურდობა კი, როგორც მოგეხსენებათ, დიდ ცოდნასა და ეკონომიკის საკითხებში განსწავლულობას არ მოითხოვს, ამიტომ, ხელისუფლების წარმომადგენლები მოკლე ვადებში გახდნენ მილიონერები და უკანონოდ დაეუფლნენ ქართველი ხალხის მიერ ათწლეულობით შექმნილ ეროვნულ სიმდიდრეს.

მეორე ცოდვა გახლავთ ის, რომ დანაშაულებრივმა ნომენკლატურად ნაქურდალ-ნაოხრალი ფული საქართველოს ეკონომიკაში აღარ დააბანდა და მალულად სხვა ქვეყნების ბანკებს მიაბარა შესანახად.

სწორედ აქედან მომდინარეობს **მესამე,** ქართული ეკონომიკისათვის ყველაზე მომაკვდინებელი ცოდვა.

როგორც ჩვენმა ერთ-ერთმა მეგობარმა თქვა, ფეხბურთში რამდენიც არ უნდა ივარჯიშო, პელე ვერ გახდები, – პელედ უნდა დაიბადოო. ასეა ბიზნესშიც. წარმატებული ბიზნესმენი ვერ გახდები, ბიზნესმენად უნდა დაიბადო. ამ სფეროში წარმატებას შეიძლება მიაღწიო მაღალი კლასიკური განათლების მიღების გარეშეც, რადგან ბიზნესში გადამწყვეტია არა მაღალი განათლება, არამედ ღვთით ბოძებული ნიჭი – განუმეორებელი ინტუიცია და მოსალოდნელი რისკების ოპერატიულად განსაზღვრის უნარი. ამდენად, სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული არამზადა, რომელმაც მექრთამეობითა და ათასგვარი მამაძაღლობით იშოვა დიდძალი თანხა, ირჩევს, რომ გადაიქცეს რანტიედ, ეს თანხა რომელიმე საზღვარგარეთული ქვეყნის ბანკში დააბანდოს და მისგან ამოგებულ პროცენტებზე იცხოვროს. ამდენად, საქართველოსათვის მოპარული თანხა, ასეთი არამზადის ხელში, საქართველოსათვის სამუდამოდ და უიმედოდ დაკარგულია. კიდევ ერთი მიზეზი აიძულებს ამ არამზადას, რომ ფულის ბანკში შენახვით იყოს მშვიდად და რისკზე არ წავიდეს, რადგან ამა თუ იმ სფეროში ჩადებული თანხის დაკარგვის შიშის ქვეშ იქნება ბიზნესის სფეროში გაუთვითცნობიერებლობისა და სრული უმეცრების გამო. და რაც მთავარია, მას ფულის გადამალვას აიძულებს იმ დამშეული ხალხის მიმართ შიში, რომელსაც ეს თანხა მოპარა და დამშეულგაუბედურებული მიაგდო.

თუ ჩვენ ეს ვიცით, არა გვგონია, რომ არ იცოდნენ იმ უცხოელმა კეთილსინდისიერმა ბიზნესმენებმა, რომლებიც მუდამ ინვესტიციების ხელსაყრელად დაბანდების გზებს ეძებენ და შესაფერის საშუალებას ხელიდან არ უშვებენ. სწორედაც რომ არ ესწრაფვიან ისინი კორუმპირებული და სულიან-ხორციანად საშოვარს გადაგებული ხალხის მიერ ოკუპირებულ საქართველოში ინვესტიციების დაბანდებას. კორუფცია კი ის სასიკვდილო ცოდვაა, რომელიც ანგრევს არა მხოლოდ ეკონომიკას, არამედ საზოგადოების ზნეობასა და მორალს, რაც ერის ცოცხლად დასამარებას ნიშნავს... და კიდევ ერთი – ფაქტია, რომ მთელი ეს უბედურება საზღვარგარეთიდან არის ნაკარნახევი, რაც მიზნად ისახავს ქართველი ხალხის საბოლოოდ დამონებასა და დაჩაჩანაკებას, რათა მას არასოდეს შეექმნას სრულყოფილი სახელმწიფოს ჩამოყალიბების ილუზია...

P.S. შეიძლება ჩვენი ეს წერილი საკმაოდ ეკლექტურია, მაგრამ იგი არ გახლავთ ღრმად განსწავლული ეკონომიკური ექსპერტის მიერ ჩატარებული მეცნიერული კვლევის შედეგი. ეს გახლავთ ქართული საზოგადოების იმ ფენის განცდა, რომელმაც გარკვეული მიზეზების გამო ვერ მოახერხა ლუმპაპურის საძებრად საზღვარგარეთ წასვლა, რომელიც მუდამ სიცივესა და შიმშილში იმყოფება და საბოლოოდ აქვს გადაწურული მომავლის ის იმედი, რომელსაც მარცხნივ და მარჯვნივ როყიოდ არიგებს საქართველოს **"გაბანდიტებულ-გამოყვარყვარებული"** ხელისუფლება.

ციტატა შეხსენება

„ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ ახლანდელმა კოლონიურმა და ნახევრად კოლონიურმა სახელმწიფოებმა, მათ შორის პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმაც, საიდანაც მდიდარი ქვეყნები თავიანთი მრეწველობისათვის ნედლეულს ზიდავენ, თვითონ დაიწყონ ახალი სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვა და კონკურენტუნარიანი საქონლის დამოუკიდებლად წარმოება. ეს ხომ კატასტროფაა მდიდარი ქვეყნებისათვის: ისინი ჰკარგავენ ნედლეულის მიმწოდებლებს, მათი პროდუქცია აღარ გაიყიდება, მათ მთავრობებს აღარ ექნებათ ამ ქვეყნებზე ზეწოლის ბერკეტები, ვინაიდან ისინი დამოუკიდებლები გახდებიან... მაგალითად, საქართველოსათვის არ არის გათვალისწინებული სამრეწველო, აგრარულ-ინდუსტრიული განვითარება, მის ტერიტორიას, როგორც ირკვევა, სატრანზიტო მიზნით გამიოყენებენ... ამისათვის საჭირო არ არის ინტელექტუალური პოტენციალი...

ალექსანდრე ჭაჭია,
2000 წლის მაისი"

როლანდ ჯალაღანია

ლავრენტი ბერია — ქართული გენია

სერგეი კრემლიოვი

ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

დნეპროპეტროვსკის ოლქის საარჩევნო კომისიაში გზა გაიკვალეს დიდმა კულაკებმა. ისინიც ემზადებოდნენ არჩევნებისათვის, მაგრამ, როგორც ამბობენ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე. და დნეპროვშჩინის ხალხმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია მათ – პირიქით, საკუთარი ინტერესების საზიანოდ წამოეგო მათ ანკესზე.

ყირიმის ტელმანის რაიონში სოფსაბჭოს თავმჯდომარედ წესიერი ადამიანის ნაცვლად აირჩიეს გარეწარი, რომელმაც ხალხის ინტერესებისადმი მტრულად განწყობილი საბჭოს შემადგენლობა შეკრიბა.

არხანგელსკის ოლქის კოტლასის რაიონში მდვდელმა შეკრიბა მორწმუნეები და ეუბნებოდა **„თქვენ ორგანიზებულად მიდიხართ არჩევნებზე, მაგრამ ხმა არ უნდა მისცეთ კომუნისტ კანდიდატებს. კომუნისტები არჩევნებზე უნდა ჩავაფლავოთ“.** მდვდელი ამას თავადებს კი არა, არამედ გლეხებს ელაპარაკებოდა.

ეს ყველაფერიც ხომ იყო!

მათ, საკუთარი თავის მტრებს, კომუნისტების დამხობა არ შეეძლოთ, მაგრამ ქვეყნის დესტაბილიზირებას თავისუფლად მოახერხებდნენ.

საქართველოში მე ამგვარი **„წინასაარჩევნო ქმედებების“** არსებობის დამადასტურებელი ცნობები არ გამაჩნია. მაგრამ, შემიძლია წარმოვიდგინო, თუ როგორ წინააღმდეგობებს აწყდებოდა იქ ბერია. მიუხედავად იმის, რომ მოსახლეობის რიცხვით საქართველო უტოლდებოდა კალინინის ოლქს – დაახლოებით 3,5 მილიონი ადამიანი, რეპრესიები აქ ნაკლებადმასშტაბური იყო.

არსებობს დოკუმენტი, რომლის ჭეშმარიტება ჩემში ეჭვს იწვევს – **„ცნობა გასამართლებულთა თაობაზე, რომელთაც მიესაჯათ სასჯელის უმაღლესი ზომა საქართველოს შინსახკომის განსაკუთრებული სამეულის მიერ 1937-1938 წლებში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქობულოვი“.** ეს ცნობა დათარიღებულია 1953 წლით და მას ხელს აწერს საქართველოს შსს პირველი საიდუმლო ნაწილის უფროსი, პოლკოვნიკი ნ.კოპალეიშვილი. აი, ამ ცნობაში მოყვანილი ციფრები:

სულ განხილული იქნა საქმე – 1.756

მათ შორის მიესაჯა დახვრეტა – 1.233

მიესაჯა პატიმრობა სხვადასხვა ვადით – 514

განთავისუფლებულია – 9

ბერიას მიერ დახვრეტილთა თაობაზე მოსკოვში გაგზავნილი საკონტროლო ციფრი იყო 1.419 კაცი. რეალურად ეს ციფრი მცირედით აღმოჩნდა გაზვიადებული და ეს მაშინ, როცა საქართველოში ათიათასობით იყვნენ ყოფილი მენშევიკები, ნაციონალისტები, თავად-აზნაურები, **„მოვაჭრე პროლეტარიატი“** და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ ბერიას, ისევე როგორც სტალინს, სისხლი არ უყვარდა. მით უმეტეს, **„ჩეკისტური ოპერაციის“** წარმატებით ჩატარებას მალე **„გაწმინდა“** ამიერკავკასია. არც საქართველოში, არც სომხეთსა და არც აზერბაიჯანში სერიოზული **„მეხუთე კოლონა“** არ ყოფილა. კავკასია კი ის ზონაა, რომელსაც ომის დროს ბაქოს ნავთობი ექნება.

ამ სიტუაციაში იკვეთებოდა სხვა მნიშვნელოვანი დეტალები. მაგალითად, 1937 წლის 14 ივნისს გერმანიაში **აშშ**-ს ელჩმა პროფესორმა უილიამ დოდმა დღიურში ჩაწერა:

„შაბათს სტალინმა სიკვდილით დასაჯა საბჭოთა წითელი არმიის რვა გენერალი. ისინი ეჭვმიტანილები იყვნენ გერმანელ და ფრანგ ფაშისტებთან კავშირში და მიზნად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას... მე მიჭირს იმის თქმა, თუ რა იმალება ყოველივე ამის მიღმა, მაგრამ, ჰიტლერის ადიუტანტმა ვიდემანმა ჩემთან საუბარში განაცხადა, რომ შაბათ დღეს უნდა შეაგროვოს დაწვრილებითი ინფორმაცია ყოველივე ამის თაობაზე და წარუდგინოს ჰიტლერს, რომელიც ამ დროს ბერსტესგადენში იმყოფებოდა, ავსტრიის საზღვართან ახლოს. ეს გვაიძულებს ვიფიქროთ – ჰიტლერის რომელიმე თანამებრძოლი ხომ არ აწარმოებდა კულუარულ თამაშებს რუსეთში...“

ეს თავისთავად საინტერესოა, მაგრამ დოდმა კიდევ რაღაცა ჩაწერა:

„...გერმანული გაზეთები ამ მოვლენას აფასებენ როგორც თანამედროვე ისტორიის უდიდეს დანაშაულს... უცნაური სანახავია... გებელსი... გერმანული გაზეთების თავკაცი, რომელიც გულისწყრომას გამოთქვამს რუსეთში გენერლების დასჯის გამო“.

მართლაც რომ უცნაურია. ნაცისტებს უნდა გახარებოდათ **„რუსების სამხედრო პოტენციალის შესუსტება“,** ისინი კი მწუხარებას გამოთქვამენ...

როცა მტერს ვინმე ეცოდება, ეს ყოველთვის ეჭვს იწვევს.

აი, 1937 წლის ზაფხულის კიდევ ერთი, **„ამერიკული“** დეტალი...

28 ივლისს, ამერიკის ელჩმა, ამჯერად საბჭოთა კავშირში – ჯოზეფ ედვარდ დევისმა ვაშინგტონში გააგზავნა შიფრგრამა 3457, რომელშიც უარყოფდა ხმებს იმის თაობაზე, რომ საბჭოთა კავშირში ხალხი გამოთქვამს უკმაყოფილებას და მთავრობა შეიძლება დაემხოს.

„რაც შეეხება ტუხაჩევსკის საქმეს, – იტყობინება დევისი, – **კორსიკული საშიშროება ჯერჯერობით ლიკვიდირებულია.“**

ეს გახლდათ ობიექტური ინფორმაცია – თავისიანებისათვის.

2 ივლისს ელჩი (სხვათა შორის, მსხვილი ბიზნესმენი) სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებდა. ამ დღეს იგი შეხვდა სსრკ საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ლიტვინოვს. მათი შეხვედრის ოფიციალურ ჩანაწერში ლიტვინოვი აღნიშნავს:

„4. დევისი აღტაცებას ვერ მალავდა ჩვენი ხელისუფლების მიღწევათა გამო, ჩვენი ძალის, ენერგიისადმი და ა.შ. სამი თვის შემდეგ, როცა მოსკოვში ჩამოვიდა, იგი სულ სხვა აზრს იზიარებს – საუბრობს საბჭოთა არმიის სისუსტეზე, რეჟიმის არამდგრადობაზე, ხელმძღვანელობის ზოგად შეცდომებზე და ა.შ.“

შემდეგ ლიტვინოვი იტყობინებოდა, რომ, დევისის თქმით **„საბჭოთა ხელისუფლებისა და არმიის მისამართით“** არც თუ საქებარი მოწინავე წერილები დაიბეჭდა ამერიკის 40 ავტორიტეტულ გაზეთში. და ეს ხდება მაშინ, როცა ამერიკა ტრიუმფით შემოიარეს საბჭოთა მფრინავებმა ჩკალოვმა, ბაიდუკოვმა და ბელიაევმა, რომელთაც დაუშვებლად იფრინეს, ჩრდილოეთ პოლუსის გავლით, რუსეთიდან ამერიკამდე. მალე არანაკლები ტრიუმფით შემოიარეს ამერიკა მფრინავებმა გრომოვმა, იუმაშევმა და დანილინმა... ასე რომ, დევისი მთლად გულწრფელი არ იყო – მას გარკვეული მიზანი ჰქონდა: სტალინთან მიეგზავნა ინტერვიუზე რომელიმე სახელგანთქმული ჟურნალისტი, ამერიკელი, ინგლისელი ან ფრანგი...

დევისის აზრით სტალინი ამ ინტერვიუთი განამტკიცებდა აზრს **„საბჭოთა სისტემისა და არმიის უძლეველობის შესახებ“.**

მაგრამ, ეს იდეა ალბათ მარტო დევისს არ ეკუთვნოდა. საეჭვოა, რომ იგი დაინტერესებული ყოფილიყო საბჭოთა შეიარაღებული ძალები წარმატებებით, თუმცა, ამერიკელებს მაინც სურდათ იმ ძალის ხილვა, რომელიც მათ მხარში ამოუდგებოდა იაპონელთა წინააღმდეგ გამართულ ომში. ალბათ ეს უფრო რუსეთის შიდაპოლიტიკური სიტუაციის მოსინჯვის მცდელობა იყო.

19 აგვისტოს მოსკოვში ჩამოვიდა ჟურნალ **„ტაიმის“** საზღვარგარეთის განყოფილების გამგე ლეირდ გოლდსბორო, რომელსაც სტალინის ან კალინინისაგან ინტერვიუს აღება სურდა. ხოლო თუ ეს არ მოხერხებოდა, მაშინ ხელისუფლების რომელიმე წარმომადგენელს გაესაუბრებოდა.

მაგრამ გოლდსბორო უკმაყოფილო დაბრუნდა სამშობლოში – სტალინს ინტერვიუსათვის არ სცხელოდა.

თუ მარტში, როცა ჰოვარდს აძლევდა ინტერვიუს და დარწმუნებული იყო საკუთარ თავში, სამშობლოსა და პარტიის ძლიერებაში, ახლა, სამხედროებთან დაკავშირებული ივნისის სასამართლო პროცესის შემდეგ იგი ერთიანად დაძაბული იყო. სწორედ ამის დემონსტრირება არ სურდა მას უცხოელი ჟურნალისტისათვის.

რა დროს ინტერვიუა, როცა გამოვლინდა, რომ თურმე უამრავი ბოღმა და ბალღამი დაგროვილა **„მაღალ ეშელონებში“.** არც **„ქვედა“** შრეებშია საქმე მთლად კარგად...

აი რატომ იმედოვნებდნენ რუსეთის შიდა და გარე მტრები, რომ სტალინის რეპრესიული ღონისძიებები შეარყევდნენ მის ავტორიტეტს და დაასუსტებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, რაც, საბოლო ჯამში ანტისტალინური გადატრიალებით დასრულდებოდა.

ყველაფერი, რაც დროთა განმავლობაში მიჩქმალული იყო, სწორედ ამ წელს გამოვლინდა. და მხოლოდ სტალინის (ფაქტიურად – საბჭოთა კავშირის) მტრების ბოროტი ნება გახლდათ ის, რომ რეპრესიების ტალღა საკმაოდ დიდი რაოდენობის ხალხს შეეხო.

მტრები იყვნენ!

და ისინი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ მათმა ტრაგედიამ იმ ეპოქის საზოგადოებრივი ყოფის ატმოსფერო ჩამოაყალიბა. იგი ვრცლად აისახა არა მხოლოდ გაზეთებსა და პლაკატებში, არამედ საზოგადოების შემოქმედებით ცხოვრებაში.

იური ჟუკოვი ამტკიცებს, რომ გამორიცხულია ერთმანეთს გაუანგარიშებლად დამთხვეოდა იმ დროის ორი დიდი მოვლენა – უცხო ელემენტთა რეპრესიების **„ოპერაცია“** არჩევნების წინ და თვით უმაღლესი საბჭოს არჩევნები.

კავშირი მათ შორის უეჭველად არის.

მაგრამ **„ოპერაციას“** არ უნდა დაეფრთხო ამომრჩეველთა დიდი მასა – რეპრესიებმა მოიცვა მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი, ისიც საბჭოთა ხელისუფლებისადმი აშკარად მტრულად განწყობილი ელემენტები. და ოპერაცია, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არ დასრულებულა არჩევნების დაწყებამდე.

„ოპერაციის“ მიზანი იყო როგორც გარედან მოსალოდნელი ინტერვენციისათვის საყრდენის გამოცლა, ასევე ტროცკისტებთან და შეთქმულ სამხედროებთან კავშირში მყოფი პარტიულ-სახელმწიფო ბიუროკრატიის მიერ შიდა არეულობის პროვოცირება.

ძნელია ამ შეთქმულებათა რეალური მასშტაბების დადგენა. რეალურად კი იყვნენ კომუნისტ ხელმძღვანელთა შორის ის მეოცნებენი, რომლებიც **„ვაშლებით გაწყობილი შემწვარი ბატის“** სანაცვლოდ მზად იყვნენ დაენგრიათ საკოლმეურნეო წყობა თავისი მანქანა-ტრაქტორებით და სამომავლო გეგმებით.

მათ რიცხვში იდგნენ ის პილნიაკოვები და პლატონოვები, რომლებიც აკმაყოფილებდნენ ამ, ვითომ კომუნისტების სულიერ მოთხოვნებს. ეს კი აუცილებელი გახლდათ, პატივცემულო მკითხველო, იმიტომ, რომ ევროპაში უკვე დენთის სუნი ტრიალებდა.

იური ჟუკოვი დაკვირვების შედეგად ასკვნის, რომ იმ დროისათვის ბრალდებებს არ გააჩნდათ პოლიტიკური შეფერილობა. მათ ნაცვლად გაჩნდა ბრალდების სრულიად ახალი ფორმა – ანტისახელმწიფოებრივი დანაშაული: ღალატი, შპიონაჟი...

ყველაფერი სარწმუნოა! ყველაზე უდავო და გაუგებარი მასისათვის სწორედ ეს ფორმულირება გახლდათ, და სწორედ მას იყენებდნენ. უფრო იოლი იყო ხალხისათვის გეთქვა, რომ ბუხარინი, სხვა უბედურებასთან ერთად, ჯაშუშიცაა, თუნდაც იგი არ ყოფილიყო გესტაპოს საიდუმლო აგენტი (იგი ნამდვილად არ იყო აგენტი).

თანამედროვეობის ენით რომ ვთქვათ, გავლენის აგენტი იგი ნამდვილად იყო. მთავარი ის გახლდათ, რომ დაპატიმრებულები და გასამართლებულები სამშობლოს წინაშე დამნაშავეები იყვნენ და სასიკვდილო განაჩენს **იმსახურებდნენ**.

და ის, რომ ისინი იყვნენ არა იმპერიალიზმის აგენტები, არამედ ჩავარდნილი შეთქმულების მონაწილეები, მთავარი არ გახლდათ. ყოველ შემთხვევისათვის, მსოფლიოში მოსალოდნელი გრანდიოზული ძვრების წინ სულაც არ იყო საჭირო საბჭოთა ხელისუფლების სათავეებში მომხდარი პოლიტიკური განხეთქილების დემონსტრირება, მაშინაც კი, როცა იგი ბრწყინვალედ იქნა დაძლეული.

აი, ასე ტრაგიკულად შეეჯახნენ ერთმანეთს 1937 წელს დემოკრატიისა და რეპრესიების აუცილებლობანი – ქვეყნის შემდგომი დემოკრატიზაციის სახელით.

უმაღლესი საბჭოს მეორე არჩევნები 1941 წლის დეკემბერში სულ სხვაგვარად უნდა ჩატარებულიყო... მაგრამ, ამ წლის დეკემბერში ქვეყანას, სამწუხაროდ, სულ სხვა საზრუნავი გაუჩნდა.

ამიტომ, პოტენციურმა კონფლიქტმა კვაზისოციალიატურ მომაკვდავ პარტოკრატიასა და სოციალისტური შემოქმედებით ტექნოკრატიას შორის თავი შეინახა.

ხრუშჩოვმა, ამავე დროს, მოახერხა სტალინის ნდობის შენარჩუნება.

აი, იაკოვლევ-ეპშტეინი კი შეეწირენ ან ჭეშმარიტ საკუთარ შეცოდებებს, ან არსებულ სიტუაციას, ან ვიღაცის ინტრიგებს...

ბერია? ბერია ტფილისში დაბრუნდა – მას უამრავი სასწრაფო საქმე ჰქონდა, რომელთა შორის პირველ ადგილზე აშკარად არ იდგა 1937 წლის რეპრესიები. მას საკუთარი ბედი არ აღელვებდა, იმიტომ, რომ მისი ძირითადი საზრუნავი საქმე გახლდათ. აქედან გამომდინარე, ბერიას სტალინის მხარე ეჭირა.

თითქმის ყველანი, ვინც წერს სტალინზე (და – ბერიაზეც), ამტკიცებს სტალინის (ბერიას) მიერ ძალაუფლებისათვის გამართულ ბრძოლაზე. ისინი აღწერენ თითქოსდა არსებულ რაღაც ინტრიგებსა და კომბინაციებს, წერენ სტალინის (და – ბერიას) საოცარ უნარზე, რომ ერთმანეთისადმი შუბლებით დაეტაკებინათ პირადი მტრები, რომ მოქმედებდა პრინციპით: **„დაყავი და იბატონე“...**

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლხეთი — ჩვენი სამყაროს კარიბჭე

გთავაზობთ ნაწყვეტს აკადემიკოს კლიმენტი შელიას წიგნიდან

ჰომეროსი (ძვ.წ.აღ.XI-X ს.ს.) ოდისევსის მოგზაურობას ადარებს არგონავტების მოგზაურობას კოლხეთში, მაშასადამე, როგორც ვიცით, თქმულება არგონავტებზე ჰომეროსამდელია. ბერძენი სწავლულები მიუთითებენ, რომ კოლხებს უსაზღვროდ უყვართ და ამაყობენ თავიანთი ქვეყნით. აქვთ კიდეც საამაყო. ოდისევსიც ოცნებობს: **"მხოლოდ კვამლი, ითაკის მიწიდან ადენილი კვამლი დაინახოს და მერე თუნდაც მოკვდეს".**

ზევსი, პრომეთე, ჰერა, დიონისე, ჰეკატე, იაზონი და არგოს მთელი შემადგენლობა კოლხურ-პელაზგურად მეტყველებდნენ (გ. ჭელიძე). სტრაბონი ამბობს: **"პელაზგები ითვლებიან "უძველეს ხალხად", ყველა ტომის მამამთავრად, რომლებიც ურყევად და განკერძოებულად ცხოვრობენ".**

პროფესორი ლევან სანიკიძე წერს: **"ისე, როგორც უდიდესი ცივილიზაციის შემოქმედი ბერძენი ხალხი შექმნილია სამი ნათესაური გვარტომისაგან – იონელთა, დორიელთა და ეოლიელთაგან – ასევე სრულიად ქართველი ხალხის შემოქმედიც შეიქმნა სამი მთავარი ნათესავი გვარტომისაგან: ქართები, მეგრელები, სვანები.**

მრავალ საუკუნეთა სარბიელზე ეს სამი დედა გვარტომი იყო მომცველ გამაერთიანებელი ყველა ქართული მოდგმისა, რომელსაც კი სხვადასხვა დროს სახელდებით უცხოვრია საქართველოს მიწა-წყალზე".

ჩანს პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, სამწუხაროდ და გასაკვირად, დიდი ხანია მეგრული ენის წინააღმდეგ **"შეტევისათვის"** ემზადებოდა: 2005 წლის ნოემბერში ჟურნალისტ გიზო მამალაძესთან საუბარში იხსენებს 1992 წლის ნოემბერში და 1995 წლის თებერვალში სტრასბურგში მიღებულ დოკუმენტებს – **"ევროპული ქარტია რეგიონური და უმცირესობათა ენის შესახებ"** და სხვას, რომლებიც წარმოადგენენ სახელმძღვანელო მითითებებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სფეროში. ცოტა გაუგებარია, რომ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს აღნიშნული დოკუმენტები მათი შექმნის 13-14 წლის შემდეგ გაახსენდა. ამ დოკუმენტს იყენებს იმისათვის, რომ თქვას: აქვე უნდა გავიხსენოთ საქართველოში **"არსებული"** დავა, მეგრული და სვანური ენებია თუ დიალექტები? რაც მას სრულ **"საფუძველს"** აძლევს **"გაილაშქროს"** მეგრული ენის წინააღმდეგ.

ორივე ენა – მეგრული და სვანური – ზოგადქართული ცნობიერებისა და კულტურის უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტებია. მეგრულ და სვანურ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები ქართველები არიან.

ცნობილი პოეტი ვახტანგ ხარჩილავა ხაზგასმით ამბობს: **"ქართული ენა... საქართველოს სახელმწიფო ენაა და ამის წინააღმდეგ არც სვანს, არც მეგრელს, საუკუნეების განმავლობაში არ დასცდენია თუნდაც ერთი სიტყვა".**

ვ. ხარჩილავას შემთხვევით არ მოჰყავს მწერალ და ხელოვან მიხეილ ანთაძის ორიგინალურად ნათქვამი სიტყვები: **"განა ბედნიერება არ არის ერთი ერი ვართ და სამი ენა გვაქვს"**. ასევე ლამაზად თქვა თვითონაც: **"საქართველო მრავალეროვნების ერთიანობაა".**

კოლხურ ენას ათასწლოვანი ისტორია აქვს. ამ თვალსაზრისით, ცნობილი მწერალი და მკვლევარი ვლადიმერ ალფენიძე აღნიშნავს **"პროტოქართველური კოლხური ენა ლათინურ ენაზე უძველესია მსოფლიოში. კეთილი თვალით ჩავიხედოთ მსოფლიო ისტორიასა და საქართველოს ისტორიაში და იოლად დავრწმუნდებით ამაში".**

ვლადიმერ ალფენიძის გაანგარიშებით, **"ლათინურიდან ქართულში (კოლხურში) ორ ათასზე მეტი სიტყვაა შესული, ასევე ქართველური – კოლხური ენიდან ძალიან ბევრი სიტყვაა შესული ლათინურში".**

ცნობილია, რომ უძველეს პროტოქართულ სამყაროში – კოლხეთში წყლის საათით ზომავდნენ დროს. **"დროის დინება"** წყლის დინებას დააკავშირეს ძველმა კოლხებმა. დიდმა ელინმა – ბერძენმა ფილოსოფოსმა თალესმა სამყაროს პირველსაწყისად წყალი მიიჩნია. მან სიტყვა **"წყალი"** კოლხური ენიდან აიღო – **"იგრი" – "ინგრ"** – ქართულად **ენგური**, კოლხურად **ინგირი**. თალესმა ბერძნულში **"იგრი"** წყლის სახელწოდებით დაამკვიდრა, რაც კოლხურში წყლის, მდინარის სახელწოდებაა. ეს თალესის ფილოსოფიური წყალია. აღნიშნული საკითხი მაღალმეცნიერულ დონეზე აქვს განხილული ქართული მეცნიერების რაინდს, აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს **"ქართული ფილოსოფიის ისტორიაში"**. ამ ნაშრომში ნათელი აქვს მოფენილი აღნიშნულ პრობლემას.

სიტყვა **"დრო"** წყლის საათს, დროის დენას უკავშირდება და **"დროის დენა", "წყლის დენის"** პარადიგმულია. უძველეს კოლხურ ცნობიერებაში **"ჟამი"** უსათუოდ **"დროს"** უკავშირდება. მაგრამ მას კოლხი ქურუმები ზომავენ არა **"წყლის საათით"**, არამედ **"მზის საათით"**. ქართული სალიტერატურო ჟამი მოდის კოლხური **"ბჟამი"**-დან, რაც **"მზეს", "მზიურს", "მზისეულს"** ნიშნავს სალიტერატურო ენაზე. უძველესი კოლხები – კოლხი ქურუმები მიწიერ **"დროს"** ზომავდნენ მიწიერი საშუალებებით – **"წყლის" საათით, ხოლო ციურ "დროს"** – იგივე **"ჟამს" ("ბჟამ"**-ს) ციური **"კრიტერიუმით" – "მზის საათით"**, ძველმა კოლხმა ქურუმებმა, ასტრონომებმა და ასტროლოგებმა **"დრო-ჟამის"** მოძრაობა **"მზის" ("ჟამი"**-ს) მოძრაობით გამოხატეს. ასე დაიწყო კოსმოსური დროის ათვლა. იაიც კარგად არის ცნობილი, რომ მითოლოგიაში აიეტი კირკე **"ბჟამი" – "მზის შვილები"** არიან. კოლხურ კალენდარში კვირას **"მზის დღე" – "ბჟაშხა"** ერქვა, ფაქტობრივად იხმარება **"ჟაშხა"**. დიდ ივანე ჯავახიშვილს ეს აღწერილი აქვს **"ქართველი ერის ისტორიაში"**.

ხაზს ვუსვამ: მეგრული კვალი კარგად არის შემორჩენილი კვირის შვიდი დღის სახელწოდებაში – კალენდარში. უფრო გასაგები რომ იყოს, აღვნიშნავ შემდეგს:

უძველესი დროიდან კვირის პირველი დღე იყო კვირა, – ესე იგი ათვლა აქედან იწყებოდა. კვირას მეგრულად ჟაშხა-ბჟაშხა-მზის დღე (სემიტურადაც ასე ჰქვია). მეგრულად ბჟა მზეს ნიშნავს (ბჟა მეგრულად რძესაც ნიშნავს). ეს დაკავშირებულია მზის ღვთაება **"უთუ"**-სთან. მეგრული **"უთუ"** ნიშნავს გაუთავებელ ენერგიას – მუდმივ ენერგიას – ე.ი. მზის ენერგიას.

კვირის მეორე დღე ორშაბათი მეგრულად არის თუთაშხა-თუთასდღა-მთვარის დღე (მეგრულად **"თუთა"** არის მთვარე) და შექმნილია შუმერული, იგივე მეგრული ღვთაება **"ნარნარის"**-ს სახელის საფუძველზე.

ხუთშაბათი მეგრულად არის **"ცაშხა"** – ცის დღე.

აღსანიშნავია, რომ გარდა შაბათისა (მეგრულად საბატუნი, საბატუინი (იტალიურად ეს დღე იწოდება როგორც **"საბატო" – "ილორის"** რედაქცია), ყველა დანარჩენი სახელი ბოლოვდება **"ხა"**-თი (მეგრულად ფრთა, ერთი ფრთა, ერთი ნაწილი). ესე იგი, რომელიმე პლანეტაზე ან მნათობზე მიკუთვნებული ნაწილი. აი, ისინი: კვირა – **"ჟაშ"**-ხა, ორშაბათი – **"თუთა"**-შხა, სამშაბათი – **"თახაშ"**-ხა, ოთხშაბათი – **"ჯუმა"**-შხა, ხუთშაბათი – **"ცა"**-შხა, პარასკევი – **"ობი"**-შხა.

კვირის ბოლო დღე – შაბათი (საბატუნი) ღმერთების დღედ ითვლებოდა, ამ დღეს, თუ შესაძლებელი იყო, კაცი სახლიდან არ უნდა გასულიყო და ცეცხლიც არ უნდა დაენთო.

მეგრული კვირის შვიდი დღის დასახელება და სემიტური დღის სახელები თითქმის ერთი და იგივეა.

კვირის შვიდდღიანი კალენდარი, როგორც ითქვა, შექმნილია მთვარის კალენდრის მიხედვით, გადმოტანილია 11 დღე და გამოვიდა 365 დღე.

ქვედა მესოპოტამიაში ხუთ პლანეტას – მერკურს, მარსს, იუპიტერს, ვენერას და სატურნს იქაურმა სწავლულებმა დაუმატეს მანათობელი მზე და მთვარე და ამისგან შეიქმნა კვირის შვიდი დღე. ჩვენი ხალხი დღესაც სარგებლობს სემიტებზე ადრე შექმნილი შვიდი დღის სახელების სისტემით.

ბერძნულ-კოლხური ურთიერთობანი – პელაზგებისა და ლაზების ურთიერთობანი (ამას ბერძნული მითებიც მოგვითხრობენ) ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ბერძნულის აღზევებას მსოფლიო მასშტაბით. ვ. ალფენიძე აღნიშნავს, რომ **"ვისაც კოლხური** (ქართველური) **ენა დიალექტი ჰგონია და არა უძველესი, მსოფლიოს ერთ-ერთი პროტოქართველური ენა, ამავე დროს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე ცივილიზაციის შემქმნელი ენაა** (მათთვის ბევრი რამეები დაუჯერებელია). **ეს ათას სხვა ფაქტთან ერთად, ლათინურში კირკე ღვთისმშობლის კოლხური ენის ძლიერ ლექსიკურ დანაშრევშიც ჩანს".** ვლადიმერ ალფენიძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ლათინურსა და ქართველურში სიტყვათა, ლექსიკურ ერთეულთა საოცარი დამთხვევებია.

ვლადიმერ ალფენიძეს ქართულ-ლათინური ენების ურთიერთზეგავლენისა და სიტყვების ურთიერთთანხვედრილობის (დამთხვევის) გარკვევა-გაანალიზების გარდა, განსაკუთრებით აინტერესებდა, თვისობრივად როგორი სახის დამთხვევაა და კოლხური (ქართული) ენებიდან რამდენი სიტყვა შევიდა ბარძნულ-ლათინურში. ამის უტყუარ საფუძველს იძლევა ბერძნული და რომაული მითოლოგია, რომლის თანახმადაც კოლხი ქალ-ღმერთის კირკეს შვილი ლათინი არის ლათინური ენის შემქმნელი (მითი ამბობს, რომ ლათინი ერის და ენის მამამთავარი არის კოლხი კირკე ღვთისმშობლის ძე – ლათინი). მაშასადამე ღვთისმშობელი კირკე ლათინური ენის დედაა. და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მითი რომ არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ამდენი ქართველური და ლათინური სიტყვები ერთმანეთს ემთხვევა, რაც რეალობაა და მითსა და რეალობას შორის გადებულია **"ენათმეცნიერული ხიდი"**, რომელიც დიდი რუდუნებითა და დიდი ნიჭიერებით შეასრულა ვლადიმერ ალფენიძემ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსულ ენაში უფრო მეტი ლათინური სიტყვებია, ვიდრე ქართულში. ეს იმიტომ, რომ რუსი ერი 4.000-5000 წლით გვიან ყალიბდება, ვიდრე ქართული (კოლხური) და ლათინური ენები. ამიტომ რუსულ ენას ლათინური ენისათვის არაფერი შეუმატებია – რუსული ლათინური სიტყვებით ავსებს ლექსიკურ მარაგს. კოლხური კი პირიქით, გასცემს თავის სიტყვებს ლათინური ენის შესაქმნელად. **"აი, ეს არის მთავარი. ამით ჩვენ ისტორიულ ფაქტებს ვაფიქსირებთ. ეს არავისთვის არ უნდა იყოს საწყენი".**

ვლადიმერ ალფენიძემ ქართველურ (კოლხურ) და ლათინურ ლექსიკაზე დაბეჯითებით მუშაობის შედეგად ერთმანეთს შეადარა 20 ათასი ლათინური და ქართველური (კოლხური) სიტყვა, რის შედეგადაც გამოავლინა მრავალი ასეული სიტყვის თანხვედრა. ვლადიმერ ალფენიძე მიუთითებდა, რომ ლათინურში არსებობდა კოლხური ენის ლექსიკური დანაშრევის ამოცნობის, ამოკითხვისა და ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომ **"მომავალში გაცილებით უფრო მეტის გამოვლენა შეიძლება"**, – წერდა ის.

ქვემოთ მოგვაქვს ლათინურ-ქართული (კოლხური) დამთხვევის მხოლოდ ზოგიერთი მაგალითი: (მედეა, მედიცინა) **medicina** – ლათინურად არის **"ექიმი ქალი"**; **medikus** – **"ექიმი", "მედიკოსი"**; **medicina** – **"მედიცინა", "სამედიცინო მეცნიერება", "მე", "დეა"**, – ქალღმერთი, მედეა ნიშნავს **"ქალღმერთს"**. მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო **"მედეას ლექსიკა"** ლათინურ სამედიცინო ტერმინოლოგიაში, არამედ ლათინურ-ქართული (კოლხური) ლექსიკური თანხვედრები.

ავიღოთ სიტყვა **"ფაზანი" ("ქილორი", "ხოხობი")**. ამ ფრინველს არ იცნობდნენ ლათინელები, ბერძნები, რომაელები და ამიტომ, როგორც ცნობილია, მას ფაზისის ფრინველი უწოდეს (**fazan**). საქართველოში კი ის უძველესი ენდემური ქართველური სიტყვაა – **"ქილორი"** და **"ხოხობი"** (კახეთში).

კოლხურში, იბერულში, ლათინურში გუგულს ერთი და იგივე სახელი ჰქვია **"გუგული"** (ლათინურად **Cucuius**). ასევეა კოლხურში, იბერულში და ლათინურში ფრინველის **"ოფოფის"** სახელწოდებაც – ერთი და იგივეა. ლათინური **serum, seri** არის გვიანი დრო, კოლხურში **"სერი"** თავისი ვარიაციებით **"გვიან დროს"** – ღამეს ნიშნავს; **"გესერეფა", "ეკოსერუა", "ოსერშე"** (ვახშამი – საღამოს სუფრა), ეს სიტყვა, სხვა მრავალ სიტყვებთან ერთად, კოლხურიდანაა შესული ლათინურში. **Seamui+umcseamui** ლათინურად ნიშნავს **"სკამს", "სკამი"** კოლხურად და ლიტერატურულ ქართულში იმავეს ნიშნავს, რასაც ლათინურში.

კოლხურში არის ერთი **"ფილოსოფიური ფრაზეოლოგიზმი". "ჯგირი დო ფური"** – ესე იგი **"კარგი და ცუდი"** – სიკეთე, სიკარგე, რომელიც ჯგეგეს – წმინდა გიორგის უკავშირდება (დაბა ჯვარში არის ჯგეგეს ეკლესია). აი, ამ თვალსაზრისით კოლხური სიტყვა პირდაპირ კავშირშია ლათინურთან, კერძოდ ლათინურ სიტყვასთან **fur** (**"ფურ"**).

ლათინური **lemes, lemen "ზღვარს", "ზღურბლს"** ნიშნავს. **"ლიმა"** კოლხურში ნიშნავს ბრძოლას, ომს. კოლხეთში არის **"ნალიმა" ("ნაომარი")** სამურზაყანოში სათანჯოსთან, რუხის ციხესთან და ზუგდიდთან ახლოს ენგურის ნაპირზე. **"ლიმა"** კოლხურიდან ლათინურში შესული სიტყვაა.

Pontus ლათინურად არის **"ზღვა", "შავი ზღვა"** (ზღვას ლათინურად აგრეთვე ჰქვია "**Sal**" – მარილიანი). ამ სიტყვამ – **"პონტომ"** მისცა სახელწოდება რომის ისტორიაში ცნობილ პონტოს სახელმწიფოს, რომელშიც ერთ დროს შედიოდა კოლხეთი და რომლის მრისხანე მბრძანებელმა მითრიდატე ევპატორმა ორ ათეულზე მეტი ენა იცოდა (22), მათ შორის კოლხური. ამ სახელწოდების ქალაქი ევპატორია დღესაც არსებობს ყირიმში, ხოლო ცნობილ მწერალ ლევან გოთუას გამოქვეყნებული აქვს ისტორიული რომანი **"მითრიდატე"**. კოლხეთში არის გამოთქმა **"პონტო"**, მაგალითად, **"სი ჩიჩიე, პონტოო"**, – ერთი მიმართავს მეორეს, როცა მას ტუქსავს, დასცინის. არის მეორე სიტყვა **"პონტოია"**, – ეს უფრო მოფერებითი სიტყვაა ბავშვისადმი. სიტყვა **"პონტი"** არა მარტო წიგნის, ლექსიკის, არამედ ყოფითი ლექსიკის სიტყვაა. გარდა ამისა, დღევანდელი თურქეთის (ყოფილი ბიზანტიის) ტერიტორიაზე არის პონტოს მთები, რომლის ტოპონიმიკის ნაწილი კოლხურია (ქართული).

ვლადიმერ ალფენიძე აღნიშნავს, რომ ლათინურად **Innascor** ნიშნავს **"დაბადებას", "გაჩენას"**. კოლხურში (ლაზურ-ჭანურ-მეგრულში) **"სქ", "სქუა"** არის **"შვილი"**. კოლხურში **"სქი"** ნიშნავს კვერცხის დადებას – **"სქუალა"**. ეს კოლხური სიტყვა ხომ უკავშირდება სამყაროს მითოსური, მსოფლიოს კვერცხიდან გაჩენის ფილოსოფიას და ეს შინაარსი ხომ არ შეაქვს ამ კოლხურ ლიტყვას ლათინურში?

ლათინური **sace-us ("საკუს")** ქართულად ნიშნავს **"ტომარას", "პარკს"**, ბერძნულადაც ასეა, კოლხურად **"საკი"** არის ტომარა. აქ კოლხური, ლათინური და ბერძნული სიტყვები ერთმანეთს ემთხვევა. გავიხსენოთ ჰეროდოტეს შეხედულება კოლხების მიერ სელისა და კანაფის დამუშავების შესახებ და კოლხეთის პრიორიტეტი ნათელი გახდება. **"საკი"** კანაფისგან მზადდება.

ასეთი ლათინურ-ქართველური (კოლხური) ლექსიკური თანადამთხვევის სხვა მრავალი მაგალითის მოტანაც შეიძლება, მაგრამ მოხმობილიც სრულიად საკმარისად მიგვაჩნია.

კლიმენტი შელია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ერთ თვეში ავღანეთში 55 ამერიკელი მებრძოლი დაიღუპა, მათ ქართველი ჯარისკაცებით ჩაანაცვლებენ

ჯერ კიდევ 2009 წლის ნოემბერში ქართულმა მასმედიამ ცნობა გაავრცელა: ავღანეთში გასაგზავნად გამზადებულმა ჯარისკაცებმა წარმატებით გაიარეს წვრთნის პროგრამა სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად.

ქართული საზოგადოებრივი აზრი ავღანეთის კამპანიაში ჩვენი მონაწილეობის საკითხში ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. წყალგამყოფი, ძირითადად, ემოციურ შეგრძნებებსა და აღქმაზე გადის – სხვის ომში თავის გადადების მიზანშეწონილობის შესახებ არგუმენტების დაპირისპირების წინა ხაზზე: ღირს? არ ღირს?

ეს პუბლიკაციაც, ვატყობ, ამავე დონეზე დარჩება, თუმცა ავტორი ცდას არ დააკლებს, მკითხველს დაეხმაროს, მეტ-ნაკლებად კვალიფიციურად გაერკვეს პრობლემაში, რომლის ფესვებისა და მიზეზების ძიება მეცნიერული კვლევის საგანი და ამოცანაა.

მივანდოთ ეს საქმე სპეციალისტებს.

მაშ ასე: ევროპელების ექსპანსია ავღანეთში ჯერ კიდევ **1838** წელს დაიწყო, როცა დიდმა ბრიტანეთმა 30.000 ჯარისკაცი შეიყვანა ამ ქვეყანაში და ტახტზე თავისი კაცი – შაჰი **სუჯა** დასვა. 3 წლის შემდეგ ქვეშევრდომებმა შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს.

1879 წელს უკვე 39 ათასმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა შეუტია ავღანეთს. ქვეყნის მმართველი ინგლისის ექსპანსიას სიხარულით შეეგება. მალე ინგლისელებს კუდით ქვა ასროლინეს.

1887 წელს ავღანეთის საზღვრები რუსეთის იმპერიის ჯარებმა გადალახეს. ლონდონმა ავღანელებს მოსკოვისთვის უკომპრომისო წინააღმდეგობის გაწევა მოსთხოვა. შედეგად, რუსეთმა ავღანეთის მიწები დიდი ბრიტანეთის გავლენის სფეროდ აღიარა და კუშკაში გაჩერდა.

1919 წელს ინგლისელები კვლავ შეიჭრნენ ავღანეთში, მაგრამ მცირე ხნით.

1979 წლიდან **1989** წლამდე ავღანეთში სსრკ სამხედრო კამპანია მიმდინარეობდა, რომლის შემდეგ პროსაბჭოთა ლიდერი ნაჯიბულა თალიბებმა ჩამოახრჩვეს. ქვეყანა ქაოსმა მოიცა.

2001 წლის ნოემბერში ავღანეთში შეიჭრა ნატოს კოალიციური დაჯგუფება ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით.

მეცხრე წელიწადია, ამერიკელები ავღანეთის სამხედრო ოპერაციაში არიან ჩართული, რომელსაც ოფიციალურად ამ ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ეწოდება, პრაქტიკულად კი ომია, რომელსაც ჯერჯერობით დასასრული არ უჩანს და რომელიც ახლა ჩვენს ომადაც აქციეს.

ჩვენ რომ არაფერი გვაინტერესებს ავღანეთში, ფაქტია, მაგრამ რა დაჰკარგვიათ ამერიკელებს ამ ნახევრად უდაბურ, გასულ საუკუნეებში ჩარჩენილ ქვეყანაში?! ვცადოთ ამის გარკვევა.

იოლად პროგნოზირებადი... მოულოდნელობა...

ჩვეულებრივი ლოგიკით, მოულოდნელი უნდა იყოს დასკვნა, რომ **ამერიკელებს არ აინტერესებთ არც ომი, არც მშვიდობა,** მაგრამ ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, თუ დავუმატებთ: **ამერიკელები დაინტერესებულები არიან გლობალურ დომინირებაში.** და თუ ამ მიზნის მიღწევა შეიძლება ომით და ეროვნულ სახელმწიფოთა დაშლისა და რღვევის გზით, დაუფიქრებლად წავლენ ამ მიმართულებით, არაფერს მოერიდებიან. პოლიტიკოსები დაბეჯითებით ამტკიცებენ, რომ ამ პრინციპს ეყრდნობა მსოფლიოს ამერიკული რესტრუქტურიზაცია. საამისოდ აშშ არქაულ ანკლავებში, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ დემოკრატიასთან, ქმნის თავის ბაზებს და ამრიგად განახორციელებს მსოფლიო დომინაციას.

პრაქტიკა ადასტურებს ანალიტიკოსთა ამ დასკვნას, მაგრამ პრაქტიკა იმასაც გვიჩვენებს, რომ **აშშ გლობალური სტრატეგია სერიოზულ, დაუძლეველ წინააღმდეგობებს აწყდება ადგილებზე.**

ამის ნათელი მაგალითია ავღანეთი, რომლის **„დემოკრატიული დამორჩილებისათვის“** ამერიკა, მერამდენე წელიწადია, არც ადამიანურ რესურსებს, არც მატერიალურ უზრუნველყოფას არ იშურებს, მაგრამ ამ ქვეყნის ამერიკანიზაციამდე დღეს ისევე შორია, როგორც თავის დროზე მის გასაბჭოებამდე იყო ძალიან შორს.

ერთი შეხედვით, სრულიად უმნიშვნელო შტრიხი, რომლის შესახებაც 1987 წელს ესაუბრნენ ამ სტრიქონების ავტორს ავღანეთის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელები, და რომელიც ნებისმიერ სიტყვაუხვობაზე მეტად წარმოაჩენს ღრმა და, როგორც ჩანს, დაუძლეველ წინააღმდეგობას, ავღანეთის ტრამალებზე ნებისმიერ ასიმილატორს წინ რომ გადაეღობება: ავღანეთის კომკავშირულ ორგანიზაციაში ვერა და ვერ გააერთიანეს ახალგაზრდა ქალები, რადგან ვერავითარმა ძალამ ვერ მოხადა ჩადრი, მაშასადამე, ვერც ფოტოსურათები გადაუღეს და, აბა, რა ეშმაკის გამოსახულება უნდა ჩაეკრათ ბილეთებსა და პირად საქმეებში?!

ეს ისე, ეგზოტიკისათვის. მაგრამ ეგზოტიკა ამ დეტალით არ მთავრდება. ამერიკელი პოლიტოლოგების, ექსპერტების, ანალიტიკოსების მიერ თავიანთი პრეზიდენტისათვის მიცემულ რჩევებსა და რეკომენდაციებში არის ერთი მასშტაბური და **აშკარად „ეგზოტიკური იდეა“, რომელიც „ომში რუსეთის მიწვევას“ გულისხმობს.**

ამ იდეაზე – ცოტა მოგვიანებით. უწინარესად, პრაგმატული მხარე განვიხილოთ.

“*Washington Post*”-ში გამოქვეყნდა ამონარიდები ავღანეთში კოალიციური ძალების სარდლის **სტენლი მაკრისტალის** საიდუმლო მოხსენებიდან. გენერალი დაუფარავად ლაპარაკობს იმ სიძნელეებზე, რომლებსაც აქ გადააწყდნენ საერთაშორისო ძალები და ასკვნის, რომ **დამატებითი ძალების მიზიდვის გარეშე სამხედრო ოპერაცია „დანამდვილებით კრახით დასრულდება“.**

ამერიკელებს წინ ედოთ სსრკ-ს ავღანური კამპანიის გამოცდილება, რომელიც მათ უკარნახებდა, ამ ქვეყანაში შეჭრასა და ძალით დამკვიდრებაზე ხელი აეღოთ. კაცმა რომ თქვას, რაღა საბჭოთა, საკუთარი გამოცდილებაც ვიეტნამსა და კორეაში, იმავე ავღანეთში **„ფარული ყოფნისა“**, სავსებით საკმარისი იყო, არ გადაედგათ სარისკო ნაბიჯი ექსპანსიის მიმართულებით.

მაგრამ ავღანეთზე უარის თქმა ნიშნავდა მსოფლიო ჰეგემონობაზე უარის თქმას, თუნდაც, ახლო აღმოსავლეთის ამ ცალკეულ რეგიონში. ეს კი შტატების დიდ სტრატეგიაში **„არ ჯდებოდა“.**

აი, – რატომ. ახალი ადმინისტრაციის მოსვლით აშშ სტრატეგიული მიზანი და მისწრაფება იგივე დარჩა, **ერთპოლუსიან მსოფლიოში გლობალიზაციის არსი იოტისოდენადაც არ შეცვლილა, როგორც მსოფლიო მასშტაბით ამერიკის ჰეგემონობის დამყარების კონსტატაცია, რომელშიც ამერიკულ ფასეულობათა, მისი ინსტიტუტების, სტრატეგიული ინტერესებისა და ეკონომიკური მოწყობის სისტემა ყველასთვის აუცილებელი იყო და რჩება.**

პოლიტოლოგები მიიჩნევენ, რომ **ერთპოლარული გლობალიზაცია თანამედროვეობის მთავარი პრობლემაა. ამერიკელები მის განსახორციელებლად „ორივე ხელით მუშაობენ“,** თანაც, საკმაოდ ორიგინალურად: **მოწინააღმდეგეებს საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებენ და მოკავშირეებს მათი მეშვეობით მიაყენებენ დარტყმას.** მიზანი გლობალური კონტროლის დაწესებაა მოწინააღმდეგეებზეც და მოკავშირეებზეც. ამას **ბადისებრი ომების** კონცეფციას უწოდებენ.

ასეთ **ერთპოლარულ სისტემაში შტატებს არ შეიძლება ჰყავდეს მოკავშირეები.** მიაქციეთ ამ დებულებას ყურადღება. მისი ურთიერთობა სხვა სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით, ისეთებთან, რომლებიც შტატებზეა ჩამოკიდებული პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც, ეს არის **პატრონის ურთიერთობა ქვეშევრდომებთან.**

მაშ ასე: 9 წელია, ამერიკა თალიბებთან ომშია ჩართული მის მიერ ორგანიზებულ **ავღანეთის უშიშროების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების დანაყოფებთან ერთად.** ამ დროის განმავლობაში ამ ძალებმა ისეთი დანაკარგი განიცადა, რომ, ბოლოს და ბოლოს, გენერლებმა მათი გაიაზრეს: **საიდუმლოება გადაწყვიტეს.** არაოფიციალური მონაცემები ასეთია: დღეისთვის **დაღუპულთა რაოდენობა 4 ათასს უახლოვდება, დაჭრილებისა სამჯერ მეტია. ამერიკელთა დანაკარგებმა პირველ რეკორდულ დონეს წლევანდელ აგვისტოში მიაღწია – 47 კუბო ერთ თვეში, აგვისტოში კი ეს სამწუხარო რეკორდი მოიხსნა – 55 ამერიკელი სამხედრო დაიღუპა.**

ამ სიტუაციას არ შეიძლება არ გამოეწვია **ამერიკელთა ნატოს წევრი მოკავშირეების უკმაყოფილება,** რომლებიც ავღანეთიდან აბარგებას აპირებენ.

აფორიაქებულია აშშ საზოგადოებრივი აზრი, რაც ავღანეთიდან ამერიკელთა გამოსვლის მოთხოვნით გამართულ დემონსტრაციებში აისახება. აშშ სოციოლოგიური სამსახურების მონაცემებით, **ამერიკელთა მხოლოდ 30% უჭერს მხარს მათი ჯარების ყოფნას ავღანეთში.**

ავღანეთის პრობლემა ერთ-ერთია იმ პრობლემებს შორის, რომელთა ერთობლიობამაც, როგორც ამერიკული მასმედია აღნიშნავს, 78-პროცენტიანი რეიტინგით თეთრ სახლში მისული ობამას რეიტინგის ვარდნა გამოიწვია.

ერთგვარი **„მოლოდინის რეჟიმის“** შემდეგ, რომელიც ახალი ადმინისტრაციის პირველ ნაბიჯებზე დაკვირვებასთან იყო დაკავშირებული, აშშ და მსოფლიო პრესაში სულ უფრო ხშირად ფიქსირდება მკვეთრი პუბლიკაციები პრეზიდენტისა და მისი გუნდის ნეგატიური შეფასებით.

ყოველივე ამან ობამას ტაქტიკური ნაბიჯების რევიზია მოითხოვა, მათ შორის, ავღანეთის მიმართულებითაც. ამასთან, თეთრ სახლს გადაწყვეტილება ოპერატიულად უნდა მიეღო, რადგან პრეზიდენტის რეიტინგის ვარდნის თვითდინებაზე მიშვება ახალი ადმინისტრაციისთვის მომაკვდინებელი იქნებოდა.

ასეთ პერსპექტივას ბარაკ ობამა, როგორც ჩანს, სხვებზე უკეთ ხედებოდა და სწორედ ამიტომ

აშშ პრეზიდენტი ამერიკული „გრუზ-200“-ს პირადად დახვდა.

განმარტებისთვის: „გრუზ-200“-ს ავღანეთში დაღუპული მეომრების ცხედრებიან კუბოებს უწოდებდნენ, რომლებიც **„ჩორნი ტულპანებად“** (შავ ტიტებად) სახელდებული თვითმფრინავებით ჩამოჰქონდათ საბჭოთა კავშირში.

ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია პიარით იწყება: ქვეყნის ლიდერი ან წინაპრების საფლავებთან დებს ფიცს, ან ომში დაღუპული მეომრების მემორიალებთან. არის სხვა ნიუანსებიც, მაგრამ სიკვდილ-სიცოცხლეზე აქცენტი ყველგან აუცილებლად უნდა იგრძნობოდეს.

შეგიძლია, მუხლი მოიყარო დიდი ხელმწიფის საფლავზე და შემდეგ გამოაცხადო, რომ თავს დადებ შენი ქვეყნის გაძლიერებისთვის. და პირველსავე ომში დამარცხდე.

შეგიძლია, უღატაკესი ოჯახის მდგომარეობით შეწუხებულმა ცრემლი გადმოაგდო. შემდეგ გამოაცხადო, რომ იწყებ ბრძოლას სიღატაკის წინააღმდეგ და არნახულ გაჭირვებაში ჩააგდო მთელი ქვეყანა. მთავარი დაწყებაა.

ობამას ჩასვლამ დელავერის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, სადაც 26 ოქტომბერს ავღანეთში დაღუპული 18 ამერიკელის ცხედარი ჩამოასვენეს, საზოგადოებაზე შთაბეჭდილება მოახდინა.

თავისთავად ფაქტმა და, განსაკუთრებით კი, ამერიკის პრეზიდენტის არაორაზროვანმა განცხადებამ იმის თაობაზე, რომ **იგი არ იჩქარებს ავღანეთში თანამოქალაქეების გაგზავნას, რადგან არ სურს, ისინი საფრთხის წინაშე დააყენოს.**

ესე იგი, პრეზიდენტი ავღანეთიდან აშშ სამხედრო კონტინგენტის გამოყვანაზე თუ არა, შემცირებაზე ლაპარაკობს? კიდეც – ჰო და კიდეც – არა!

ცნობისთვის: ავღანეთში დღეისთვის იბრძვის საერთაშორისო ძალების **67** ათასი სამხედრო მოსამსახურე, ამათგან თითქმის **42** ათასი ამერიკის მოქალაქეა.

ობამა ამერიკული კონტინგენტის შემცირებაზე ლაპარაკობს, თავისი ქვეყნის მოქალაქეების ავღანეთის მოთუხთუხე ქვაბიდან გამოყვანის შესახებ. ეს – ჰო.

მაგრამ კოალიციური ძალების სარდალმა სტენლი მაკრისტალმა კონტიგენტის 40 ათასით გაზრდა რომ მოითხოვა, ეს საქმე როგორღა იქნება? ვაშინგტონიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ობამა სამხედრო კონტინგენტის გაზრდისკენ იხრება, თუმცა ჯერჯერობით ცნობილი არ არის – როგორი პროპორციით. ალბათ ეს არ იქნება ის 40 ათასი, რომელიც კოალიციური ჯარების სარდალს გამარჯვებისთვის სჭირდება, მაგრამ არსებული კონტინგენტი სერიოზულად რომ გაიზრდება, უეჭველია.

ჩვენი და ჩვენნაირი მოხალისე ქვეყნების მეომრების რაოდენობის გაზრდაზეა ლაპარაკი და, მათ შორის, წარმოიდგინეთ, რუსეთის ჯარის ნაწილებზე, ანუ იმ იდეაზე, რომელიც ზემოთ **„ეგზოტიკურ იდეად“** მოვიხსენიეთ.

გაზეთ **The Washington Post**-მა გამოაქვეყნა პოლიტიკურ კვლევათა პოტომაკის ინსტიტუტის თანამშრომლის **დენიელ გელინგტონის** წერილი **„ომში მოვიწვიოთ რუსეთი“**, რომლის ავტორი სწორედ ამ იდეას ავითარებს. მას მიაჩნია, რომ ნატომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა წინადადებით უნდა მიმართონ მოსკოვს, რათა მან თალიბებთან საბრძოლველად გააგზავნოს **„რეგულარული არმიისა და სპეცრაზმების დანაყოფების მნიშვნელოვანი რაოდენობა“.** ეს, ამტკიცებს იგი, ერთხელ და სამუდამოდ ბოლოს მოუღებს ბოევიკებს. თუ ამ წინადადებას სწორად გაიგებენ, იგი **„რუსეთისთვის მიმზიდველიც“** შეიძლება გახდესო. ავღანეთი რუსეთისთვის ისეთივე სერიოზული საშიშროებაა, როგორც შტატებისა და ნატოსთვის ევროპასთან ერთად.

ერთი სიტყვით, რაღაც ანტანტის მსგავსი სამხედრო გაერთიანების იდეა შემოაგდო **The Washington Post**-მა. მაგრამ **ამ არასერიოზულ „ეგზოტიკურობაში“ სერიოზული ქვეტექსტია – თალიბებს ებრძოლოს ყველა და ყველაზე ნაკლებად – ამერიკელები.**

არ გვეყო, რაც იქ იბრძოლეს ქართველმა მეომრებმა? **მგლისა და მგლისფერი ძაღლის ანდაზისა არ იყოს, სულერთი არ არის, ვისი დროშის ქვეშ დაიღუპებიან იქ ჩვენი ქვეყნის შვილები – სსრ კავშირის თუ შტატების, ვის იდეებს შეეწირებიან?**

ჩვენს საზოგადოებას კი ამასთან დაკავშირებით აზროვნების გვალვა დაემართა თუ რაღაც სხვა უბედურება სჭირს, ძნელი გასარკვევია.

საზოგადოებრიობა დუმს. ეტყობა, მოსწონს. ან ამ ფაქტს არ მიიჩნევს აღელვებისა და ხმის ამოღებისთვის საკმარის მიზეზად.

მოდი, ვთქვათ: **დუმილით ეთანხმება სასაკლაოზე ჩვენი ბიჭების გაგზავნას.**

ავღანეთი ორფოლოს პოლიგონი არ არის (რომელიც, სხვათაშორის, აღარც არსებობს), სადაც ომობანას თამაშობდნენ.

ავღანეთში სისხლიანი კალო ტრიალებს, ისეთი, წარმოდგენაც რომ ძნელია!

ჰკითხეთ უკვე ჭარმაგობაში შესულ ქართველ **„ავღანელებს“**, ისინი გეტყვიან სიმართლეს.

მეც მინახავს და დავემოწმები.

ს. არმახიშვილი

P.S., სამწუხაროდ, შავი სეზონი გამოდგა ამერიკის შეიარაღებული ძალებისთვის 2009 წლის ბოლო. ავღანეთში დაღუპული ამერიკელი მებრძოლების დელავერში ჩამოსვენებით გამოწვეული დამთრგუნველი ეფექტი განელებული არ იყო, რომ Associated Press-მა ახალი ინფორმაცია გაავრცელა: კალიფორნიის შტატის სამხრეთ სანაპიროსთან, კუნძულ სან-კლემენტედან 27 კილომეტრის დაშორებით, წყნარ ოკეანეში კატასტროფა განიცადა აშშ შეიარაღებული ძალების ვერტმფრენმა - 1 Cobra, რომელიც შეეჯახა სანაპირო დაცვის სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ს. 13 კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ძაღლი შინ არ ვარგოდა, და, სანადიროდ გარგოდაო...

როგორც კი იგრძნო სააკაშვილმა იუშენკოს წყალი შეუდგაო, გუშინდელი მეგობარი, ვისი სახელითაც სპეკულირებასა და ტრაბახს გადაგვაყოლა გასული წლების მანძილზე, არც დაფიქრებულა ისე **„მოისროლა“** პოლიტიკურ სანაგვეზე და ახლა იულია ტიმოშენკოსაკენ იბრუნა პირი!

კაცმა რომ თქვას, **„იულია ნაწნავიანისთვის“** ზურგი არასოდეს უჩვენებია **„მიშამაგარიას“**, პირიქით – **სექსფილმიც კი გადაიღეს მიშიკო და იულიას სასიყვარულო ისტორიებზე!** არც მახსოვს, აქამდე რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს საერთოდ თუ ღირსებია მსგავსი „**პატივი!**“

– თუ გაგვიმართლა და მიშიკოს **„ნაშა“** უკრაინის პრეზიდენტი გახდა, საქართველო ხომ ისედაც **„ნაშაა“** და მთლად ავშენდებით, იუშენკოს დალატით განაწყენებული უკრაინელთა ნაწილიც ისევ **„ნაშა“** გახდება და რომ იტყვიან – ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს!..

...ამ ნაახალწლევს, ისე იქცევა ჩემი სამშობლო, თითქოს იმაზე მეტი საფიქრალი არ ჰქონდეს – **„რა ეშველებათ, არჩევნებში ტიმოშენკომ თუ ვერ გაიმარჯვა, დაიღუპებიან უკრაინელებიო და ასე დაიძრა 3.000 წვრილფეხა და მსხვილფეხა „ნაცმოელი“ ლოზუნგით – „ვუშველოთ სლავიანურ მოდგმას რუსეთის იმპერიისგან, არჩევნები არ გაუყალბონ, ვინიცობაა დახმარება დასჭირდეთ – საჭირო მომენტში იქნება ცოტა „ვუჯიკოთ“ კიდეც ჩვენს ძმებსო!“**

ვერაფერს იტყვი – მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიაა, ერთი, სრულიად მოულოდნელი და საჩოთირო გარემოება რომ არ **„გამომტყვრალიყო, უკრაინის „მხსნელი“ 3.000 ქართველის“** წინაშე: **„რუსეთის იმპერიისგან თავდასახსნელმა უკრაინელმა „ძმებმა“** სრულიად მოულოდნელად, უარი სტკიცეს ნაცმოელების **„საერთაშორისო მისიის მანტიამორგებულ არამკითხეთა ლაშქარს“** და თან ისიც მიაყოლეს – **თქვენ სხვას რა უნდა „უჯიკოთ“, ერთი ქართული ფილმისა არ იყოს – „თქვენ თვითონ საჯიკებლებოო!“** და, რომ იტყვიან – **მარაქაში არ გარიეს ისინი!..**

პირველი რომ იყოს, ჩემი ხალხის და ქვეყნის თავისმოჭრა უცხო ქვეყანაში, გული გამისკდებოდა, მაგრამ მივეჩვიე და მეც, ამ წერილებს, შვილიშვილებისათვის ვწერ – იქნებ მათ მაინც გაიგონ ვის ხელში იყო ჩავარდნილი ჩვენი სამშობლო, თორემ სხვების დიდი იმედი არ მაქვს – რადგან ყველას მოეცხო გარკვეულწილად საქართველოს დღევანდელი მთავრობის და მისი თავკაცის მიერ დანთხეული სიბინძურე.

ამას, ზოგიერთი საეკლესიო პირის **„მშრალად“** ნათქვამიც რომ ემატება – **არაფერია აფხაზეთის და სამაჩაბლოს დაკარგვა – ჩვენ დვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და იგი დაგვიბრუნებს ყველაფერსო!..** მთლად ხელიდან წასულად მეჩვენება ყველაფერი.

ცოტა ხნით კვლავ უკრაინას დავუბრუნდეთ – ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენი არ იყოს, მათ არც ეროვნული გმირები დაჰკლებიათ, არც ორპირები და ქვეყნის გამყიდველები, ვერც მეძავობას ვასწავლით და ვერც სხვა რაიმე ღირსეულ თუ უღირს საქციელში გავეჯიბრებით, რადგან ჩვენზე ათჯერ მეტნი არიან რიცხობრივად და ბევრად უფრო მეტს შეიძლებენ, ვიდრე 3 მილიონამდე სამშობლოში დარჩენილ ქართველს შეუძლია!..

ეს უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომელიც ჩემი აღმოჩენა არ გახლავთ და ჩემი თაობის ქართველების გასაგონად ვამბობ, გასულ ზაფხულს დიდი სიყვარულით რომ მოვინახულე და ასევე დიდი გულისტკივილი გამაყოლეს საქართველოდან.

საქმე იმაშია, რომ ადამიანები, რა ასაკისანიც არ უნდა იყვნენ ისინი, მაინც ექცევიან მუდმივი, მასირებული ინფორმაციული დაბომბვების ზემოქმედების ქვეშ და შემდეგ შეუძლებელი ხდება მათი ნანგრევებიდან გამოყვანა. აქ მართლდება მითაჟამისდროინდელი ანდაზა: **„ხეს რომ გამუდმებით უძახო გახმიო, იგი აუცილებლად გახმებაო!“** როგორც ვატყობ, ასე დაემართა ჩემს თაობას, როცა მე მასწავლიან **„რუსს ევროპელი ჯობია!.. ევროპელს კი ამერიკელიო!“** ამ ხალხთან ზედმეტია საუბარი და შეგონება, სჯობს არ შეეპასუხო, დაუთმო მას და სახლში **„გამარჯვებულის“** შეგრძნებით დაბრუნდეს.

საქართველოში ოთხიოდე კვირით ჩამოსულს დასვენების და ჩემს სამშობლოსთან მოფერების ნაცვლად, გულის გლეჯა მიწევდა იმის გამო, რომ 20 წელი არაფერი შეცვლილა ჩემს ხალხში, გარდა კალენდრისა!

20 წლის წინათაც, ზუსტად ისე, როგორც დღეს, ქვეყანა გაყოფილი იყო და ნახევარი რომ თავს წირავდა მისი თავისუფლებისათვის, მეორე ნახევარი დალატის ბაცილით შეპყრობილი ელოდებოდა საით კენ გადაძალავდა სასწორის პინა, რომ იქითკენ გადასკუპებულიყო!

იყო ერთი ნაწილიც, რომელიც თავის თავს განსაკუთრებულთა რიგს მიაკუთვნებდა და ასე ამბობდა – **„მე მათ გვერდით ვერ დავდგები... მოგვიანებით კი ასე გადააკეთა – ჩემთვის არავის დაუძახია, ვისთან უნდა მივსულვიყავიო!“**

ეს ის ხალხია, რომლებსაც საკუთარი სამშობლო არასოდეს ჰქონიათ და უფროსი რასაც და ვისაც დაუსახავდა, ის იყო მისი სამშობლო, მისი მეფე და თავადიც თუ გნებავთ!

უამრავი ადამიანი ვერ გამოვიდა ამ მდგომარეობიდან, როგორებიც 35-40 წლის წინ მახსენდებიან ისინი, ზუსტად ისეთებად დარჩნენ და მათში არაფერი შეცვლილა, გარდა ასაკის და თმის ფერისა!.. არა, მთლად ასეც არ არის, ზოგმა მათგანმა ეკლესიაში იწყო სიარული და მარხულობს კიდეც!

ერთხელ, ასეთი მოულოდნელობის მომსწრეც გავხდი – ერთი ბავშვობისდროინდელი მეგობარი, რომელსაც, ჩემი ექსკურსიამძღოლად მუშაობისას, მრავალგზისი შეთავაზების მიუხედავად, არასოდეს გასჩენია სურვილი სადმე წამომყოლოდა და სვეტიცხოვლიდან მოყოლებული ყველა ეკლესია-მონასტერი დღეს პირველად სანახავი აქვს (რის გამოც მართლა მშურს მისი!), მე მეკითხება – **ვმარხულობთ თუ არა ჩვენ უცხოეთში?**

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, მეკითხა – **რატომ გაინტერესებს ჩემო ავთანდილ?**

პასუხს არც დავლოდებივარ, რატომღაც მალევე ისე დავცილდით ერთმანეთს.

მოგვიანებით (მაშინ მარიამობის მარხვა იდგა საქართველოში!), ერთ ოჯახში სტუმრად ყოფნისას მივხვდი, რატომ მკითხა ჩემმა სიყრმის მეგობარმა **„ვმარხულობთ თუ არა ჩვენ უცხოეთში?“**

ოჯახის დიასახლისი, სტუმართა გასაგონად და ყურადღების მისაპყრობად ხშირად იმეორებდა სამარხვო კერძების ჩამონათვალს, რომლის ნახევარს, ხსნილის დროს რომ ვერ იოცნებებს საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა!

რომ იტყვიან **„გამეხსნა გონება“** და ახლა ჩავწვდი ჩემი მეგობრის შეკითხვის არსს და ვპასუხობ მას: **მარხვა ჩვენთან ნებაყოფლობითი და საიდუმლოა! ამიტომ, არ ვეკითხებით ერთმანეთს ვინ მარხულობს და ვინ არა! ასევე, დიდ ქეიფებს და სუფრასთან თავყრილობებს ვერიდებით მარხვის დღეებში და თუ ეს მაინცდამაინც აუცილებელია, ოჯახებში არ ვხვდებით ერთმანეთს. რესტორანში კი ნებისმიერს შეუძლია შეუკვეთოს ის, რაც მას უნდა და თვითონვე გადაიხადოს კიდეც!**

მე ვიცი, ჩემს ამ ნათქვამსაც გამოუჩნდებიან ოპონენტები და მეტყვიან – **„ეს რა ქართველობაა, ყველა თავის დანახარჯს თუ იხდისო!“**

– აქვე გიპასუხებთ – იშვიათი გამონაკლისის გარდა, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, გადასაყრელი ფული არავის ჰქონია, თუ იგი მოპარული ან სახელმწიფოს ხაზინიდან ნაძარცვი არ იყო და სამწუხაროდ აქედან დამკვიდრდა ცხოვრების ეს სიმახინჯე, ზოგიერთების თვალში **„დიდქართველობად“** რომ ითვლება!

მოპარვასა და სამშობლოს ძარცვაში ქართველებს რომ ვერავინ გვჯობნის სახეზე გვაქვს და იგი ნათლად ატყვია მას!.. საბედნიეროდ იგი ყველამ ვერ შეიძლო ან არ იკადრა, მაგრამ ამის გამო ქვეყნის ქართული მოსახლეობის ჯანსაღი ნაწილის ნახევარზე მეტი გაქცეულია, დარჩენილი ნახევრის ნახევარი ჩარჩ-ვაჭარია (სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელი), ქვეყანა მოუვლელი და გაოხრებულია. ყველაზე ცუდი კი ის არის, ხალხი ამას მიეჩვია და არამც თუ არ აპროტესტებს მას, საკუთარ თავთანაც ტყუის, რომ მას არაფერი უჭირს! თუ თქვენ ამას ვერ ხედავთ, ჩემო ავთანდილ, როინ, რევაზ და კიდევ უამრავო საყვარლებო, მაშინ საბოლოოდ გამოვიტიროთ ჩემგან და თქვენგან განწირული სამშობლო, რომლის დამანგრეველი, დროზე ვერ ვამხილეთ!

ახლა კი, კვლავ უკრაინას დავუბრუნდეთ – ენაბრგვილი თარგამაძე აცხადებს, რომ – **„მიუხედავად წინააღმდეგობისა, ჩვენი დამკვირვებლები პირნათლად შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას!“**-ო.

მაინტერესებს, ალბათ თქვენც – **ვინ და რა მოვალეობები დააკისრა ქართველ დამკვირვებლებს უკრაინის არჩევნებზე?!.**

ქართველ ჟურნალისტებს რომ თავს დაესხნენ და ველური წესით გაუსწორდნენ, დასაგმობი რომაა, სხვა აზრი არ არსებობს, მაგრამ იმაზე თუ ფიქრობს ვინმე, მათი ფიზიკური შეურაცხყოფა საქართველოს შეურაცხყოფა რომაა?

ვინ და რატომ ჩააყენა ასეთ მდგომარეობაში ქართველი ჟურნალისტები და საქართველო? ვისი დავალებით გადაწყდა გერმანელებზე ოცჯერ მეტი დამკვირვებლის გაგზავნა უკრაინაში? რატომღაც არ მახსენდება, ასეთი თავგანწირვა, **სააკაშვილის მრავალგზისი სადამსჯელო ოპერაციების დღეებში,** საკუთარ სამშობლოში გამოეკვლინოთ სამთავრობო ტელეარხების და პრესის ჟურნალისტებს, რომლებიც საქართველოს წარმოადგენენ უკრაინაში!

გეკითხებით – **ვის ღირსებას იცავდნენ უკრაინაში ქართველი ჟურნალისტები?!.**

ვის ვატყუებთ, ან თავს რატომ ვიტყუებთ?

„არჩევნების გაყალბების შევარდნაძე-ჟვანია-სააკაშვილისეული მეთოდი“ საყოველთაოდ ცნობილია ყველა იმ ქვეყნის წარმომადგენლისათვის, ზემოთხსენებულთა მიერ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებზე დამკვირვებლებად ერთხელ მაინც რომ ჩამოსულან. და თუ ნანახზე და გაგონილზე თვალს ხუჭავდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ, ჩვენ არავის, ანგარიშგასაწევი ქვეყნების სიაში არ ვყავართ და როგორც ამერიკელი **„დიდბატონები“** ჩათვლიდნენ საჭიროდ, ისე იქცეოდნენ ისინიც!

რატომ გგონიათ რომ ამის შესახებ მარტო ჩვენ, ქართველებმა ვიცით?

მე პირადად, სათვალავი ამერია, **„ვარდების ეპიდემიას“** შემოყოლილ სააკაშვილის მთავრობას – **რამდენი ასიათასკაციანი საპროტესტო დემონსტრაცია მოგიწყოთ საკუთარმა ხალხმა** (თქვენ რომ არაფრად მიგაჩნიათ!) და უნდობლობას გიცხადებენ!

რატომ გეგონათ საკუთარ სახლში მოძულებულებს სხვისაში შეგიყვარებდნენ?

სწორედ წახდენილი ავტორიტეტის გამო არ ჩაგაყოფინეს ცხვირი (რაც ნამდვილად სამარცხვინოა!) თავიანთ საქმეებში უკრაინელებმა! მათ გაცილებით მეტი თავმოყვარეობა აქვთ ვიდრე თქვენ ფიქრობთ! არ დაგავიწყდეთ – **უკრაინელთა დიდ უმრავლესობას არასოდეს უდიარებია საბჭოთა კავშირი, ისევე როგორც, ქართველთა დიდ ნაწილს, რომელსაც თქვენ და თქვენი წინაპრები არ მიეკუთვნებით!**

მე კარგად მესმის, თქვენთვის ეს არაფერს ნიშნავს, თქვენთვის ყველაფერი მისაღებია სამშობლოს ინტერესების გაყიდვის ჩათვლით, თუ კი დამკვეთი ამას თქვენგან მოითხოვს, რადგან ამისათვის ფულს გიხდიან!

ახლა რა ვქნათ ჩემო ძვირფასებო, როგორც ვნახეთ იუშენკო წავიდა, დიდი ალბათობაა ტიმოშენკოც მიჰყვეს მას! რა გამოდის თქვენი უტაქტო და უაზრო ქმედების გამო – **უკრაინაც იმ ქვეყნების რიგს უნდა მიემატოს, საქართველოს სათოფეზე რომ არ გაიკარებს?!.**

უკრაინაშიც უნდა დაიწყონ ქართველების დაწიოკება, ბევრი სხვა ქვეყნის მსგავსად?

იქნებ სამაგალითოდ გამოგადგეთ იუშენკოს საქციელი, თუ როგორ მშვიდად შეხვდა არჩევნების წაგებას და სხვას კი არ დააბრალა იგი, აღიარა თავისი შეცდომები! რის გამოც თქვენ წინასწარ შეიძულეთ და ადრევე განუდექით ძმადნაფიც მეგობარს!

გაიხსენეთ, პოლონეთის პრეზიდენტის, ტრამვაის **„პრაეზდნოიანი“** მგზავრივით ადმა-დადმა ჯლიგინი საქართველოში და სააკაშვილის გაუთავებელი ტრაბახი – **კაჩინსკი ჩემი ძმა და მეგობარია, ნატოსკენ კაჩინსკი და პოლონეთი გვიხსნის გზასო!**

რას პასუხობთ ქართველ ხალხს დღეს – **როცა კაჩინსკი და მისი მთავრობა მაწანწალა ძაღლებივით ყრიან საქართველოს მოქალაქეებს პოლონეთიდან?!.**

საქმე იქითკენ მიგყავთ – **სადაც თქვენი სახელი გაიჟღერებს, მალე არსად ქართველწოდებულს აღარ დაედგომება!**

სააკაშვილის ლაქია, დავით პაიჭაძე – ნაცემი ქართველი ჟურნალისტების გასამართლებლად, ქართველი ჟურნალისტის ღონღაძის საიდუმლოებით მოცულ სიკვდილს იხსენებს და აცხადებს – **ეს პირველი შემთხვევა არ არის, ქართველი ჟურნალისტები უკრაინის თავისუფლებისთვის ადრეც იბრძოდნენ და ეწირებოდნენ კიდეცო მას!**

მართლაც სამწუხარო სიმართლეა, მაგრამ, რატომღაც დავით პაიჭაძეს ერთხელაც არ უხსენებია ჟურნალისტი ღონღაძე, როცა იუშენკო **„მეფობდა“** უკრაინაში! ეტყობა, იგი ნამეტანი **„მორიდებულია“** და სააკაშვილის დიდ მეგობარს ვერ შეაწუხებდა ასეთ **„უბრალო“** საქმეზე!.. მაგრამ, როცა, ღონღაძე დასჭირდა (ღმერთმა აცხონოს მისი სული!) ხმალივით იშიშვლა მისი სახელი!

ესეც დიდი უზნეობაა ჩემო ძვირფასებო, თქვენთან ურთიერთობაში საერთოდ თუ აქვს ზნეობის ხსენებას რაიმე ფასი!

ამას წინათ სააკაშვილი გურიაში ჩავიდა **„ბუზის“** არყის დასალევად!.. ეტყობა ნამეტანი მაგარი იყო გურული არაყი, რამაც სკოლა და სკოლაში სწავლის საღერღელი აუშალა პრეზიდენტს! აფრქვია და აფრქვია მისეული **„სიბრძნე“**, იმდენი ქნა – **სულით ხორცამდე, იუმორით სავსე გურულებიც კი, კინაღამ ტირილის ხასიათზე დააყენა!**

იმავე საღამოს უკლებლივ ყველა სატელევიზიო არხი (ამბობენ ყველა ისინი პირდაპირ თუ ირიბად სააკაშვილისაო!), პრეზიდენტის **„საინფორმაციო ღრუდან“** ნიაღვარად გადმოსულ **„სიბრძნეს“** ამჯერად ტელეეთერიდან აფრქვევდა სრულიად საქართველოს:

„– ამიერიდან, ბავშვებმა სკოლაში უნდა იარონ!

– ბავშვები გაკვეთილებს არ უნდა აცდენდნენ!

– ასევე მასწავლებლებიც არ უნდა აც-

გაგრძელება მე-10 გვ

შესანიშნავი მამულიშვილის მამულიშვილური საქმეები...

ახლახან გადმოგვცეს გამომცემლობა **"Справедливая Грузия"**-ს მიერ ქართულ ენაზე დასტამბული წიგნი **"კულტუროლოგია"**, რომლის ავტორია რუსეთში მოღვაწე ჩვენი თანამემამულე, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ბატონი ნოდარ ერიაშვილი.

მოვლენას დავასწრებთ და თავშივე აღვნიშნავთ, რომ როცა საქართველოს ხელისუფლება ღირსეულ ქართველ მეცნიერებს **"ჩარეცხილებად"** მოიხსენიებს და დაუნდობლად ანადგურებს ერთ დროს მთელ მსოფლიოში აღიარებულ ქართულ სამეცნიერო ცენტრებს, რუსეთის ხელისუფლება ყველა აუცილებელ პირობებს უქმნის როგორც რუს, ასევე არარუს მეცნიერებს მაღალნაყოფიერი საქმიანობისათვის. ნიჭი და შრომისმოყვარეობა ადამიანს მხოლოდ იმ ქვეყანაში დაუფასდება, სადაც სათანადო პატივს მიაგებენ ამ თვისებებს. ამიტომაც გახლავთ ესოდენ წარმატებული რუსეთში ჩვენი თანამემამულე მეცნიერი ნოდარ ერიაშვილი. იგი მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომის ავტორია და, ამავე დროს, დიდი გულისხმიერებით უდგას მხარში რუსეთში მოსწავლე უამრავ ქართველ სტუდენტ ახალგაზრდობას.

წიგნში **"კულტუროლოგია"** ავტორი საინტერესოდ აშუქებს პირველყოფილი ეპოქისა და ძველი აღმოსავლეთის (ეგვიპტის, მესოპოტამიის, ინდოეთის, ჩინეთის) კულტურებს, ძველი საბერძნეთისა და რომის კულტურას, აღორძინების ეპოქას, ქართულ კულტურას უძველესი დროიდან ქრისტიანობის ხანამდე, ძველი სლავების კულტურას, კიევის რუსეთის კულტურას, რუსეთის კულტურას XIV-XVII საუკუნეებში და სხვა.

დასამალი არაა, რომ ჩვენში სლავური კულტურა ისწავლებოდა საშუალო სკოლების ისტორიის მოკლე კურსით, რაც მთლიან ინფორმაციას არ გვაწვდის ჩრდილოეთის სახელმწიფოთა კულტურულ ყოფასა და დიდ მოღვაწეებზე.

ავტორი აღნიშნავს, რომ **"ძველი სლავები ვედების კულტურას მისდევდნენ, ამიტომ ძველსლავურ რელიგიას სწორი იქნება, თუ დავარქმევთ არა წარმართულ, არამედ ვედების რელიგიას. სიტყვა "ვედები" მიესადაგება თანამედროვე რუსულ "უწყოდე", "იცოდეს". ესაა მაღალგანვითარებული კულტურის მქონე მიწათმოქმედ ხალხთა მშვიდობიანი რელიგია, მონათესავე სხვა ვედური ძირის მქონე რელიგიებისა, როგორიცაა – ძველი ინდოეთისა და ირანის, ძველი საბერძნეთის რელიგიები..."**

წიგნის ამ თავში ასევე დაწვრილებითაა მოთხრობილი ძველი სლავური კულტურის ძირითად ძეგლებზე: წმინდა საგალობლებზე, მითებზე, თქმულებებზე, თუმცა, ერიაშვილის აზრით, მეცნიერთა დიდი ნაწილი თვლის, რომ ძველ სლავთა წმინდა საგალობლების, მითების ტექსტები განადგურდა რუსეთის გაქრისტიანების შემდეგ. რუსულ სამამულო ისტორიულ მეცნიერებაში იმ მცირედსაც კი, თუ რამე შემორჩა ***ველესის წიგნის*** სახით, რომელიც სავარაუდოდ ჩაწერილია ნოვგოროდელ ქურუმთა მიერ არა უგვიანეს მეცხრე საუკუნისა, თვლიან ნაყალბევად, თვით სლავების სიმდიდრისა და სიბრძნის ღმერთის ***ველესის*** ან **ვოლოსისადმი** მიძღვნილი ამ წიგნის ისტორია ერთობ ტრაგიკული და იდუმალებით მოცულია, რის თაობაზეც ავტორი დაწვრილებით ინფორმაციას აწვდის მკითხველს. კერძოდ, 1919 წლის სამოქალაქო ომის დროს ეს წიგნი იპოვნა თეთრი არმიის ოფიცერმა ფ. იზენბეკმა სადგურ დიდი ბურლუკის ახლოს, ხარკოვთან, თავადი კურაკინების მამულში. 1924 წელს ბრიუსელში წიგნი ხელში ჩაუვარდა რუს მწერალს ი. მიროლიუბოვს. მან თხუთმეტი წლის მანძილზე მრავალჯერ გადაწერა და გაშიფრა ძველი ნაწერები, რითაც ტექსტის 75 პროცენტის ასლი გააკეთა. 1943 წელს, გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ბრიუსელში, იზენბეკის გარდაცვალების შემდეგ, დაიკარგა მთელი მისი არქივი და მათ შორის **ველესის წიგნის** დედანიც. დარჩა მხოლოდ მიროლიუბოვის ჩანაწერები და ერთი ფირფიტის ფოტოგრაფია.

ავტორი მოგვითხრობს, რომ ველესის წიგნის მიხედვით ძველ სლავებში არსებობდა არქაული სამება: სამთავი: **სვაროგი** (სვაროჟიჩი) – ცის ღმერთი, **პერუნი** – მეხთამტყორცნელი და **ველესი** (ვოლოსი) – ქვეყნიერების დამანგრეველი ღმერთი, თუმცა სლავ ქურუმთა სხვადასხვა სკოლებს სხვადასხვაგვარად ესმოდათ სამების საიდუმლო. მაგრამ, სჯობს მკითხველი თავად გაეცნოს აღნიშნულ წიგნს, რადგან იგი საკმაოდ სქელტანიანია და მის აღწერას რამდენიმე საგაზეთო სტატიაც არ ეყოფა.

დასამალი არაა, რომ სახელმწიფოთაშორის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების დაძაბვას ხშირად იწვევს ერთმანეთის მდიდარი წარსულის ზერელედ ცოდნა, ან საერთოდ არცოდნა. ამ სინდრომით, დღეს, სამწუხაროდ მრავალი მეცნიერი და სახელმწიფო თუ პოლიტიკური მოღვაწეა დაავადებული როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, რომელთა მიერ არც თუ იშვიათად დაყრანტალებულ მცდარ შეხედულებებს ან შეგნებულ დეზინფორმაციას წარმატებით იყენებენ ამ ორი ქვეყნის მტრები და კიდევ უფრო ძაბავენ ურთიერთობებს რუს და ქართველ ხალხებს შორის. ჩვენ არაერთგზის აღგვინიშნავს, რომ დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის მტრობა და შუღლი ხელს მხოლოდ სომხებს აძლევს (სამწუხაროდ, ამ რჯულის წარმომადგენლები, გაგიხარია, არც რუსულ პოლიტიკურ სპექტრს აკლია, ამერიკელებზე რომ არაფერი ვთქვათ), რომლებიც, როგორც ისტორიის უტყუარი ანალები ღაღადებენ, ხშირად ითბობდნენ ხელს სხვა ქვეყნებს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებზე. დიდი რუსი პუბლიცისტი ვასილ ველიჩკო, თავის ცნობილ ნაწარმოებში **"კავკასია "** მოიხსენიებს ვიღაც სომეხ ავანტურისტს ისრაელ ორის, რომელმაც შვედებთან ომის დროს შეაღწია პეტრე პირველთან და მლიქვნელურად შესთავაზა მომმარაგებელ-ინდენდანტად ამიყვანეო, რაზედაც რუსეთის იმპერატორისაგან ცივი უარი მიიღო. და ეს მაშინ, როცა უშიშარი ქართველები იარაღით ხელში იდგნენ რუსი ჯარისკაცების გვერდით და რუსეთის იმპერიის გამარჯვებისათვის სისხლს ღვრიდნენ.

ახლაც ასეა, სწორედ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების დაძაბვამ დააკარგვინა საქართველოს ლიდერის როლი ამიერკავკასიაში, რომელსაც იგი ისტორიულად მუდამ ფლობდა. ეს კი საქართველოს ხელისუფლების დიდი ძალისხმევით გაკეთდა, რომლებიც დღესაც თავგამოდებით ცდილობენ, საქართველოს სახელით, შეინარჩუნონ რუსეთისადმი მტრული პოზიციები, რაც საკმაოდ ძვირად უჯდება არა მხოლოდ ქართველ ერს. ღვთის მადლით, სომხებს, თავიანთი შერყვნილი რეპუტაციის გამო არ ძალუძთ კავკასიის ლიდერი-სახელმწიფოს ტვირთის ზიდვა. სწორედ ამიტომაა კავკასია, ლიდერის გარეშე, ასე აშლილი და ერთმანეთს დაპირისპირებული და აქ სიტუაცია იქამდე არ დალაგდება, ვიდრე საქართველო კვლავ არ დაიბრუნებს რეგიონის ლიდერის პოზიციას.

ამიტომაა აუცილებელი, რომ კარგად ვიცოდეთ ერთმანეთის წარსული, იმ წინაპართა სულისკვეთება, რომელთაც ასწლეულების წინ დაახლოვეს ერთმანეთს ჩვენი ერთმორწმუნე ქვეყნები და ერთად ებრძოდნენ მოძალებულ მტერს.

უდავოდ დიდი დრო და ენერგია შეალია ამ შესანიშნავი წიგნის შექმნას ქართველმა მეცნიერმა. მან კარგად იცოდა, რომ ასეთი ღირებული და აუცილებელი წიგნის შექმნისათვის საქართველოს ხელისუფლება მადლობას არ ეტყოდა, მაგრამ, როგორც ყველა ღირსეული ადამიანი და საკუთარი ქვეყნის პატრიოტი, ნოდარ ერიაშვილი იღვწის არა კორუმპირებული და ხალხისაგან მოძულებული ხელისუფლების საამებლად, არამედ იმ ქართველი ადამიანის დასახმარებლად და ფეხზე წამოსაყენებლად, რომელიც დღეს საშინლად დათრგუნული და იმედგადაწურულია.

ამიტომ, გაზეთი **"ილორი"**, მისი ერთგული მკითხველები გულითადად ულოცავენ ბატონ ნოდარ ერიაშვილს ამ დიდ შემოქმედებით გამარჯვებას, უსურვებენ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ახალი შემოქმედებითი სიმაღლეების დალაშქვრას.

რ. შალამბერიძე

აშშ-ს მცდელობა, რომ საქართველო გადააქციოს რუსეთთან დაპირისპირებულ და მეომარ ქვეყნად, სრული უგუნურებაა

„თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეამ" და მასთან არსებულმა „ეროვნული პრობლემების ანალიტიკურმა დარბაზმა" არაერთი წერილით მიმართა საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს და იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომელთა ძალისხმევასაც შეუძლია საქართველოს უმძიმესი მდგომარეობიდან გამოყვანა. ვესაუბრეთ ანალიტიკური დარბაზის ხელმძღვანელს, პროფესორს, თეოლოგ **დენიზა სუმბაძეს.**

– თქვენმა ასამბლეამ არაერთი წერილით მიმართა სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატიურ მისიებს. ახლახან კი სპეციალური წერილი მისწერეთ აშშ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონსაც. გჯერათ, რომ მათ მართლა შესტკივათ გული ჩვენს სამშობლოზე და საჩვენოდ გაირჯებიან?

– მიუხედავად იმისა, რომ დღევანდელი მსოფლიო-პოლიტიკური სივრცე არ მესახება დიდი ზნეობრივი მადლითა და სათნოებით დაჯილდოებულად, მაინც მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნის სუსტი მხარე არის მსოფლიოს მაღალ პოლიტიკურ იერარქებთან ურთიერთობის დაბალი დონე.

– მაგრამ ამ დონეს ხელისუფლების წარმომადგენლები განსაზღვრავენ...

– რა თქმა უნდა, ეს ასეა, ამიტომაც ვერ დავიწყეთ დღემდე მსოფლიოსთან დიალოგი, რაც ყველაზე მეტად გვჭირდება ჩვენი ეროვნული მეობის დასამკვიდრებლად თანამედროვე მსოფლიოს ცნობიერებაში. ქართველმა ხალხმა ეს დიალოგი სტიქიურად დაიწყო 2007 წლის ნოემბერში. შესაძლოა, ხალხი ბოლომდე ვერც აცნობიერებს, როდესაც ქუჩაში გამოდის, რომ ის პირდაპირ დგას მთელ თანამედროვე პოლიტიკურ მსოფლიოსთან და პროტესტს უცხადებს იმ პოლიტიკურ კურსს და იმ ყალბ პრინციპებს, რომლებითაც შენიღბულია თანამედროვე მსოფლიოს იმპერიული და დამპყრობლური იმპულსები.

ერთხელ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოკლე სიტყვით მიმართა გაეროს გენერალურ მდივანს და განუცხადა, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო განუყოფელია საქართველოსგან. ამ სიტყვების მოსმენისას ისეთი განცდა მქონდა, რომ საქართველო თავისი ნამდვილი სახელით ელაპარაკებოდა ბატონ პან გი მუნს. ვიდრე **აშშ** და საქართველო ნამდვილი სახელებით არ დაელაპარაკებიან ერთმანეთს, მანამ ჩვენს შორის პარტნიორობა არ შედგება, თუკი პარტნიორობაში ორი ქვეყნისა და ხალხის მოკავშირეობას ვგულისხმობთ.

– მაგრამ ისეთ მცირერიცხოვან და სუსტ სახელმწიფოს, როგორიც საქართველოა, ამერიკა თავის პარტნიორად და თანასწორად როგორ აღიქვამს?

– არ მჯერა, რომ ამერიკა საქართველოს უყურებს როგორც თავის პარტნიორ ქვეყანას. არა იმიტომ, რომ მას არ შეუძლია მაღალი მორალური დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოსადმი და, მით უმეტეს, მცირერიცხოვანი სუსტი სახელმწიფოსადმი, არ მჯერა იმიტომ, რომ ამ ორმა ქვეყანამ არ იცის ერთმანეთი. ეს არის პოლიტიკური ურთიერთობის ბუტაფორია.

ორიენტაცია დასავლურ ღირებულებებზე ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან სრულიად დაცლილია შინაარსისგან. გაურკვეველია, რა არის ჩვენი სახელმწიფოსთვის დასავლური ღირებულებები. რასაკვირველია, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, რომლებიც თვითმხილველნი არიან ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაციებისა, პირადად ჩემს ხედვაში არიან ყველაზე ყალბი და ყველაზე უპასუხისმგებლო პოლიტიკური მსოფლიოს წარმომადგენლები. ქართველი ხალხის მიმართ ინდიფერენტულნი, ელჩების კომფორტულ სავარძლებში მოკალათებულნი ისინი ვერ ასრულებენ თავიანთი ხალხების სამოციქულო მისიებს. ფაქტობრივად, საქართველოში მოხდა სამოქალაქო ომის გარკვეული ფაქტები, ოღონდ – ხელისუფლებასა და ხალხს შორის, და ამ შემაშფოთებელ სცენებს ელჩები უმალავენ მსოფლიოს და არ ტეხენ განგაშს ქართველი ხალხის სამართლიანი მოთხოვნების, მათი უფლებისა და ღირსების დასაცავად.

– მიჭირს დაჯერება, რომ იმ ქვეყნების ხელისუფალნი, რომლებსაც ეს ელჩები წარმოადგენენ, დიდად განიცდიდნენ საქართველოს უბედურებას. აბა, რატომ მიმართავთ აშშ სახელმწიფო მდივანს, თუკი მას უკვე ჩამოყალიბებული აქვს თავისი პოზიცია?

– სახელმწიფო მდივნისთვის მიწერილ წერილში ვასაბუთებთ, რომ საქართველოში ხისტი სამხედრო ინტერესების საფუძველზე ჩიხში შედის აშშ-ს პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც იგი მთელი მსოფლიო მასშტაბით ცდილობს. იმ პრაგმატული დამოკიდებულებით, რომელიც **აშშ**-ს აქვს საქართველოს ტერიტორიის მიმართ, ჩვენ ვდგებით არა მხოლოდ რუსეთის აგრესიის საშიშროების წინაშე, არამედ საქართველოს ტერიტორიის ახალი მსოფლიო ომის პოლიგონად გადაქცევის საფრთხის წინაშეც, რაც მსოფლიოს არც ერთი ქვეყნისათვის, მათ შორის, **აშშ**-სთვის არ შეიძლება იყოს სასარგებლო. **აშშ**-ს მცდელობა, რომ საქართველო, როგორც თავისი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანა, გადააქციოს რუსეთთან დაპირისპირებულ და მეომარ ქვეყნად, სრული უგუნურებაა, რომელშიც ჩათრეული აღმოჩნდება მთელი მსოფლიო.

ამიტომ წამოვაყენეთ ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რომელიც გულისხმობს საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმების, ანუ სვეტიცხოვლის კონკორდატის ამოქმედებას დღევანდელი გამოწვევების საპასუხოდ. აუცილებელია საერთაშორისო მხარდაჭერა და ქალბატონი ჰილარი კლინტონის ინიციატივით **აშშ**-ში შექმნილი საერთაშორისო კომისიის აქტიური ჩართვა ჩვენი ქვეყნისთვის ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პროცესებში.

ესაუბრა

ბონდო მძინარაშვილი

სამეგრელო და სვანეთი



ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.

ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

კორნელი ბოროზდინი

გეგიძე უკვე კაპიტანი იყო, როცა, ორმოციან წლებში, კავკასიაში რუსეთიდან გამოგზავნეს საჭურისები, მათგან შეადგინეს ინვალიდების მე-96 როტა, დაადანაკეს რიონისა და ცხენის წყალის შესართავებთან და გეგიძეს ამ როტის კომანდირობა ჩააბარეს. ეს თანამდებობა მისთვის სწორედ რომ ზედგამოჭრილი იყო, რათგან მაინც და მაინც კარგი ტანთსიმრთელე და ჯან-ღონე არა ჰქონდა. სამწყობრო და საომარი სამსახური მისთვის მეტის მეტად ძნელი იყო, აქ კი გასაკეთებელი და სადავიდარაბო თითქმის არა ჰქონდა რა და თავიდათავი ის იყო, რომ სამშობლოში უხდებოდა ყოფნა. საჭურისები 380 კაცი იყო, აქ მშვენივრად მოეწყვნენ. ხელი მიჰყვეს ნავების კეთებას, იცოდნენ სხვადასხვა გვარი ხელობა და იქაურობისათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდათ. გეგიძე კიდენ მათ ხელს არ უშლიდა მათს შორის ნამდვილი მამათმთავარივით ცხოვრობდა. ეზოში რამდენიმე პატარა სახლი ჰქონდა გაშენებული, და ვინც კი გამოივლიდა ტფილისიდან ყულევში ან ყულევიდან ტფილისში, უეჭველათ აქ უნდა მოჰყოლოდენ სტუმრებად და ყველას გულუხვად უმასპინძლდებოდა ჯერ კაპიტანი, მერე თავის დღეში არ ავიწყდებოდათ პატარა ტანის, დაჩიავებული მოხუცი, რომელიც სულ თავს ევლებოდათ, ცდილობდა გაერთო, საჭმელ-სასმელი არ მოეკლო და მგზავრებისათვის რაცა სჭიროდათ, ყველაფერი ეშოვნა. ერთხელ მასთან როგორღაც მოჰყვა ერთი ინგლისელების ოჯახობა ბავშვებიანათ, თეირანიდან ტფილისზე გამოევლოთ და ყულევში უნდა ჩასულიყვნენ, და სწორეთ ორპირში ბავშვებს წითელა გამოაჩნდათ; გზის გაგრძელება შეიძლებელი შეიქმნა. გეგიძეს-კი მხოლოდ ის აწუხებდა, რომ ინგლისური ყველასათვის გაუგებარი შეიქმნა და ამ გზადგამვლელ სტუმრებთან მხოლოდ ხელების საშუალებით უნდა გაეგებინა თავისი აზრი. ბოლოს გეგიძემ გადასწყვიტა თურმე, ქუთაისში ეტლი გაეგზავნა და ჩამოეყვანა გერმანულის ენის მასწავლებელი ბორნი ინგლისელებთან სათარჯიმანოდ, მაგრამ ბორნი რომ ჩამოიყვანეს, აღმოჩნდა, რომ სტუმარ-ინგლისელთათვის გერმანული ენაც ისევე უცხო იყო, როგორც რუსული. აქ რამდენსამე კვირას დარჩენილან და როცა ბავშვები სულ მოკეთებულან, წავიდენ და თავისი მადლიერება სახის ალერსიან გამომეტყველებით და ხელებით გადასცეს. გეგიძე სულ იმასა ნაღვლობდა, რომ მათთან გამოლაპარაკება ვერ შეეძლო. „კაი ხალხი-კი უნდა ყოფილიყვნენ“, – იტყოდა ხოლმე, როცა მათი სტუმრობა მოაგონდებოდა, – მათთან ოთახში რომ შევიდოდი, ერთმანეთს ხელს ჩამოვართმევდით, მერე ხელებს გავშლიდით, თავებს გავაქნევდით, გავიცინებდით... და ერთმანეთს გავერიდებოდით“...

სტუმართმოყვარე სახლი გეგიძისა ამიტომაც ცნობილი იყო როგორც ლონდონში, ისე პარიზში, და ვინც იქიდან კავკასიაში ან სპარსეთში წამოვიდოდნენ, ჩვეულებრივ ასეთს მისამართს აძლევდენ ხოლმე: Min›grelie, Maranne, Gueguidze. ღმერთმა დაიფაროს, რომ ვისმე პოლკოვნიკისათვის ფულის მიცემა განეზრახა ღამის გათევის ან გამასპინძლებისათვის, ეს მისთვის უდიდესი შეურაცყოფა იქნებოდა; გამვლელებს კი არ უშლიდა, როცა სჭიროდათ, ორპირის ბაზარზე ეყიდნათ, ხოლო როცა თვითონ უმასპინძლდებოდა, იმ შემთხვევაში თავს მოიკლავდა, ვისმე რამე სასყიდელი შეეძლია.

და განა იფიქრებდა-კი რომ ამ საუცხოო და უწყინარ მოხუცის ცხოვრებაში კინაღამ მეტად საშინელი ხასიათის დრამა არ დატრიალებულა...

ორმოციან წლების დასაწყისში გურიაში ხალხის აჯანყება მოხდა. მის დასამშვიდებლად ჯარები გაგზავნეს. ამ ჯარების უფროსად იყო ცნობილი კავკასიელი გმირი თავადი მოსე ზაქარიას ძე არღუთინსკი-დოლგორუკოვი. აჯანყება ჩაცხრობილ იქნა და მთავარ დამნაშავეთაგანი, თავადი შალიკაშვილი, საველე სასამართლოს დადგენილებით, კატორღაში გაგზავნეს. სანამ ეს უბედურება დაემართებოდა, შალიკაშვილმა ცოტა ხნის წინად ცოლად შეირთო ერთი მშვენიერი ქალი, თავად ტიმოთე მიქელაძის ასული ანა. ცოლი, რა თქმა უნდა, ქმარს არ გაჰყვა კატორღაში და ცოლქმარი განაქორწინეს. ამის შემდგე ორიოდ წელმა განვლო, ისე გეგიძეს შეუყვარდა ეს ქალი, ცოლობა სთხოვა და ჯვარი დაიწერა.

უკვე რამდენიმე წელიწადი იყო, რაც შალიკაშვილი სასჯელს იხდიდა კატორღაში, აღმოსავლეთ ციმბირში, სადაც მაშინ გენერალ გუბერნატორად მისულა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვი. ერთხელ როგორღაც კატორღელთა სიებს ათვალიერებდა თურმე, ისე თვალი მოუკრავს შალიკაშვილის გვარისათვის და შეჩერებულა. ამ გვარის კაცს სიკვდილს გადაურჩენია ამ ათიოდ წლის წინად მურავიოვი, როცა ის შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილების უფროსად ყოფილა; ეს მომხდარა ერთ-ერთ მის გალაშქრების დროს მთიულების წინააღმდეგ. მურავიოვს უბრძანებია დაწვრილებით გამოეკითხნათ ამ კატორღელის ამბავი, და გამომდგარა, რომ სწორედ ეს კაცი ყოფილა მისი მაშინდელი მხსნელი. რა თქმა უნდა მურავიოვისათვის, როგორც გენერალ-გუბერნატორისათვის, დიდი არაფერი ბედენა იყო შალიკაშვილის გამოხსნა უბედურებისაგან, შესდგომია გულმოდგინეთ შუამდგომლობას. შალიკაშვილი, როგორც კატორღელი, დანაშაულის ერთი ხარისხიდან მეორე ხარისხში გადაჰყავდა, ბოლოს სრული პატივება გამოუთხოვა ხელმწიფის წინაშე და ამავე დროს სამშობლოში დაბრუნების ნებართვაც.

და ერთბაშად მშვიდობიანს, თავის ქორწინებით გაბედნიერებულს და უკვე რამდენისამე შვილის პატრონს გეგიძეს წინ გამოეჭიმა კაცი, რომელმაც ცოლის დაბრუნება მოსთხოვა. და მერე ვინ კაცი?–ერთი თოკიდან აწყვეტილი ვინმე. თანაც იძახდა – ჩემთვის არ არსებობს რაღაც კაცობრიული კანონი, რომელსაც შეეძლოს დარღვევა ქორწინებისა, რომელიც ნაკურთხია ღვთიური კანონის მიერო. მიქელაძეთა გვარი ძლიერი გვარია იმერეთში, საბედნიეროთ გამოესარჩლა საწყალს გეგიძეს და მხოლოდ მათს ჩარევას და სერიოზულ დამუქრებას შეეძლო ანას პირველ ქმრისათვის ხელი აეღებინებინა თავის მოთხოვნაზე. საქმე მაინც იმით გათავდა, რომ გეგიძე შალიკაშვილის მოხარკედ გახდა და მთელის წლების განმავლობაში თავის ჯამაგირის ერთს ნაწილს აძლევდა, მაგრამ გეგიძის ოჯახის საბედნიეროდ, შალიკაშვილი ავად გახდა და გარდაიცვალა. და აი, რამ მწარე დღენი გამოუვლია, გეგიძეს, და ერიდებოდა კიდეც ამ ამბის მოგონებასა.

მე რომ გეგიძე გავიცანი, იმ დროის საჭურისების რიცხვის მხოლოდ ნახევარი იყო დარჩენილი, დანარჩენები დახოცილან და გულკეთილი პოდპოლკოვნიკი ნაღვლიანად მიამბობდა, რომ რამდენჯერმე მივწერე და მოვითხოვე შემცირებული როტა შემივსეთ-მეთქი, მაგრამ დღემდე შეუვსებლადა�ა. საკვირველის შორსგამჭვრეტელობით ხედავდა, რომ სულ მოკლე ხანში საჭურისები სულ ამოსწყდებოდნენ.

ამგვარად, მაისის 23, როცა მე სტუმრად ვიყავი გეგიძესთან, მის სახლის აივანზე იჯდა რამდენიმე მგზავრი, ფოთში მიმავალი. ლაპარაკობდენ მეორე დღისათვის ნავის დაქირავების შესახებ. ამ დროს შორი-ახლოდან ზარბაზნის დაცლის ხმა მოისმა. ნეტავ, რა ამბავი უნდა იყოს? აქ ზარბაზანს რა უნდოდა?

ცოტახანს სიჩუმის შემდეგ, ვიღაცამა სთქვა: „ალბათ, თოფი დასცალეს, დიდი ხმა იმიტომ ჰქონდა, რომ წყლის ზედაპირს გაჰყვა ხმაო“. მაგრამ ზარბაზნის ხმა განმეორდა და ეზოში ჩოჩქოლი ასტყდა და იძახდენ: „ორთქმავალი, ორთქმავალიო!“

თვალის დახამხამებაში გამოვცვივდით ნაპირზე და დავინახეთ პირველი და სრულიად მოულოდნელი ორთქმავალი გემი, რომელიც დიდის ხმაურობით მოაპობდა რიონის ტალღებს.

ყველას სიხარული აუწერელი იყო. გემმა კიდევ მოგვცა სალამი ზარბაზნის საშუალებით, ხოლო ნაპირიდან ყველამ „ურა“! შებღავლა ხმამაღლა. და როცა გემი ნავთსადგურს მიადგა, ერთწამის განმავლობაში მოცვივდა აუარებელი ხალხი, კიბე ჩამოუშვეს და გემის კაპიტანი ნაპირად გამოვიდა. ყველამ გულში ჩაიხუტა, როგორც სასიხარულო სტუმარი და მერე გადმოგვცა შემდეგი დაბეჭდილი განცხადება:

„შავისა და აზოვის ზღვების სხვადასხვა ადგილებს და კავკასიას შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად მენავეობისა და ვაჭრობის რუსის საზოგადოებამ განიზრახა გახსნას გემების მიმოსვლა რიონზე, პირველად ფოთიდან სამტრედიამდე, და ამ მიზნით ინგლისში შეუკვეთა ორთქმავალ გემის აშენება, რომელიც მზად უნდა იყვეს ახალის სტილით ივლისის პირველისათვის. ახლა-კი, იმისთვის რომ უფრო დავაჩქაროთ მენავეობის დაწყება რიონზე, რუსის საზოგადოების მენავეობა-ვაჭრობის დაწყება რიონზე, რუსის საზოგადოების მენავეობა-ვაჭრობის მთავარ კონტორის განკარგულებით რიონზე მოვიდა გემი „აკკერმანი“, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგება მიმოსვლას და მანამდე დარჩება ამ მდინარეზე, სანამ ამ მიზნისათვის შეკვეთილი გემი არ მოვა ინგლისიდან. ამიტომ იმათ, ვისაც უნდათ სამგზავრო ბილეთები ან თავის საქონლის გაგზავნა სჭირიათ, შეუძლიათ ამის შესახებ განუცხადონ ფოთში, ხოლო სხვა ადგილებში–თვით გემის კაპიტანს“.

ამ გვარად გემი **„აკკერმანი“** მხოლოდ მახარობელი იყო ნამდვილ რიონის გემის მოსვლისა. საზოგადოებას პირველი მგზავრობა საშიშოდ მიაჩნდა, გემის მართვა მიანდო გამოცდილ კაპიტანს, ბ. ზაბოლოტნის, რომელიც ფოთიდან გამოვიდა დილის 9 საათზე, დიდის სიფრთხილით უვლიდა იმ ადგილებს, რომლებიც ძირიანად ამოვარდნილ ხეებით იყო გაჩხერილი, და ოდნავად არ დაბრკოლებულა და არსად გაჩერებულა ისე, საღამოს 7 საათზე ორპირში იყო. გემი აქ სამი დღე-ღამე დარჩა და მაისის 27-ს ისევ უკან დაბრუნდა ფოთში; ზედ ისხდნენ: ნ.ა. მილუტინი, მ. პ. კოლუბიაკინი, ქუთაისის გუბერნატორი ნ. ა. ივანოვი და კარგი მოზრდილი საზოგადოება, ქუთაისიდან ჩამოსული. რეისმა მშვენივრად ჩაიარა და 7 საათი მგზავრობის შემდეგ ჩვენ უკვე ფოთში ვიყავით, სადაც ჩვენ მოგვეგება პორტის უფროსი კიტაევი, ათასეულის კომანდირი კორზიგნი და ინჟინერი ლიალინი, ქ. ფოთის მშენებელი.

ჩვენი მხარის ცხოვრებაში დიდი ამბავი იყო **„აკკერმანის“** გამოჩენა. და ცნობისმოყვარენი გროვა-გროვად მოესწრაფოდენ ყველა მხრიდან ორპირში. რომ ენახათ გემი, მისის ცქერით დამტკბარიყვნენ. ამ მხარეს რაღაც ცხოველმა სიომ დაჰბერა და გამოაცოცხლა, შემოგვანათა, ნიშანმა განათლებულ ქვეყნებისამ, რომელთანაც პირველი გემის მიმოსვლა ჩასახულ სავაჭრო მოძრაობით გვიპირებდა დაკავშირებას.

ყოვლადის ქების ღირსია ბ. ზაბოლოტნი: ყველას მეტად თავაზიანად და ალერსიანად ეპყრობოდა, და ცნობისმოყვარენი, რომელთაც გემის დათვალიერება უნდოდათ, – ასეთები კი აუარებელნი იყვნენ აქაურ მცხოვრებთა შორის, – თავისუფლად მოდიოდენ, და უკან კმაყოფილებს ისტუმრებდა.

მათ შორის ერთხელ ვიღაც დიდის გვარის მანდილოსანი მოვიდა, აუარებელი ამალა ახლდა და კაპიტანს თარჯიმანის პირით შემოუთვალა – თუ შეიძლება, გემი დაგვათვალიერებინეთო. კაპიტანმა სთხოვა – მობრძანდითო და დასახვედრად ფრაკი ჩაეცვა და და თეთრი გალსტუკი გაეკეთებინა. ეს გახლდათ ჩვენის მკითხველების ნაცნობი კნეინა მენიკი, რომელსაც თავისი განუშორებელი ალისფერი საწვიმარი ეჭირა, სირმით ამოკერილი. ჩვენს მხარეში პირველად მოსული ბ. ზაბოლოტნი ძალიან გააკვირვა თავისი დიდებულობით მენიკიმ და ამანაც დიდის მოწიწებით სულ დაწვრილებით დაათვალიერებინა გემი. კნეინა ორთქლის მანქანას პირველად ხედავდა და მისი ძალიან გაუკვირდა. როცა დათვალიერებას მორჩნენ, მისმა ბრწყინვალებამ თარჯიმანს უბრძანა შემდეგი კითხვა გადაეთარგნმა კაპიტანისათვის.

– ერთი ჰკითხე, ვინ უფრო მეტი ოსტატია: ეს, ვინც ამ მანქანას აკეთებს, თუ ის, ვინც საათებს აკეთებს-თქო?

კაპიტანი ჯერ ისევ ფიქრობდა, თუ რა ეპასუხნა, ისე კნეინამ უფრო დააფიქრა იმით, რომ სურვილი გამოსთქვა – ეს მანქანა მომყიდეთ, ქვაშიხორში უნდა გადავიტანოვო.

კაპიტანი ძალიან შესწუხდა, რომ იძულებული იყო უარი ეთქვა. თან დასძინა – თუ გნებავსთ, ამნაირსავე მანქანას სხვას გამოგიწერავთო.

– განა შეიძლება ასეთივე იშოვნოს კაცმა?

– შეიძლება, თქვენო ბრწყინვალებავ?

– მაშ უეჭველათ დაიბარეთ და ქვაშიხორში გადმოაგზავნეთ ჩემთან.

– ბატონი ბრძანდებით, თქვენო ბრწყინვალებავ.

მერე კნეინამ დიდკაცურათ თავი დაუკრა და ამალიანათ შინისაკენ გაეგმართა.

ორმა დღემ გაიარა ამის შემდეგ, ისე ბ. ზაბოლოტნი შემხვდა და მიამბო ამ ვიზიტის ამბავი და მკითხა, მართლა უნდა ავასრულო კნეინას შემონაკვეთი საქმე, თუ არაო. მე, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებინე, და ავუხსენი, რომ კნეინე ასეთ სხვილ–სხვილს იმიტომ ლაპარაკობდა, რომ უნდოდა გაეკვირებინეთთავის დიდკაცობითა-მეთქი...

პირველი საქმე, მ. პ. კოლუბიაკინის მიერ გაკეთებული, იყო სამეგრელოს კამერალიურ აღწერილობის შედგენა. შედგენილ იქმნა პროგრამები და განმარტებანი, რამდენსამე მოხელეს დაურიგეს ესენი და დაავალეს ემუშავნათ; თან მისცეს დღიური და სამგზავრო ფული. რამდენადაც მახსოვს, ამ საქმეს ნახევარ წელიწადზე მეტი მოუნდა, ყველა შემოწმებებითურთ დასრულებულ იქმნა 1859 წელს.

ჩამოსვლისთანავე გენერალმა იზრუნა ზუგდიდში მთავრისეულ სასახლის შეკეთების შესახებ; შემოდგომისთვის სასახლე სულ მთლად მზად იყო, ასე რომ მასში დაბინავება შეიძლებოდა. ამავე დროს ზუგდიდში აშენებდენ სახლს სამმართველოს საბჭოს მოსათავსებლად.

ძაღლი შინ არ ვარგოდა, და, სანადიროდ გარგოდაო...

დენდნენ გაკვეთილებს და მოსწავლეებს უნდა ასწავლიდნენ!

– ბავშვებს სასწავლო წიგნები უნდა ჰქონდეთ!

– ბავშვებმა სკოლაში გამოცდები უნდა ჩააბარონ!

– 10 გამოცდა უნდა ჩააბარონ იმათმა, ვისაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება სურს!"

ახალი განათლების მინისტრი **ბ-ნი შაშკინი** კი (დიდი იაკობ გოგებაშვილი ამათ არ სწამთ და არ ვიცი ვის შევადარო!) – **ლამის ქართული განათლების მხსნელად წრმოგვიდგინა!**

ტელეწამყვანებზე არაფერს ვამბობ! სტუდიაში მოწვეულმა **სკოლის მასწავლებლებმა** და **პედაგოგ-პროფესორებმა** პრეზიდენტის გურიაში **„ნაბჟუტურევი" – პედაგოგიკის დარგში, გენიალურ აღმოჩენად ჩათვალეს და იგი საუკუნის მიღწევად წარუდგინეს ტელემაყურებელს!**

და ეს ხდება მაშინ, როცა სააკაშვილის და მისი განათლების მინისტრების მიერ ჩატარებული, ორ მილიარდად (პრეზიდენტის სიტყვებია!) ღირებული, განათლების და სასკოლო რეფორმების შემდეგ, ბოლო ხუთი წლის მანძილზე მაღალი კლასის მოსწავლეებს სკოლაში არ უვლიათ და საყოველთაოდ ცნობილია – **მასწავლებლები მწირი ხელფასისთვის სკოლაში, მოსწავლეები კი საკუთარი სახსრებით დადიან რეპეტიტორებთან, უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისთვის მოსამზადებლად!**

ჩემო ავთანდილ, როინ, რევაზ და ყველა დანარჩენო ძვირფასებო – **როგორ იყო ჩვენს დროს, 35-40 წლის წინ, სკოლაში სიარული, გაკვეთილებზე დასწრება, მასწავლებელს რომ გაკვეთილი ჩაეტარებინა, სკოლის მოსწავლეს ათ საგანში გამოცდა რომ უნდა ჩაებარებინა** – სასწაულად და გენიალურ აღმოჩენად ითვლებოდა?

...ჰო, მართლა, – **„მიშამაგარიას"** ნახსენებმა 10-მა გამოცდამ საგონებელში ჩააგდო და კინაღამ ინფარქტი მიაღებინა, უამრავ განათლების მუშაკს და ტელემაყურებელს, რადგან ვერ გაარკვიეს ამ **„ჭკუის კოლოფმა"** 10 გამოცდა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად გამოაცხადა თუ, სიმწიფის ატესტატის მისაღებად!

რომ ვთქვი – კითხონ სააკაშვილს და დამთავრდა კამათი-მეთქი, ერთმა ახლობელმა გაკვირვებულმა მიპასუხა – **ხომ არ გაგიჟდი, ამას ვინ გაუბედავს! თან ისიც დაიმახსოვრე გაგლეჯილ კაიფში** (ამ სიტყვას ბრჭყალებში არ ვსვამ, რადგან იგი ჩვეულებრივი მოვლენა გამხდარა უმაღლეს ეშელონებშიც!) **იყო ის უბედური და რა ემახსოვრება რა ილაპარაკო!**

მე ვერ გამოვდგები სააკაშვილის ადვოკატად, მაგრამ იმას კი დაუფარავად ვიტყვი – **როცა ქვეყნის პრეზიდენტზე დიდი ხანია ასეთი ხმები დადის და ვერც იმას დამალავ, რაც მას სახეზე ატყვია – „დამკვირვებლები" უკრაინაში კი არ უნდა გაგზავნოს საქართველომ, „დამკვირვებლები" ქართველმა ხალხმა უნდა მოიწვიოს უცხოეთიდან მისი პრეზიდენტის და მთავრობის შესამოწმებლად და ასე უნდა დაიდოს სამედიცინო დასკვნა მათი ჯანმრთელობის შესახებ!**

თურმე, კიდევ ერთი საშიში ჩვეულება დამკვიდრდა ამ ბოლო დროს ჩემს სამშობლოში: თუ ვინმემ ხმამაღლა გამოთქვა ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე უიმედობა, მას უმალვე თავს დაესხმიან **„ახალგაქრისტიანებული"** ქართველები, რომელთაც საეკლესიო დოგმები დაიზუთხეს და არა გონების თვალით წაიკითხეს და შეისისხლხორცეს – **„მაშ შენ მორწმუნე არ ყოფილხარ, რადგან საქართველოს აღდგომის და გადარჩენის არ გჯერაო!"**

ჩემო ძვირფასებო, თქვენს გასაგონად მინდა ვთქვა – თქვენ ის ნაწილი ხართ ჩვენი ხალხის და სამშობლოსი, რომელთაც არასოდეს გამოგიხატავთ პროტესტი იმ უმსგავსობების მისამართით, ზემოთ რომ ვისაუბრეთ!

თქვენი მოტივაცია ასეთია – **რაღა მე ვთქვა, რა ვიცი სად დამხვდება ჩემი ნათქვამი!.. ჩემი თავი ჯანდაბას, შვილებს არ ვაენო, ბოლოს და ბოლოს რას შემომიჩნდით, ხომ არ დაგავიწყდათ – „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოსჭრა კბილიო!"** ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, არაფერს ვამბობ იმაზე რომ – **თქვენ არასოდეს გაგიყვიათ ბოლო ლუკმა უპოვართათვის! ოდესღაც ზედმეტი და გადასაყრელი სხვისთვის თუ გაგიმეტებიათ, ამას უფალი სიკეთეში არ ჩაგითვლით.**

ამიტომაც მეტი დაფიქრება გმართებთ, ვიდრე სხვას საქციელს და მითუმეტეს – **ქრისტიანობას დაუწუნებდეთ!**

მეც ცოდვილი ვარ და მომიტევოს უფალმა იძულებული რომ გავხდი, მწარე სიმართლე მეთქვა თქვენთვის!

მე და ჩემისთანები, იმას ვწუხვართ და ვცდილობთ, სანამ ჩვენს სამშობლოს რაიმე დაუშავდებოდეს, მანამდე ვიხსნათ იგი და ამისათვის არაფერს ვითხოვთ თქვენგან, გარდა – **გვერდში თუ არ დაგვიდგებით, „ზემოთ" ნუ დაგვაბეზღებთ და ხელს მაინც ნუ შეგვიშლით!**

მით უმეტეს, იმას ნუ იკადრებთ გვისაყვედუროთ – **საქართველოზე გული თუ შეგტკივათ დაბრუნდით და ჩვენთან ერთად იცურავეთ შევარდნაძე-სააკაშვილის მიერ მოზელილ ტალახში, რომელსაც „მსოფლიო ელიტის ათეულისკენ მისასვლელი ჰქვია!"**

ჩვენ საქართველო არასოდეს დაგვიტოვებია, მისი სიხარული და ტკივილი იმაზე მეტი გავიტანეთ, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს შეგვეძლო და სწორედ ამის შიშმა გაგვაძლებინა – **ვინმემ ჩემი სამშობლოს ტკივილი და სიყვარული არ წაგვართვასო!..**

ჩემს ნათქვამს გაბრაზებად ნუ ჩამითვლით! მე იგი გულში არც გამივლია. ჩემი სამშობლოდან შორს, კომპიუტერთან ვზივარ, თქვენზე ვფიქრობ და მახსენდება გერმანელების ერთი, ჩვენს ყოფასთან მისადაგი გამოთქმა – **„ძაღლი რომ სიკვდილისგან იხსნა, სულ ცოტა, იგი უნდა სუნთქავდეს!"**

მე მოგიწოდებთ – ვიდრე ჩვენ თვითონ **„ჩაგვაძაღლებდნენ და ჯერ კიდევ ვსუნთქავთ"**, მანამდე დავუდგეთ ერთმანეთს და ჩვენს სამშობლოს, თორემ **„უცნობი ჯარისკაცის"** ნეკროლოგს არც ჩვენ დაგვამადლიან!

ის კი არა, **სამშობლოს წინაშე „დიდი დამსახურებისათვის", „მადლიერმა" ქართველმა ხალხმა, ჯაბა იოსელიანის ცოდვილი ნეშტი დიდუბის პანთეონს მიაბარა!**

დავით შოთაძე,
კობლენცი, გერმანია

P.S. ვერცერთხელ ვერ მოვახერხე წერტილი დამესვა და წერილიც ასე დამემთავრებინა, ისე სწრაფად იცვლება მოვლენები (სამწუხაროდ არა უკეთესობისკენ!) საქართველოში, რომ მე თვითონვე მიწევს საკუთარი ნაწერის კომენტირება.

ამჯერად **„მიშამაგარიას"** გურიაში **„ბუზის"** არყის დალევას უნდა მივუბრუნდე. გურული გლეხების **„არტისტულმა საქციელმა"**, ტელემაყურებელი რომ ადაფრთოვანა, ისინი **სინამდვილეშიც ოზურგეთის თეატრის არტისტები ყოფილან!**

გამოდის რომ, პრეზიდენტის ეს ვოიაჟი საკალანდო ხუმრობა ყოფილა!

ვერაფერს დაუწუნებ, ის კი არა აღფრთოვანებით უნდა შესძახო – **აფერუმ შენს ნიჭიერებას პრეზიდენტო!** ისე მაგრად ითამაშე ოზურგეთის თეატრის დასთან ერთად, იუშენკომ იკითხოს თორემ, შენც რომ მალე უკრაინის პრეზიდენტივით **„მოგსვამენ"**, დიდი შანსი გაქვს, ოზურგეთელ არტისტებთან ერთად **„ვანოს შოუს"** ადგილი დაიკავო **„რუსთავი-2"**-ზე!

ვანო ჯავახიშვილმა კი პრეზიდენტად იყაროს კენჭი!

ხუმრობა იქით იყოს, შენზე მეტი, ვანო ჯავახიშვილმა რა უნდა დაუშავოს ჩვენს სამშობლოს?!.

დასასრულს კი ჩემს ხალხს მინდა მივმართო:

– ძალიან ცუდი ხმები დადის ევროპაში, საქართველოში მოსალოდნელ პროვოკაციებზე და ამას არაორაზროვნად უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურსაც უკავშირებენ.

ბოლოს და ბოლოს უნდა მივხვდეთ, რომ ჩვენ არავინ გვეკითხება და ჩვენი საქმე არ არის, როგორ გადაწყვეტენ უკრაინელები თავიანთ მომავალს. მითუმეტეს, კარგად უნდა გვესმოდეს – **იგი ოზურგეთის თეატრის არტისტების და „მიშამაგარიას რეჟისორული ნიჭის" დონეზე არ წყდება!**

ერთი ძველი ანეგდოტისა არ იყოს – **„საკუთარ გემს მივხედოთ, საკუთარ გემს!..",** რომელიც იძირება და სასწრაფოდ შველას ითხოვს!

არ ვიცი რა დავარქვა იმ ავადმყოფობას, რასაც საქართველოს მთავრობა და მისი **„მედია საშუალებები"** რეგულარულად ავლენს, შედეგად საკუთარი ქვეყნის რბევა, უცხოეთში გასულ თანამემამულეთა დევნა-გამოძევება და კიდევ უამრავი უბედურება რომ მოაქვს!..

გაიხსენეთ – რუსეთის პრეზიდენტი პუტინი კაბინეტში არ იყო შესული, საქართველოში სახელმწიფო დონეზე ამუშავდა **„ინჭორბიურო – ქართული მასმედია"** და იგი კასპის რაიონის უპატრონო ბავშვთა სახლის **„პრიიუტჩიკად"**, მამამისი კი ლოთად გამოაცხადეს, დედა კასპელ გლეხზე გაათხოვეს, რომელიც თურმე უზომოდ ჩაგრავდა **„ნორჩ, რუსეთის მომავალ პრეზიდენტ, ვალოდიას!.."**

ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, თურმე, თვითონ პუტინს არაფერი სცოდნია ამ საზარელი ამბების შესახებ, იყო მშვიდად და ემზადებოდა მაღალი იერარქიების დასაპყრობად, მაგრამ იმდენი უჩხიკინეს, იმ მეგრელისა არ იყოს, რომ კითხეს როგორ ხარო? – **„ეს რა გამახსენეთ, მე თქვენი დედაო!"** და საქართველოზე და ქართველებზე იყარა ჯავრი! რომ იტყვიან, შავი დღე დაგვათენა – რუსეთში, საშოვარზე გასული ათასობით, ქართველი გამოგვიყარა, აფხაზეთი და სამაჩაბლო სამ დღეში მოიხაზირა და კინაღამ თბილისიც მიაყოლა ზედ! წელიწადნახევარი მიილია მას შემდეგ და სააკაშვილსა და მის მთავრობას, დღემდე ვერავინ დააცდენინა, რომ სამარცხვინო საქმე დაგვემართა და ბუნებრივია – **წასაგებად დაწყებული ომი წავაგეთ!..**

ახლა კი ჯერი უკრაინაზე მიდგა!

ჯერ იყო და **იუშენკო – „მიშამაგარიას"** მეგობრობასა და ტრაბახს გადაგვაყოლეს, ამჯერად კი საქართველო უნდა გადააყოლონ უკრაინის არჩევნებს!..

კვლავ ამუშავდა **„ინჭორბიურო"** და ამჯერად **„კვირის ქრონიკა"** მიადგა უკრაინის მომავალ პრეზიდენტობის კანდიდატს სენსაციური განცხადებით – **„ვიქტორ იანუკოვიჩი ედუარდ შევარდნაძის უკანონო შვილი",** ჩვენებურად – „ნაბიჭვარი" ყოფილა!

მთლად გადაირიეთ ხალხნო?!.

თუ ეს მართლა ასეა და მისი **„ნაძირალა"** მამაც ადასტურებს ამას, მოგეცადათ ცოტა ხანი, დადგომოდით გვერდით **„ბიძაშვილს"** და განმეორებითი ტური რომ ჩაივლიდა, მერე გეხსენებინათ ეს საუკუნის საიდუმლო!..

თქვენ თუ ჭკუა დაჰკარგეთ, სტუმარი მაინც არ ჩამოგდით, რომ მას ჰკითხოთ: როგორ იქცევიან, როცა მეზობელ (თავი დავანებოთ მეგობრობას!) ქვეყანაში არჩევნებია და ამ ქვეყნის მომავალი წყდება?!.

დავიჯეროთ, ვერ ამჩნევთ რომ ამას **„დაუკრეფავში გადასვლაც"** კი არ ეთქმის!.. ისეთ უზნეობებში გადახვედით, რომელსაც უკრაინის პრეზიდენტი კი არა, უკანასკნელი **„ნაცმოელიც"** კი არ გაპატიებთ, რომელიც ნებისმიერ თქვენს წამოძახილზე, ხუთ ლარად, ყვითელ ავტობუსში თუ ეკალ-ბარდებსა და ბუჩქნარებში ყირაზე გადადის?!.

მე არ ვაპირებ პასუხი გავცე გაზეთ **„კვირის ქრონიკას"** (რომელსაც, სულაც ფეხებზე ჰკიდია, რა მოხდება მის მიერ **„უკანონო შვილად გამოცხადებული"** იანუკოვიჩის უკრაინის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, რა რეაქცია იქნება მისგან ამის გამო საქართველოს მისამართით!), ან მის სკანდალურ კორესპონდენტს ბ-ნ დიტო ჩუბინიძეს, მაგრამ მხოლოდ ერთს შევახსენებ – **თქვენ თუ იმას ფიქრობთ შევარდნაძის „ნაბიჭვრობა" საპატიოა და ამ ფორმით თანადგომას უცხადებთ მას – ჩვენს ხელისუფლებას უფრთხილდით, რადგან მათ დიდი „მოწილე" ჩაუყენეთ იანუკოვიჩის სახით!**

ისინი ამას არ გაპატიებენ, მათ „მოწილეები" არ უყვართ!

თუ იმას ფიქრობთ, ამ ბინძური წერილით, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ ხელს შეუშლით იანუკოვიჩს და **„ნაწნავიანი იულია** უპრობლემოდ **„გაროკავს"** პრეზიდენტის სავარძლისკენ, თქვენი შემკვეთების ჭკუათხელობაზე მეტყველებს!

ამას წინათ ვახსენე **„თავისუფალი ქართული სიტყვის ფლაგმანები"** – **„ასავალ-დასავალი", „კვირის ქრონიკა", „კვირის პალიტრა"** და სხვა დანარჩენები, სააკაშვილის და მისი მთავრობის შეკვეთაზე მომუშავე გაზეთები-მეთქი! არაფერი მაქვს მათთან საწინააღმდეგო, რადგან, ცხადია ეს მათთვის შემოსავლის წყაროა და, მათი აზრით, **„ყვავს რომ კაკალი გააგდებინო"** ისიც ხეირია, მაგრამ მე ის მაშინებს – **ყვავებისგან გაგდებულ კაკალს ბომბები არ მოჰყვეს, როგორც ეს 2008 წლის აგვისტოში მოხდა!**

რა მიზანი აქვს მაინც **„კვირის ქრონიკაში"** გამოქვეყნებულ წერილს და ვის უწევს იგი რეკლამას თუ ანტირეკლამას?

რატომ გაახსენდა კლარა აბრამიას მაინცდამაინც უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის წინ **„...მოსკოვში.., როცა ჯაბას მოჰყავს შევარდნაძე თბილისში და შევარდნაძემ სულ უკანასკნელად ჩაატარა ფონდის სხდომა. იმ გამოსამშვიდობებელ ბრიფინგს ვესწრებოდი მე. დარბაზში სადაც ბრიფინგი გაიმართა და მე ვიჯექი, ჩემს გვერდით ვიღაც ბიჭი დაჯდა, რომელსაც თან ახლდა მაღალი, წარმოსადეგი, სიმპათიური ახალგაზრდა მამაკაცი.."** მოკლედ, მთელს ინტერვიუს ვერ გადავწერ, ქ-ნი კლარა აბრამია ამტკიცებს, რომ ეს **„მაღალი, წარმოსადეგი, სიმპათიური ახალგაზრდა"** ვიქტორ იანუკოვიჩი იყო!!!

ქ-ნ კლარა აბრამიას თუ დავუჯერებთ, ბუნებრივია, **„უკანონო შვილს", „უკანონო მამის"** ბედი დააინტერესებდა და გამოსამშვიდობებელ ბრიფინგს დაესწრებოდა მოსკოვში.

როგორც იტყვიან, ყველაფერი ხდება (სასწაული მხოლოდ ის არის, რომ ყველგან ქართველია ფრიად **„სასირცხვო"** ადგილებში გაჩხერილი)! ვთქვათ ეს ასე იყო კიდეც, მაგრამ რას ემსახურება უკრაინის მომავალი პრეზიდენტის შევარდნაძის **„ნაბიჭვრად"** გამოცხადება?

მე ვერ დავდებ თავს უკრაინელთა ადათ-წესების მცოდნედ, მაგრამ ის კი შემიძლია დანამდვილებით განვაცხადო – **არცერთ ქვეყანაში უკანონო შვილად ვინმეს მოხსენიება ქათინაურად არ ითვლება!**

არა მგონია, ამ მხრივ უკრაინა გამორჩეული იყოს, მითუმეტეს მისი მომავალი პრეზიდენტის ამ **„რანგში"** მოხსენიება სასახელოდ ითვლებოდეს!

რაში დაგჭირდათ, დიტო ბატონო, ამ ბინძური წერილის გამოქვეყნება? ორი სიტყვა ტიმოშენკოს სომხობაზეც დაგეწერათ მაშინ თქვე ოჯახაშენებულებო, თქვენი და თქვენი გაზეთის ოპოზიციონერობას უფრო არ დაიჯერებდა მკითხველი?

რატომ არ დაფიქრდით იმაზე, რომ კლარა აბრამია შევარდნაძე **„უხსენებელის"** მარჯვენა ხელი და პუტჩისტია, შევარდნაძის ჩამოსაყვანი ბრიფინგის მომზადების საპატიო მისია რომ ეკისრა, დღესაც მისი სახელის რეანიმაციაზე ფიქრობს და საქართველოს ასამარებს, როგორც ეს 20 წლის წინათ ჩაიდინა?

ჩვენ კარგად ვიცით, თქვენ და თქვენი გაზეთი ამაზე ვერც დაფიქრდებოდით, თქვენი შემკვეთები ამის უფლებას არ მოგცემდნენ, რადგან ისინი სომეხი ტიმოშენკოს ჯიშისანი არიან და მისი ნამდვილი გვარის (თუ ღმერთი გწამთ, თქვენებურად ნუ გაიოცებთ და არ თქვათ, რომ პირველად გესმით!) ხსენება მარტო საქართველოში კი არა, სომხეთშიც აკრძალულია და იცით რატომ?

– სომხები გაცილებით შორს იყურებიან ერთმანეთს აფრთხილებენ – **ხელი არ შევუშალოთ ჩვენს „აღჩიკას" პოლიტიკურ სარბიელზე სანამ გაიმარჯვებდეს, ზეიმს და ტრაბახს მერეც მოვასწრებთო!**

დიტო ბატონო, ამას ჰქვია ეროვნული ინტერესის და საიდუმლოს ქვენა გრძნობებზე მაღლა დაყენება და არა იმას, რასაც თქვენ აკეთებთ – **სხვის ომში საკუთარ სამშობლოს ანგრევთ!**

ანაკონდას რგოლები

აშშ-ში სამოქალაქო ომისას, 1861-65 წლებში, ადმირალმა მაკლელანმა დანერგა და წარმატებით გამოიყენა ე.წ. ანაკონდას რკალით მოწინააღმდეგის გაგუდვის სტრატეგია.

ამ სტრატეგიის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ჩრდილოელები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა პირველ რიგში საზღვაო ზოლიდან განედევნათ და მერე კონტინენტის სიღრმეში „გაეგუდათ“ სამხრეთელები, რომლებსაც, კარგავდნენ რა გასასვლელს ზღვაზე, რაიმე მნიშვნელოვანი მანევრის განხორციელების შანსი დღითიდღე ხელიდან ეცლებოდათ.

ეს სტრატეგია დღეს ცნობილია როგორც ევროატლანტიკური მიდგომა და აუცილებელ პირობას წარმოადგენს ნებისმიერი ზესახელმწიფოსთვის, რადგანაც ზღვაზე კონტროლის გარეშე მეტნაკლებად მნიშვნელოვან მსოფლიო პროცესებზე გავლენის მოხდენა შეუძლებელია, რამეთუ „სახმელეთო“ იმპერიების დრო რახანია ისტორიას ჩაბარდა.

ამ თეზისის დასტურად მონღოლეთის იმპერიის კრახიც იკმარებს, უამრავ სხვა მაგალითზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელთა ჩამოთვლისაგან ამჯერად თავს შევიკავებ.

თანამედროვე გეოპოლიტიკაში წარმოუდგენელია მეტნაკლებად გავლენიანი ანგარიშგასაწევი სახელმწიფო, რომელსაც არ ექნება ძლიერი პოზიციები ოკეანეში.

ამ პოზიციებისათვის რუსეთმა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს დაიწყო ბრძოლა, რომლის შედეგადაც ციხე სამხრეთული ზღვების გარდა შავ ზღვაზეც მოიპოვა გასასვლელი... მას შემდეგ ევროპის ქვეყნებმა და თურქეთმა არაერთხელ სცადა რუსეთის შავი ზღვიდან გაძევება, მაგრამ განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ მიაღწია.

თანამედროვე ამერიკა და დასავლეთი ამ პრობლემის მოგვარებას სხვა მეთოდებით ცდილობს. შავი ზღვიდან რუსეთის გასაძევებლად დღეს, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, აქტიურად იყენებენ პოლონეთს და ისეთ „შენიღბულ“ პროექტებს, რომელთაც, ერთი შეხედვით, შავი ზღვიდან რუსეთის გაძევებასთან საერთო არაფერი აქვს.

პროექტი „აღმოსავლეთის პარტნიორობა“

„აღმოსავლეთის პარტნიორობის“ ინიციატორები პოლონეთი, შვედეთი და ჩეხეთი არიან. ვარშავისათვის ამ პროექტში მონაწილეობას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. იგი გავლენის სფეროებში ბებერ ევროპას ვერ შეეცილება, მაგრამ ხელიდან არ უშვებს შანსს, რომ რუსეთის შესუსტებით აღმოსავლეთში გაიფართოვოს გავლენა. პოლონეთის ეს მისწრაფება და ამ გზით რუსეთსა და ევროპას შორის ერთგვარი ბუფერული ზონის შექმნა დასავლეთსაც აწყობს.

ინიციატორებთან ერთად ამ პროექტში მონაწილეობენ ბაქო, ერევანი და თბილისი, ანუ მთელი ამიერკავკასია. ხსენებული პროექტი, წარმატების შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ევროპას, დაბლოკოს რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინიციატივები, თუკი ამ თამაშში მთელი კავკასია (მათ შორის, რუსეთის პარტნიორი სომხეთიც) ჩაერთვება.

პროექტი „ჩრდილოეთის განზომილება“

პოლონელი ექსპერტები შეგვახსენებენ, რომ **„ჩრდილოეთის განზომილება“** თანამეზობლობის ევროპული პროექტის ნაწილი კი არა, ცალკეული, პირველ რიგში, ფინეთის მიერ რუსეთთან ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის დამყარების მიზნით მხარდაჭერილი ინიციატივაა. ასეთი ფორმატი სულაც არ აძლევს ხელს პოლონეთს, რომელიც აშშ-ის **„გუნდში“** თამაშობს და ბალტიის ზღვის აუზიდან რუსეთის გამოძევებას ლამობს. ვარშავა და ვაშინგტონი დაინტერესებული არიან **„ჩრდილოეთის განზომილებას“** ცოტა სხვაგვარი, რუსოფობიის მსუყე ულუფით განოყივრებული მიმართულება შესძინონ.

„ჩრდილოეთის განზომილება“ ფოკუსირებულია მარგინალურ საკითხებზე, რომლებიც ევროკავშირისა და რუსეთის საზღვრებს უკავშირდება და პრაქტიკულ მიდგომას ღაღადებს. ამიტომ პროექტის რეალიზაციის პროცესში ევროკავშირ-რუსეთის პრობლემურ საკითხებს არ ეხებიან,“ – კონსტატაციას ახდენენ პოლონელი ექსპერტები.

მათი აზრით, პროექტში წამოჭრილი საკითხები მცირემასშტაბურია და უმაღლეს დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას არ მოითხოვს, რასაც **„ჩრდილოეთის განზომილების“** ფუნქცია ჩვეულებრივი, პრაქტიკული გამორჩენით განპირობებული მოლაპარაკებების დონეზე დაჰყავს. ასეთ პირობებში არ განიხილება ბალტიის ფსკერზე ენერგონედლეულის ტრანსპორტირების, ბალტიის ზღვის აუზში ევროკავშირის საზღვრების უსაფრთხოებისა და რეგიონში რუსეთის გავლენის საფრთხის საკითხები, რაზეც ძალიან წუხან პოლონელი პოლიტიკანები.

პროექტი „შავი ზღვის სინერგია“

„შავი ზღვის აუზი პრობლემებისა და უსაფრთხოების სფეროში პოტენციური მუქარების მთელი მოზაიკაა, რის მაგალითადაც იქცა 2008 წლის ომი საქართველოში. ეს რეგიონი დიდი ეკონომიკური პოტენციალის მქონეა, განსაკუთრებით ენერგორესურსების ექსპორტის სფეროში და ევროკავშირის ქვეყნებისთვის დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს,“ – ასეთ შეფასებას აკეთებენ **„ნათოლინის“ ექსპერტები.**

პროექტ **„შავი ზღვის სინერგიის“** ამოქმედების მთავარ მიზეზად იქცა ევროკავშირის მისწრაფება, დაასტაბილუროს უწინ რეგიონში დინებას მიშვებული საზოგადოების დემოკრატიზაციისა და საერთაშორისო თანამეგობრობისათვის კომფორტული ეკონომიკური პირობების ჩამოყალიბების პროცესები. **„შავი ზღვის სინერგიის“** გაქანება **„ჩრდილოეთის განზომილებაზე“** გაცილებით დიდია. მასში ჩართული არიან თურქეთი, ბულგარეთი, უკრაინა, რუსეთი, რუმინეთი, საქართველო, სომხეთი, ზერბაიჯანი, საბერძნეთი და მოლდავეთი.

ევროკავშირის პოლიტიკაში შავი ზღვა პოლიტიკურ ერთიანობად განიხილება, თუმცა ჯერ კიდევ 2003 წელს ევროკავშირი ასეთ განმარტებას უგულებელყოფდა. ახლა **„შავი ზღვის სინერგია“** სამ მიმართულებას მოიცავს: პარტნიორული ურთიერთობებს უკრაინასთან, საქართველოსთან, მოლდავეთთან, სომხეთსა და აზერბაიჯანთან; თურქეთის სავარაუდო გაწევრებას ევროკავშირში და რუსეთთან სტრატეგიულ პარტნიორობას.

გარდა ამისა, ყურადღება ექცევა შემდეგ თემებს: ადამიანის უფლებათა დაცვას, უსაფრთხოებას, გაყინული კონფლიქტების მონიტორინგს, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს, ენერგონედლეულის ექსპორტის საკითხებს, ტრანსპორტსა და საზღვაო პოლიტიკას.

შავი ზღვის აუზში გაყინულ კონფლიქტებად შეიძლება ჩაითვალოს აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და ნაწილობრივ მთიანი ყარაბაღი, რაკიღა აზერბაიჯანი და სომხეთი მოცემული პროექტის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. ამიტომ ვარშავის სურვილი, წარმოქმნილი ფეთქებადსაშიში სიტუაცია თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს, სავსებით გასაგებია.

აშშ-ცა და პოლონეთიც ნებისმიერი შესაძლებლობის გამოყენებას ცდილობენ რუსეთის გავლენის დასასუსტებლად რეგიონში. გარკვეულ პირობებში **„შავი ზღვის სინერგიის“** ინიციატივამ, შესაძლოა, მათ ამის საშუალებაც მისცეს. მიუხედავად ამისა, პოლონელი ექსპერტები პროექტის ინიციატორებს გადაჭარბებული სიფრთხილისა და რეგიონული კონფლიქტების გადაწყვეტილების სურვილის არქონისთვის საყვედურობენ.

პოლონელი ანალიტიკოსები კმაყოფილებით ახდენენ ბუქარესტის სურვილის კონსტატაციას – ხელი შეუწყოს სამოქალაქო საზოგადოების ბირთვების განვითარებას შავი ზღვის რეგიონში. ამ მიზნით რუმინეთმა შავი ზღვის ფორუმის ორგანიზება მოახდინა, რომლის მიმართაც ვაშინგტონი ძალზე დიდ კეთილგანწყობას იჩენს. ფორუმში მონაწილე რუმინული, უკრაინული და ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი მუშაობის კოორდინირებას ახდენენ და ხელს უწყობენ **„დემოკრატიისა“** და ადამიანთა უფლებების იდეალების გავრცელებას. ერთ-ერთმა ამერიკულმა საექსპერტო-ანალიტიკურმა ცენტრმა – **„ატლანტის საბჭომ“** თავის საიტზე განათავსა ინფორმაცია 30 სექტემბერს დანიშნული ეკონომიკური ფორუმის შესახებ, რომელიც შავი ზღვის აუზში დასავლეთის პოლიტიკას, კერძოდ კი, ამ რეგიონის ენერგეტიკულ რესურსებს ეძღვნება. ფორუმი ბუქარესტში გაიმართება, რაც კიდევ ერთხელ აღვივებს აზრს რუმინეთისა და აშშ-ის ურთიერთდაკავშირებული პოლიტიკის შესახებ. ამ მოვლენის ანონსები არა მხოლოდ ამერიკულ, არამედ რუმინულსა და სხვადასხვა საკვლევი ცენტრის საიტებზეც გამოჩნდა.

ღონისძიებას აფინანსებენ რუმინეთის საგარეო საქმეთა და ეკონომიკის სამინისტროები. საპატიო სტუმრებს შორის იქნებიან: რუმინეთის პრეზიდენტი ტრაიან ბასეკუ, საგარეო საქმეთა მინისტრი კრისტიან დიაკონესკუ, ეკონომიკის მინისტრი ანდრიან ვიდიანუ, აშშ-ის ენერგეტიკის მინისტრი სტივენ ჩუ, ატლანტის საბჭოს ხელმძღვანელი ჩაკ ჰაგელი, ევრაზიის სივრცეში ვაშინგტონის წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში რიჩარდ მორნინგსტარი.

თეთრი სახლის მიერ ევრაზიის სივრცეში ოფიციალური უწყების შექმნა ენერგეტიკის საკითხებში და რ. მორნინგსტარის დანიშვნა ბევრზე მეტყველებს. დაგეგმილ ღონისძიებაში ამერიკელ მადალჩინოსანთა მონაწილეობაც მნიშვნელოვანია.

თუმცა შავი ზღვის რეგიონში ყველა ქვეყანა დადებითად როდი აღიქვამს პროექტ **„შავი ზღვის სინერგიას“**. თურქეთი და რუსეთი ამაში სამართლიანად ხედავენ გაერთიანებული ევროპის შენიღბულ მცდელობას, დამკვიდრდეს სტრატეგიულად მნიშვნელოვან პოზიციებზე მოსკოვისა და ანკარის ინტერესების საზიანოდ. თურქების გადაბირებისა და რეგიონში რუსეთის გავლენის შესასუსტებლად საერთოევროპულ ბრძოლაში თურქების ჩართვის მიზნით, პოლონელი ექსპერტები მოუწოდებენ ვარშავას, მხარი დაუჭიროს ევროკავშირში თურქეთის გაწევრებას თუ არა, შავი ზღვის აუზში ევროპის მთავარ პარტნიორად აღიარებული ანკარასთვის პრივილეგიის მინიჭებას მაინც. მაშინ კრემლს დასავლეთის ინიციატივებისთვის წინააღმდეგობის გაწევა მარტოს მოუწევს, რასაც ასე იმედოვნებენ ვარშავაში.

დასკვნები კი ასეთია. სამი ზემოჩამოთვლილი პროექტიდან, რომლებშიც ფორმალურადაა დეკლარირებული რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებისკენ სწრაფვა, მხოლოდ **„ჩრდილოეთის განზომილება“** არ ეხება საკვანძო გეოპოლიტიკურ ფაქტორებს. ეს პროექტი, პირველ რიგში, მიმართულია სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისკენ. სკანდინავიის ქვეყნები მხარს უჭერენ მოსკოვთან გაწონასწორებულ პოლიტიკას და თავის საზღვრებთან ვითარების დაძაბვის სურვილი არ აქვთ.

პროექტი **„აღმოსავლური პარტნიორობა“**, რომელსაც ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ვაშინგტონსა და ვარშავაში, პირველ რიგში, მიმართულია რუსეთისთვის ძველი მოკავშირეების ჩამოშორებისა და ანტირუსულ მოქმედებებში მათი ჩართვისკენ. **„აღმოსავლური პარტნიორობა“** რუსეთის გეოპოლიტიკის ისეთ **„მტკივნეულ საკითხებს“** ეხება, როგორიცაა უკრაინის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის თემა. ეს სახელმწიფოები დიდი ხანია უცხოელი სტრატეგების დაჟინებულ ყურადღებას იპყრობენ.

„შავი ზღვის სტრატეგია“ მიმართულია შავი ზღვის აუზიდან რუსეთის გამოდევნებისაკენ, მისი ნატოს შიდა ზღვად გადაქცევის მიზნით. ასეთ საჩუქარზე აშშ-ს, პოლონეთს, დიდ ბრიტანეთსა და თურქეთს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ. ფსონები ამ თამაშში იმდენად მაღალია, რომ ზოგიერთი მოთამაშე შეეცდება **„„შავი ზღვის სინერგიის“** თემას სხვა განზომილება მიანიჭოს. უპირველეს ყოვლისა, ესენი არიან პოლონეთი და რუმინეთი, რომლებიც აშშ-ის მითითებებით მოქმედებენ. ამ ქვეყნების პოლიტიკური ელიტის მეშვეობით ვაშინგტონი ლამობს **„შავი ზღვის სინერგია“** უფრო ანტირუსულ რაკურსში წარმოადგინოს. რუსეთის ჩამოშორება სანაპირო ზოლებიდან, მისთვის თბილ ზღვებზე გასასვლელის დაბლოკვა მთავარი გეოპოლიტიკური განტოლებაა, რომლის ამოხსნაზე თავს იმტვრევენ ვაშინგტონის, ლონდონისა და ვარშავის უჭკვიანესი სტრატეგები. დასავლეთი რუსეთის მოშთობას ამგვარად ლამობს, ხოლო რუსეთის ამოცანაა, შეინარჩუნოს თავისი უფლება, კვლავაც იწოდებოდეს დიდ საზღვაო სახელმწიფოდ.

რ. სახეჩიძე

ეჭვი, რომელიც მეგობრობაზე მეტია

უცხოეთის პრესის მიმოხილვა

ევროპელი მოღვაწეების მიმართვას სარედაქციო წერილით გამოეხმაურა **Washington post**-ი.

ძალიან ბევრი ამერიკელი მსოფლიოს ამ კუთხეზე, ანუ აღმოსავლეთ ევროპაზე არ ფიქრობსო, ნათქვამია წერილში. ამის მიზეზი, როგორც მიაჩნიათ, ამ ქვეყნებში მიღწეული წარმატებებია კაპიტალიზმის გზაზე მოპოვებული. ამერიკა არ შიშობს, რომ აქ რაიმე შეიძლება შემობრუნდეს, ამიტომაც თავს არ იტკივებს ზედმეტი ფიქრით.

მაგრამ ეს წარმატება მუდმივად არ უნდა მივიჩნიოთ, აფრთხილებენ ყოფილი პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ პატრონს – ამერიკას: **„რეგიონსა და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ყველაფერი რიგზე როდია“...** გლობალურმა კრიზისმა „ნაციონალიზმს, ექსტრემიზმს, პოპულიზმსა და ანტისემიტიზმს“ სამოქმედო სივრცე შეუქმნა. ხოლო **„ნატო დღეს უფრო სუსტი ჩანს, ვიდრე მაშინ, როცა ჩვენ ალიანსში გავერთიანდით“.**

ამას წერენ ავტორიტეტული ადამიანები, რომლებმაც ახალ ევროატლანტიკურ სივრცეში შეიყვანეს თავიანთი ქვეყნები: ვაცლავ ჰაველი და ალექსანდრე ვონდრა ჩეხეთის რესპუბლიკიდან, ლეხ ვალენსა და ალექსანდრე კვასნევსკი პოლონეთიდან, ვაირა ვიკე ფრეიბერგა ლატვიიდან და ვალდას ადამკუსი ლიტვიდან. მათი პიროვნული ავტორიტეტი და სახელმწიფოებრივი გამოცდილება მათ დასკვნებში დაეჭვების ნატამალსაც არ ტოვებს. ამიტომ ფრიად დასაფიქრებელია მათი ნააზრევი ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც ჯერ კიდევ გასავლელი აქვს ის გზა, რომლითაც სიარულმა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა აღმოსავლეთი ევროპა.

საით ჰხვალ? – თავისთავად იბადება ეს ბიბლიური შეკითხვა.

“Wachington post”-ი ასკვნის:

„ყველაფერი ეს პრეზიდენტ ობამასათვის სიახლე ვერ იქნება. მან უკვე პირდაპირ განაცხადა მოსკოვში, რომ შეერთებული შტატები ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის სივრცეში არ ცნობს რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების სფეროს არსებობას“.

რა არის ამ წერილში გამამხნევებელი, ძნელი დასადგენია. საყვედური რომ აშკარად ყვირის, უეჭველია.

„ნიუ იორკ ტაიმსი“

მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბები "სელტიკი", გლაზგო, შოტლანდია.

დაარსებულია 1888 წელს,
სტადიონი **"სელტიკ-პარკი"**, 60.000 მაყურებელი,
შოტლანდიის 37-გზის ჩემპიონი,
შოტლანდიის თასის 31-გზის მფლობელი,
ლიგის თასი აიღო 12-ჯერ,
ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა 1967 წელს.

უკვე საუკუნეზე მეტია შოტლანდიის უძლიერეს საფეხბურთო გუნდებად დღემდე სავსებით სამართლიანად ითვლებიან გლაზგოს **"სელტიკი"** და მისი მუდმივი მეტოქე და კონკურენტი გლაზგოს **"რეინჯერსი"**. მაგრამ შოტლანდიური ფეხბურთის პიონერად მაინც **"სელტიკი"** ითვლება, რადგან, უპირველესად, სწორედ მან გაიკვლია გზა საერთაშორისო ფეხბურთის არენაზე. იგი პირველი ბრიტანული კლუბი გახლდათ, რომელმაც ევროპის ჩემპიონთა თასი მოიგო. ეს იყო ჭეშმარიტად ღირსეული ჯილდო, რადგან შესანიშნავ სპორტულ ფორმაში მყოფი **"სელტიკი"** დამაჯერებლად მიიწევდა წინ ისე, რომ არცერთი საშინაო მატჩი არ წაუგია და ქვეყნის ყველა სპორტულ ჯილდოს დაეუფლა: გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, დაეუფლა ქვეყნის თასს და გახდა ლიგის თასის მფლობელი. გარდა ამისა, იმ პერიოდისათვის ევროპაში არ იყო საფეხბურთო გუნდი, რომელმაც ასპროცენტიანი მოგებით დაამთავრა ოთხივე სერიოზული საკლუბო ტურნირი.

"სელტიკის" დამაჯერებელმა გამარჯვებამ ქვეყნის ტურნირებში და ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში საბოლოდ გააცამტვერა მითქმა-მოთქმა იმის თაობაზე, თითქოს შოტლანდიური გუნდის უძლეველობა განპირობებული იყო მხოლოდ იმით, რომ ქვეყნის ჩემპიონატში მას არ ჰყავდა ძლიერი და ღირსეული მოწინააღმდეგე. **"სელტიკმა"** ყველას დაუმტკიცა, რომ მისი დიდი წარმატების საფუძველი გახლდათ ფეხბურთელთა შესანიშნავი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება და არა რაიმე შემთხვევითობა.

"სელტიკის" 1967 წლის **"ოქროს"** შემადგენლობა რუდუნებით იყო შერჩეული მთავარი მწვრთნელის, ფეხბურთის დიდი სპეციალისტის ჯოკ სტინის მიერ. მას არ შეშინებია გუნდში ფეხბურთის ისეთი გამოცდილი ვეტერანების მიწვევა, როგორებიც იყვნენ მეკარე რონი სიმპსონი და მარცხენა შუათავდამსხმელი, ფეხბურთის სამყაროში **"მზაკვარის"** მეტსახელით ცნობილი დიდოსტატი ბერტი ოლდი.

ფინალურ მატჩში **"სელტიკმა"** ანგარიშით დაამარცხა ევროპის ჩემპიონთა თასის წინა წლის მფლობელი მილანის **"ინტერი"**. შოტლანდიელთაგან გოლები გაიტანეს მცველმა ჰემელმა და ცენტრფორვარდმა ჩალმერსმა.

სამწუხაროდ, გლაზგოს **"სელტიკის"** სვებედნიერი დღეები საკმაოდ ხანმოკლე აღმოჩნდა და იგი მომდევნო სეზონებში აღარ გაგრძელებულა. როგორც დიდ ფეხბურთში ხშირად ხდება ხოლმე, დიდი გამარჯვების შემდეგ, მომდევნო სეზონში, ევროპის ჩემპიონის თასის ტურნირის დასაწყისშივე შოტლანდიელებმა წააგეს თამაში კიევის **"დინამოს"** შესანიშნავ ფორმაში მყოფ ფეხბურთელებთან. მათ არც საკონტინენტთაშორისო გათამაშების ტურნირში გაუმართლათ და საპასუხისმგებლო მატჩი დათმეს არგენტინის **"რასინგთან"**. შოტლანდიის 1970 წლის საფეხბურთო უმაღლესი ჯილდოს მოპოვების შემდეგ **"სელტიკი"** კვლავ გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი მილანის სტადიონზე დათმო **"ფეიენოორდთან"**.

ორი წლის შემდეგ გლაზგოს **"სელტიკი"** სულ ახლოს იმყოფებოდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალთან, მაგრამ ნახევარფინალში მას გადაეღობა მილანის **"ინტერი"**, რომელმაც ორი უშედეგო მატჩის შემდგომი პენალტების სერიაში შესძლო ღირსეული მოწინააღმდეგის დამარცხება.

მაგრამ, თურმე, უფრო დიდი სიძნელეები წინ იყო. 1980-იანი წლების მიწურულს **"სელტიკმა"** ფეხი ვერ აუწყო თანამედროვეობის მოთხოვნებს, არ მიბაძა მის მუდმივ მოწინააღმდეგეს გლაზგოს **"რეინჯერსს"**, არ გამოიყენა მისი კომერციული და საფეხბურთო გამოცდილება და ნოვაციები და გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა. გუნდი დიდი გაჭირვებიდან მხოლოდ იმან იხსნა, რომ დროულად ჩატარდა მისი ხელმძღვანელი სტრუქტურების მნიშვნელოვანი რეორგანიზაცია. თითქმის მთლიანად შეიცვალა გუნდის დირექტორთა საბჭო, მოიწვიეს მწვრთნელთა ახალი შემადგენლობა.

2000 და 2001 წლების საფეხბურთო სეზონი შოტლანდიელთა საფეხბურთო გუნდმა კვლავ დიდი წარმატებით ჩააბარა. **"სელტიკმა"** მოიგო ეროვნული ჩემპიონატი და დაეუფლა ორივე ლიგის თასს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის ეს დიდი წარმატება განპირობებული იყო შვედი ლეგიონერის, თავდამსხმელის ჰენრიკ ლარსონის შესანიშნავი თამაშით, რომელმაც სეზონში 50-ზე მეტი გოლი გაიტანა.

გიორგი ჯალაღანია

იუმორი

საახალწლო განცხადება:
"სნეგუროჩკა" და "სანტა კლაუსი" გამოძახებით – საათში 30 დოლარი;
მხოლოდ "სნეგუროჩკა", გამოძახებით – საათში 200 დოლარი".

გაბრაზებული პატიმარი შესჩივის ქართველ მოსამართლეს:
– მე ხომ არაფერი დამიშავებია, ბატონო, 25 წელი რატომ მომისაჯეთ?
– ტყუით, არაფერი რომ არ დაგეშავებინათ, 10 წელზე მეტს არ მოგისჯიდით!

ცოლი ეჩხუბება ქმარს:
– რამდენს სვამ, კაცო, არა გრცხვენია?
– მე ამას შენი გულისთვის ვაკეთებ. რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო მიკანკალებს ხელები, შესაბამისად, უფრო მეტი ღვინო მედვრება. რაც მეტი მედვრება, ესე იგი, უფრო ცოტას ვსვამ... რა გამოდის? – რაც უფრო მეტს ვსვამ, მით უფრო ცოტას ვსვამ.

მამა ეკითხება შვილს:
– რომ გაიზრდები, ვინ უნდა გამოხვიდე?
– კრეტინი, მამი.
– რას ამბობ, შვილო, კრეტინი რატომ უნდა გამოხვიდე?
– რატომ და შენ მთელი დღე იძახი, ამ კრეტინმა მანქანა იყიდა, იმ კრეტინმა მაგარი ბინა იყიდა, ეს კრეტინი კი დეპუტატი გახდაო... ჰოდა, მეც მინდა, კრეტინი ვიყო..

სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას **„ეფრემ ვერდის"** წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ:

– ციხე – ფათერაკს გადაურჩები;
– ცოცხალი ადამიანი მკვდრად ნახო – დიდხანს იცოცხლებ;
– ცოლი შეირთო – ცუდია, დარდის შემატებაა;
– ძროხის ხორცის ჭამა – ცუდია და განსაცდელია;
– ძროხის მოწველა – ქონებას შეიძენ;
– ძმა წყალში ჩავარდნილი – კარგია;
– ძმასთან ჩხუბი მოგივიდეს – უსიამოვნება გელის;
– ძუძუ – ვაჟიშვილი მოგეცეს და გაიხარო;
– ძაფი დაართო – მწუხარება და სევდაა;
– ძვალი ნახო, ან ხელში აიღო – კარგია;
– ძუნწი კაცი ნახო –გაჭირვებაში ჩავარდე;
– ძაღლი ნახო – მტერია, ფრთხილად იყავი.



წიგნის მაღაზიებში იყიდება პროფესორ კლიმენტი შელიას მეტად საინტერესო წიგნი
კოლხეთი – ჩვენი სამყაროს კარიბჭე.
ახლახან კი წიგნის მაღაზიის დახლებზე გამოჩნდა კლიმენტი შელიას ახალი, არანაკლებ საინტერესო წიგნი
კაცობრიობის ისტორია კოლხეთით იწყება,
რომელშიც აღწერილია პრეისტორიული ხანის კოლხეთის მრავალმხრივი ფენომენი.
დაინტერესებულმა პირებმა სასწრაფოდ მიმართონ წიგნის მაღაზიებს, რადგან აღნიშნული ნაწარმოებები ბესტსელერია და მალე გაქრება წიგნების ბაზრიდან.



ციალა ნიკურაძის გახსენება

უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა რაც ჩვენს შორის აღარ არის დიდებული ბანოვანი, შესანიშნავი ხელოვნებათმცოდნე და ულამაზესი ქალბატონი ციალა ნიკურაძე.

იგი იყო შესაშური შემართების მქონე ადამიანი, რომელიც არ უკრთოდა მატერიალურ გასაჭირს და ნიადაგ სხვების გამხნევებას ცდილობდა მომავალი ბედნიერების რწმენით. გამომცემლობა **"ხელოვნებაში"** მუდამ მხიარულება და სინათლე შემოჰქონდა, თავის გულისტკივილს თავს არავის მოახვევდა, ვერასოდეს გაიგებდით, რამე თუ აწუხებდა. საწუხარი კი მართლაც ბევრი ჰქონდა, მოხუცობაში მარტოსულად დარჩენილ ქალს...

კოლხური სილამაზე, სიმტკიცე და თვინიერება გახლდათ მისი მთავარი იარაღი ცხოვრების ამაოებასთან ბრძოლაში. სხვების გასაჭირის შემხედვარე გულისტკივილით იტყოდა ხოლმე: რა არის ის ქვეყანა, რომელსაც საკუთარი მოხუცი და დაუძლურებული ადამიანების რჩენა არ შეუძლიაო. სწორედ გაჭირვებამ მიიყვანა ეს სიცოცხლისმოყვარული ადამიანი ქუთაისის უპატრონო მოხუცთა თავშესაფარში, რაც მისი უკანასკნელი ნავსაყუდელი შეიქმნა.

სიცოცხლეში გული არავისათვის გიტკენია, ჩვენო ციალა, მხოლოდ შენი სიკვდილით გვატკინე გული ყველას, და კიდევ იმით, რომ 3 თებერვალს, შენი დაბადების დღეს უშენოდ აღვნიშნავთ.

ამიტომ, ბუმბულად გქცეოდეს მკერდზე დაყრილი ქართული მიწა!

გამომც. "ხელოვნების" ყოფილი თანამშრომლები

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია: თბილისი, ზანდუკელის ქუჩა №1 სარეგ.№01018002930

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია

anaklia@web.de
e-mail:elisabetthal@yahoo.de
რეკლამის განთავსება
899-57-33-22
893-51-01-71
899-34-37-27